

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
2017-2020 წლების სტრატეგიის
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის

განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი
საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო

2018

სარჩევი

შესავალი	4
სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება	5
სტრატეგიის მიზანი.....	5
რეზიუმე - სტრატეგიის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა	6
პროგრესი თითოეული მიზნის ამოცანებთან მიმართებით	15
მიზანი 1. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა	15
მიზანი 2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა	34
მიზანი 3. კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	46
მიზანი 4. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით	57
მიზანი 5. საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში	66
დასკვნა, ანგარიშის შეჯამება და სამომავლო გეგმები	82
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში	85
მიზანი 1. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა	85
ამოცანა 1.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	85
ამოცანა 1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.....	95
ამოცანა 1.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	99
ამოცანა 1.2.4. სასჯელაღსრულების პენიტენციური სისტემის გაძლიერება	109
მიზანი 2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა	114
ამოცანა 2.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	114
ამოცანა 2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.....	116
ამოცანა 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	118
მიზანი 3. კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	132
ამოცანა 3.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	132
ამოცანა 3.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.....	134

ამოცანა 3.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	134
მიზანი 4. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით	142
ამოცანა 4.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ადსს)	142
ამოცანა 4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა	146
მიზანი 5. საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში	151
ამოცანა 5.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	151

შენიშვნა

2018 წელს განხორციელებული სამთავრობო და შიდაუწყებრივი ცვლილებებიდან გამომდინარე, უწყებების და მათი ქვედანაყოფების სახელწოდებები მითითებულია შესაბამისი აქტივობის შესრულების მდგომარეობით.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშს, რომელიც შემუშავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ და განკუთვნილია როგორც სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის, ასევე საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატებისათვის.

ანგარიში მოიცავს 2017 წლიდან 2018 წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგს, რადგან ცალკეული 2017 წლის გეგმის განხორციელების ანგარიში არ მომზადებულა. მასში მოცემულია სტრატეგიის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების სტატუსი, მათი შესრულების ინდიკატორები და გათვალისწინებული შედეგები, მოცემულია სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ასევე, გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაცულია თანმიმდევრობა და მისი შევსების წესი.

ანგარიშში მიმოხილულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ის ცალკეული პროექტები, რომლებიც შესაბამისობაშია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით გაწერილ პრიორიტეტებთან. აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ სისტემურ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიმართულებით, როგორც ხარისხობრივი, ისე, რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ამასთან, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებისა და საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი ოპერატიული/არაოპერატიული თანამშრომლობის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა. ანგარიშის საბოლოო მიზანია გამოავლინოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში არსებული გამოწვევები და განახორციელოს მათი ანალიზი.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ფარგლებში წარმოდგენილია პასუხისმგებელი უწყებების მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განხორციელებული რეფორმები და ღონისძიებები, სადაც დეტალურად არის მოცემული თითოეული პრიორიტეტის შესასრულებლად გაწერილი ამოცანა და აქტივობები, ასევე, თითოეული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული, როგორც შეფასების ინდიკატორი, ისე შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო, რისკების ანალიზი, ფინანსური მაჩვენებლები და შედეგი.

სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის რიგით მესამე 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 მაისის №235 დადგენილებით. სტრატეგიით ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა, ერთიანი მიდგომა, პრინციპები, განისაზღვრა გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები.

სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების, უწყებებში მოქმედი ცალკეული პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით შეიქმნა სამოქმედო გეგმის სპეციალური ფორმა, რომელსაც პასუხისმგებელი უწყებები ავსებენ.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო.

სტრატეგიის მიზანი

სახელმწიფოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის მიზანია, 2020 წლისთვის საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული შედეგების შენარჩუნებას და გულისხმობს მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფას, სამართლებრივი ფასეულობების და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას. ამისთვის საჭიროა პერიოდულად გამოვლინდეს ორგანიზებული დანაშაულის კუთხით არსებული ან ახლად გამოვლენილი საფრთხეები და განისაზღვროს საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მექანიზმები, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, საკანონმდებლო

ცვლილებები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, აუცილებელია არსებული სიტუაციის მუდმივი შეფასება და გამოვლენილი გამოწვევების ანალიზი.

აღნიშნული სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

1. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა;
2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა;
3. კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
4. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით;
5. საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ/არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.



ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიაში დასახული მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახულია 13 ამოცანა და 4 ქვე-ამოცანა.

რეზიუმე - სტრატეგიის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა

ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, როგორც დანაშაულის ერთ-ერთ სახეობასთან ბრძოლის ბუნებიდან გამომდინარე, რთულია დაისახოს ამოცანა, რომელიც იქნება შესრულებული ერთხელ და საბოლოოდ. ზოგად დანაშაულთან, და კერძოდ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა მუდმივი წინააღმდეგობაა სამართალდამცავ სტრუქტურებსა და დამნაშავეებს შორის, სადაც თითოეული მხარე მუდმივად ცდილობს განავითაროს შესაძლებლობები, რომლებიც დაეხმარება მეორე მხარიდან გამომდინარე საფრთხის ნეიტრალიზაციაში. სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულება და მიზანია, ყოველთვის იყოს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე დანაშაულებრივი ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე, ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიაში ფოკუსი გაკეთებულია არა მხოლოდ განსაზღვრული ამოცანების მიღწევებზე, არამედ ამოცანების და მათ თემატურ ჩარჩოებში მოქცეული ღონისძიებების შესრულების ერთობლიობაზე, რაც გამიზნულია გამომდინარეობს სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ გამოვლენილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრისკენ და მომავალშიც დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს გაუმკლავდეს ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეს.

ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიაში დასახული მიზნების მისაღწევად 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული 13 ამოცანის და 4 ქვე-ამოცანის შესრულების სტატუსი შეიძლება განისაზღვროს

რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: პირველ რიგში, დასახული ამოცანაში ფარგლებში მოქცეული აქტივობების სტატუსების კუმულატიური რაოდენობრივი მაჩვენებელი შესრულების ინდიკატორების მიხედვით; შემდეგ, აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილი კონკრეტული სტატისტიკური პროგრესის მაჩვენებლის მიხედვით; იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანის მისაღწევად განსაზღვრულია მხოლოდ ერთი აქტივობა, ამოცანის შესრულების სტატუსი შეიძლება დადგინდეს აქტივობის შესრულებიდან გამომდინარე. შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებული განხორციელების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულების მიმართულებით დაფიქსირდა როგორც გამოკვეთილი პროგრესი ძირითად ნაწილში, ასევე ნაწილობრივი პროგრესი მე-2 და მე-3 მიზნებით გათვალისწინებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიმართულებით (ორივე ამოცანა დამოკიდებულია ერთი აქტივობის შესრულებაზე), ხოლო მე-3 მიზნით გათვალისწინებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და მე-4 მიზნის ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის იმპლემენტაცია შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად (იხ. ცხრილი 1 და ცხრილი 2).



დეტალური ანალიზი ამოცანების შესრულების კუთხით მოცემულია როგორც ამ თავში, ასევე ამ ანგარიშის თითოეული მიზნის ამოცანებთან მიმართებით პროგრესის განმსაზღვრელ ნაწილში, სადაც განიხილება ასევე აქტივობების შესრულების სტატუსი ინდიკატორების მიხედვით, მათ შორის განმარტებულია მე-2 მიზნის ინსტიტუციური გაძლიერების ნაწილში აქტივობების შესრულებლობა.

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა

„ქურდული სამყაროს“ და ზოგადად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

ამოცანა 1.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების სფეროში განხორციელდა არაერთი ღონისძიება, ჩატარდა რეგულარული ბრიფინგები და გავრცელდა საინფორმაციო ტიპის ბუკლეტები. სკოლებში კრიმინალური გავლენის შემცირების მიზნით, გაკეთდა აქცენტი მანდატურების გადამზადებაზე, მათ შორის სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ჩართულობით. ამასთან, მნიშვნელოვანია განხორციელდეს პედაგოგების გადამზადებაც ამ მიმართულებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა კომპეტენციის შესაბამისად განახორციელეს რეგულარული ვიზიტები როგორც სკოლებში, ასევე მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებში. გარდა ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდა რეგულარული საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები, ხოლო მოსწავლეებსაც მიეცათ საშუალება განახორციელონ ვიზიტები სამართალდამცავ სტრუქტურებში.

მოწყვლადი ჯგუფების საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბიზნეს წრეების ინფორმირების კამპანია წარიმართა ინდივიდუალურად, საჯარო შეხვედრების გარეშე. მეწარმეებს აღეთქვა მხარდაჭერა და მოხდა მათი ინფორმირება, რისკების არსებობის შემთხვევაში პოლიციის ჩართულობის როლთან დაკავშირებით. ამავდროულად, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს სოციალურად დაუცველ ფენებში აქტივობების შესრულების დროს სამიზნე ჯგუფების უფრო ფართო სპექტრის ჩართულობა სამომავლო გეგმის ფარგლებში, ასევე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აქტივობების განხორციელების ფარგლებში რაოდენობრივი მონაცემების დაფიქსირებას, ვინაიდან მაგ მიზნით ერთი აქტივობა ჩაითვალა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შესრულების ინდიკატორის მიხედვით. ამის მიუხედავად, შესრულების ინდიკატორების საფუძველზე განსაზღვრული სტატუსების კუმულატიური მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნული ამოცანის მიღწევის მიმართულებით დაფიქსირებულია მკაფიო პროგრესი.

ამოცანა 1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

დადებითი შედეგი გამოიღო სამოქმედო გეგმის ფარგლებში საკანონმდებლო ბაზის დახვეწამ, პერიოდულმა გადახედვამ და ცვლილებების შეტანამ. აღნიშნულზე აქტიურად მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი პარტნიორ უწყებებთან ერთად, და მნიშვნელოვანია ეს პროცესი გაგრძელდეს. მაგალითად, 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 223² - „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, მუხლი 223³ - „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და მუხლი 223⁴ - „ქურდული სამყაროს წევრისთვის/კანონიერი ქურდისთვის მიმართვა, რომლების საფუძველზე 2018 წელს ბრალი წაყენა 19 პირს.

ამოცანა 1.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

შესაბამისი ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ჩატარდა თანამშრომლების პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული არაერთი ტრენინგი, განახლდა დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აქტიურ რეჟიმში ხორციელდება უწყებებს შორის კომუნიკაცია. ამ ამოცანის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიღო კონკრეტული შედეგი, რაზეც მეტყველებს 2018 წელს დაკავებული 4 ე.წ. „კანონიერი ქურდის“ და 52 ქურდული სამყაროს წევრის მაჩვენებელი, რაც 7-ჯერ მეტია 2017 წელთან შედარებით.

ამოცანა 1.2.4. პენიტენციური სისტემის გაძლიერება

სექტორული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, პენიტენციური სისტემის გაძლიერების მიზნით განხორციელდა რიგი ვალდებულებები, რის შედეგადაც ეტაპობრივად მიმდინარეობს მსჯავრის მოხდა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდითა და ბრალდებულებისა, მსჯავრდებულების უზრუნველყოფა ფსიქო-სოციალური სერვისით, მათი ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა ტრენინგებითა და კურსებით, პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგა და განვითარდა გაუმჯობესებული შრომითი შესაძლებლობები. პროგრესზე ამ ამოცანის შესრულებისას მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ 2017 წელს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვით უზრუნველყოფილი იყო 13 პენიტენციური დაწესებულება და 1830 მსჯავრდებული, ხოლო 2018 წელს ეს რაოდენობა გაიზარდა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა დაინერგა ყველა (15) პენიტენციურ დაწესებულებაში და მასში არასრული წლის მონაცემებით ჩართული იყო 2508 მსჯავრდებული.

ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 2.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული რისკების ცნობიერების ამაღლებისათვის გავრცელდა საინფორმაციო და ვიდეო მასალები, ჩატარდა ბრიფინგები და პერიოდულად გამოქვეყნდა სტატისტიკური მონაცემები. ინტენსიურად მიმდინარეობდა უწყებათაშორისი თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას შორის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოტრანზიტთან ბრძოლის დანაყოფის მონაწილეობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია მათ საქმიანობაში ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ნაწილი დაფარულია ორივე განსაზღვრული მიმართულებით, რაც მეტყველებს კონკრეტულ პროგრესზე, იმის მიუხედავად, რომ ამ პროგრესის რაოდენობრივი ინდიკატორი გათვალისწინებული არ არის.

ამოცანა 2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწის მიზნით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი კონტროლირებადი მიწოდების წესის და პირობების შესახებ, მაგრამ, ამ დრომდე აღნიშნული პროექტი დამტკიცებული არ არის, შესაბამისად ამოცანაც შესრულების პროცესშია. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნული აქტივობა გადატანილ იქნეს სამომავლო 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაშიც.

ამოცანა 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობდა ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების პროცესი, რაზეც მეტყველებს ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა. ნარკოტრანზიტის სფეროში არსებული გამოწვევების სპეციფიკიდან და დინამიკიდან გამომდინარე, ეს პროცესი, საექსპერტო ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან ერთად, კვლავ დარჩება სამართალდამცავი ორგანოების ერთ-ერთ პრიორიტეტად. ამოცანის მიღწევის პროცესში პროგრესი ჩანს ასევე ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებული პირების რაოდენობიდან - 2018 წელს დაკავებული 117 პირი თითქმის 2-ჯერ აღემატება 2017 წლის სტატისტიკას.

ნარკოტრანზიტთან ბრძოლის მიზნით ეფექტიანად გამოიყენება საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში არსებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფების ფორმატი, მაგრამ სამომავლო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, აღნიშნული აქტივობა შეიძლება მიეკუთვნოს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ამოცანას და არა ინსტიტუციური გაძლიერების ნაწილს.

ნარკოტრანზიტთან ბრძოლის სფეროში ყველაზე პრობლემური საკითხი აღმოჩნდა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და არსებული/მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების საინფორმაციო ბაზებთან წვდომა გამართულია და უზრუნველყოფილია, მაგრამ არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება ინტეგრირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბაზაში, რაც უფრო ამბიციური და ყოვლისმომცველი პროექტია, რისთვისაც ამ ეტაპზე ჯერ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაული გამოიკვეთა როგორც ყველაზე თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულის სახეობა, რომელთან განმკლავებას სჭირდება ასეთივე თანამედროვე მიდგომები, რესურსები და რეგულაციები.

ამოცანა 3.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

კიბერდანაშაულთან და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მთავარი იარაღი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა, რისთვისაც განხორციელდა არაერთი აქტივობა საზოგადოების ინფორმირების და საინფორმაციო შეხვედრების გამართვის მიმართულებით. ამოცანის ჩარჩოში მოქცეული აქტივობების შესრულებიდან გამომდინარე, ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად შესრულებულად, მაგრამ ამის მიუხედავად, საჭიროა სამართალდამცავი სტრუქტურების აქტიური ჩართულობის გაგრძელება, რაც უნდა აისახოს სამომავლო სამოქმედო გეგმაში.

ამოცანა 3.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

საკითხის პრიორიტეტულობაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს პარლამენტში შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების

შემუშავებაზე. ამ პროცესში მონაწილეობას იღებს შსს იურიდიული დეპარტამენტიც, მაგრამ სამოქმედო გეგმის შესრულებისას აშკარა გახდა, რომ აქტივობები ამ მიმართულებით უნდა იყოს უფრო ფოკუსირებული და თანმიმდევრული, რაც რეკომენდირებულია აისახოს სამომავლო 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში.

ამოცანა 3.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

თანამედროვე საფრთხეებთან გამკლავებისათვის აუცილებელია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლების პროფესიული და საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარების პროცესის ხელშეწყობა. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ტრენინგი, სასწავლო ვიზიტი და უწყებათაშორისი შეხვედრა, რაც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მომავალშიც და აისახოს სამომავლო სამოქმედო გეგმაში უფრო კონკრეტული აქტივობების სახით. ასევე უმნიშვნელოვანესია საექსპერტო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. ამ სფეროში განგრძობადი პროგრესის ინდიკატორი ისიც არის, რომ ეროვნული კიბერ უსაფრთხოების ინდექსის (NCSI) მიხედვით, როგორც 2017¹ წელს, ასევე 2018² წელს მინიჭებული აქვს 100%-იანი რეიტინგი კიბერდანაშაულთან ბრძოლის ინსტიტუციური შესაძლებლობების განხრით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პოლიციის მიერ დაკავებული 129 კიბერდანაშავე 39%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანით გათვალისწინებული კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ჩატარებული შეხვედრების მიუხედავად, აღნიშნული სფერო მხოლოდ ირიბად მიეკუთვნება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროს, შესაბამისად მიზანშეწონილი არ არის აღნიშნული აქტივობა გადატანილ იქნეს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით

სამოქმედო გეგმით მიხედვით, თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენების სფეროში განისაზღვრა ორი ამოცანა - ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა საპოლიციო სტრუქტურებში.

¹ <https://ncsi.ega.ee/country/ge/>

² https://ega.ee/wp-content/uploads/2018/05/ncsi_digital_smaller.pdf

ამოცანა 4.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ადსს)

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა (2016 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით). ასევე, გადამზადდა პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსი და დაიხვეწა სამართლებრივი რეგულაციები. საერთო ჯამში მომზადებულია ამოცანის განხორციელებისთვის შესაბამისი ბაზა, რაც გვადლევს მისი მეტწილად შესრულებულად ჩათვლის საშუალებას. ამავდროულად, შესრულების პროცესში გამოიკვეთა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის იმპლემენტაციის პრობლემა, რაც საჭიროებს ამ მიმართულებაზე მეტი ყურადღების გამახვილებას როგორც კონკრეტულ ინსტრუმენტზე (სასურველია განისაზღვროს ამოცანის განხორციელების მიზანშეწონილობა ცალკე გამოყოფილი პროექტის ფარგლებში).

ამოცანა 4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია, სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში შემუშავდა შესაბამისი სასწავლო მოდულები და განისაზღვრა მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციები და კომპეტენცია. გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2018 წლის ივნისში, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში დაიწყო მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე განცხადებების მიღება³, ხოლო შერჩეული კანდიდატები უკვე შემოდგომაზე შეუდგენ თავისი მოვალეობების შესრულებას⁴. აქედან გამომდინარე, მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და აღნიშნული მიმართულებების მნიშვნელობის მიუხედავად, სადავოა მათი განვითარების დაგეგმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რაც მიზანშეწონილია განისაზღვროს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

ამოცანა 5.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, აღნიშნული გულისხმობდა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და

³ <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-25-ivnisidan-365-martltsesrigis-ofitsris-vakansiaze-gantskhadebebis-mighebas-atskhadebs/11751>

⁴ <https://officer.ge/>

თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებით ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, ორმხრივი საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების ორგანიზებას, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ევროპოლთან თანამშრომლობას და სტრატეგიით და მისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სხვა საერთაშორისო საკითხებს.

მათ შორის, განხორციელდა ასეთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აქტივობები, მაგალითად ევროპოლთან შეთანხმების გაფორმება სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე თანამშრომლობის შესახებ, საქართველოს შსს-ს მეკავშირე ოფიცრის წარგზავნა ევროპოლში, ასევე, უახლოეს პერიოდში დაიგეგმა ევროპოლთან უსაფრთხო კომუნიკაციის არხის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დამონტაჟება.

გარდა ამისა, მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში ჩამოყალიბდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც გააღრმავებს ურთიერთობას ინტერპოლის, ევროპოლის და სუამ-ის ჩარჩოს ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა აჩვენა რეალური შედეგი საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ამოცანის შესრულების კუთხით. 2018 წელს უცხოელ კოლეგებთან გაიცვალა 11 332 ოპერატიული ინფორმაცია, რაც 10%-ით მეტია, ვიდრე 2017 წლის მაჩვენებელი. გარდა ამისა, ჩატარდა 19 ერთობლივი ოპერაცია საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში და პოლონეთში, რის შედეგადაც დაკავებულ იქნა საქართველოს 137 მოქალაქე, მათ შორის 13 კანონიერი ქურდი.

აღნიშნული ამოცანის მიღწევისთვის განსაზღვრული თითქმის ყველა მიმართულებით დაფიქსირებული პროგრესის მიუხედავად, სუფთა ტექნიკურ დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში დაგეგმილი აქტივობების უფრო მკაფიო თემატური გამიჯვნის მიზნით, სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავებისას უნდა განისაზღვროს ამ მიმართულების ცალკე ამოცანად გამოყოფის მიზანშეწონილობა.

პროგრესი თითოეული მიზნის ამოცანებთან მიმართებით

მიზანი 1. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის მიზანია 2020 წლისთვის საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული შედეგების შენარჩუნებას, მათ შორის მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფას. როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, სტრატეგიის მიზნების ფარგლებში მოქცეული ამოცანების შესრულებით ვერ მიიღწევა კონკრეტული და საბოლოო მიზანი, ამ ამოცანების შესრულების მიზნებია როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სამართალდამცავი სტრუქტურების ხელთ არსებული ინსტრუმენტების, მოქმედების საკანონმდებლო ჩარჩოს და ადამიანური რესურსის ადეკვატურობის უზრუნველყოფა, ასევე ასეთი ტიპის დანაშაულის პრევენცია. აქედან გამომდინარე, ამოცანების შესრულების მნიშვნელოვან ინდიკატორად განისაზღვრა პირველ რიგში მათში მოქცეული აქტივობების შესრულება, დამატებითი მონაცემების დახმარებით, ასეთების არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე ანგარიშის ნაწილი ასახავს 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში 2017-2018 წლებში „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ შედეგებს.

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, ვინაიდან თავისი კრიმინალური შინაარსით „ქურდული სამყარო“ მოიცავს სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ საქმიანობას და საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე სპეციფიური და გავრცელებული ფორმაა. „ქურდული სამყარო“ საფრთხეს უქმნის ზოგადად საზოგადოების ფასეულობებს და თავისი წესებით უგულვებელყოფს სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებს. დღეის მდგომარეობით სახელმწიფო მუდმივად დგას ახალი გამოწვევების წინაშე, რომელთა დასაძლევად აუცილებელია სწორი პოლიტიკის წარმართვა, „ქურდული სამყაროსთან“ ბრძოლის მიმართულებით არსებული კანონმდებლობის დახვეწა და ახალი საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბება, ასევე მიზანშეწონილია საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2017 წლიდან დღემდე სხვა უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად გეგმავს და ახორციელებს „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებს.

ამისთვის, 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში განსაზღვრულ „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გათვალისწინებულია ოთხი ძირითადი ამოცანა, რომლის

ინდიკატორების მიხედვით სრულყოფილად შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ამოცანასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული.

პირველ რიგში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ერთობლივი თანამშრომლობით ამაღლდა საზოგადოებრივი ცნობიერება „ქურდული სამყაროს“ საფრთხეების შესახებ, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა მოქალაქეთა თვითშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლების მიზნით და განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე, განახლდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარდა თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევები.

ამოცანა 1.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ერთ-ერთი მთავარი ამოცანის, **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების (1.2.1)**, შესასრულებლად, დასახული იყო რამდენიმე აქტივობის განხორციელება, რომლებსაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, სამოქმედო გეგმის ფარგლებში აქტიურად ახორციელებდა სხვა უწყებები. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად მოცემული 8 აქტივობიდან, განსაზღვრული ინდიკატორის მიხედვით შესრულებულია 7 და ნაწილობრივ შესრულებულია 1, ისიც შესრულების მონაცემების ნაკლებობის გამო. ამის გათვალისწინებით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მაგალითისთვის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობისთვის, ასევე საინფორმაციო მასალების მომზადებისა და საზოგადოებაში გავრცელებისთვის (**აქტივობა 1.2.1.1.**), 2017-2018 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა საქართველოს მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობით განახორციელა რიგი ღონისძიებები. **პოლიტიკის შედეგად** 2018 წლის მონაცემებით მივიღეთ აღნიშნულ თემაზე მეტად **ინფორმირებული საზოგადოება**, ვინაიდან დასახული **შესრულების ინდიკატორი** - საინფორმაციო კამპანიებისა და მომზადებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა, 2018 წელს შესრულდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სკოლებში ჩაატარეს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრები და ამასთან, მსმენელებს დაურიგეს საინფორმაციო ბუკლეტები. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მექანიზმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე, დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც გავრცელდა ფართო საზოგადოებაში. საკანონმდებლო ცვლილება გულისხმობს, რომ „კანონიერ ქურდობასა“ და „ქურდული სამყაროს წევრობასთან“ ერთად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“,

„ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და „ქურდული სამყაროს წევრისთვის ან „კანონიერი ქურდისთვის მიმართვა“. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის შესაძლო ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა არასაკმარისი მატერიალური რესურსი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.1. საინფორმაციო კამპანიებისა და მომზადებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა	დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები; საინფორმაციო ბუკლეტები დარიგდა 21 სკოლაში გამართული შეხვედრის დროს	შესრულებულია

თვალსაჩინოებისათვის მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა. ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ინდიკატორისა და შესრულების მაჩვენებელს შორის განსხვავება, რაც სასურველია აღმოფხვრილი იყოს მომავალში. აქტივობის საკვანძო მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, იგივე ან მსგავსი მიმართულების აქტივობა გათვალისწინებული იყოს სამომავლო სამოქმედო გეგმაშიც.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობისთვის, ასევე ელექტრონული საინფორმაციო მასალების მომზადებისთვის, მათი ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელებისთვის (აქტივობა 1.2.1.2.), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა საქართველოს მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობით 2017 წლიდან დღემდე განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიება, რის შედეგადაც მივიღეთ აღნიშნულ თემაზე მეტად ინფორმირებული საზოგადოება. კერძოდ, შესრულების ინდიკატორის გათვალისწინებით უნდა შემუშავებულიყო საინფორმაციო მასალები და განხორციელებულიყო ამავე სახის კამპანიები. ინდიკატორის შესაბამისად აქტივობის შესრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაიწყო 2017 წლის პირველი კვარტლიდან და შს სამინისტროს გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად „ავტორადიოს“ ეთერში გაუშვა ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო მასალების (ვიდეო მასალა, ბრიფინგები) მომზადება და გავრცელება ტელევიზიის, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით. გარდა ამისა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება. ამ შემთხვევაშიც, ინდიკატორთან სრულ შესაბამისობაში

არსებობის შესაძლო შემაფერხებელი გარემოება შეიძლება ყოფილიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.2. საინფორმაციო მასალებისა და კამპანიების რაოდენობა	1 ყოველკვირეული რადიოგადაცემა; პერმანენტული ინფორმაციის გავრცელება ტელევიზიის და ინტერნეტის მეშვეობით	შესრულებულია

ამ აქტივობისთვის მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ შესრულების ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ხოლო არსებული მონაცემებით რისკი არ დადასტურდა. ამ შემთხვევაშიც, ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ინდიკატორისა და შესრულების მაჩვენებლის შორის განსხვავება, რაც სასურველია აღმოფხვრილი იყოს მომავალში. სამოქმედო გეგმის წინა აქტივობასთან განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების გზებში და ოპტიმიზაციისათვის მიზანშეწონილია სამომავლოდ ამ ღონისძიებების მიმართულებები ან გაერთიანდეს, ან უფრო მკაფიოდ გამიჯნულ იქნეს ერთმანეთისგან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისა და მანდატურების მნიშვნელოვან საკითხებზე გადამზადება (აქტივობა 1.2.1.3.) ერთ-ერთი მნიშვნელოვან აქტივობადაა დასახული. ამისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ამავე სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით ახორციელებს შესრულების სხვადასხვა სახის ღონისძიებას, ინდიკატორის გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრავს გადამზადებული პედაგოგებისა და მანდატურების რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ამისათვის, 2017 წლის დასაწყისიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი, რაც მანდატურებს შესაძლებლობას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უზრუნველყონ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

გარდა ამისა, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების პროგრამაში და ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური გადამზადებულია შემდეგ თემებზე: ბავშვის განვითარების ეტაპები, კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა და მედიაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი, ფსიქოლოგიური ტრავმა და ძალადობა, ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები.

ასევე, ორგანიზაცია PH INTERNATIONAL-ის ორგანიზებით განხორციელდა აშშ საელჩოს მიერ დაფინანსებული „GE CALLS“ პროექტში ახლად ჩართული სკოლების პედაგოგების გადამზადება სამართლებრივი კულტურის საგანში.

ლონისძიება დაფინანსდა მანდატურის სამსახურის საერთო ხარჯით, ხოლო ღონისძიების სრულყოფილად და ინდიკატორთან სრულ შესაბამისობაში არსებობის შესაძლო შემთხვევებზე გარემოება შეიძლება ყოფილიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.3. გადამზადებული პედაგოგებისა და მანდატურების რაოდენობა	1 პედაგოგების გადამზადების ტრენინგი; 275 გადამზადებული მანდატური	შესრულებულია

აქტივობისთვის მოცემული ცხრილის მიხედვით, შესრულების ინდიკატორი ამ შემთხვევაშიც დაკმაყოფილებულია, ხოლო არსებული მონაცემებით რისკი არ დადასტურდა. ამ შემთხვევაშიც, ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ინდიკატორისა და შესრულების მაჩვენებლის შორის განსხვავება, რაც სასურველია აღმოფხვრილი იყოს მომავალში და მოხდეს შესაბამისი აღრიცხვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით (აქტივობა 1.2.1.4.), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით 2017-2018 წლებში ახორციელებს ისეთი სახის ღონისძიებებს, რომლებითაც ინდიკატორის გათვალისწინებით, მიიღწევა პოლიტიკის შედეგი, კერძოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და გაკვეთილების ჩატარება. ინდიკატორად გათვალისწინებულია საგნების - „სამოქალაქო განათლება“, უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“ და „სამართლებრივი კულტურა“ ჩატარება.

ამისათვის, 2017-2018 წლებში PH International-ი მანდატურებთან და სამართალდამცავებთან ერთად ახორციელებდა შეხვედრებს საბაზისო საფეხურის (7-8 კლასის) მოსწავლეებთან. შეხვედრების მიზანი იყო მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

პროექტი - პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI)- ხორციელდება PH International-ის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში ხულოს, ხელვაჩაურის და შუაქევის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, ადგილობრივი სამართალდამცავების

ხელმძღვანელობით და პედაგოგებთან თანამშრომლობით ჩაუტარდათ საგაკვეთილო კურსი - სამართლებრივი კულტურის საგანში.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით 2016 წლიდან საჯარო სკოლებში ახორციელებს პროექტს „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“, რისთვისაც შესაძლო შემაფერხებელი გარემოება შეიძლება ყოფილიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.4. საგნები - „სამოქალაქო განათლება“, „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“ და „სამართლებრივი კულტურა“ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა	სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებელი 22 შეხვედრა სკოლებში; „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“ - 2016-2017 სასწავლო წელი - 42 საჯარო სკოლაში; 2017-2018 სასწავლო წელი - 31 საჯარო სკოლაში.	ნაწილობრივ შესრულებულია

აქტივობისთვის მოცემული ინდიკატორთან შესაბამისობის **ცხრილიდან** დგინდება აქტივობის მხოლოდ ნაწილობრივ შესრულება. არსებული მონაცემებით რისკი არ დადასტურდა, მაგრამ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს შესრულების ინდიკატორის დაკმაყოფილების განსაზღვრისათვის საჭირო მონაცემების ნაკლებობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების ან/და სხვა კომპეტენტური პირების მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრების ჩასატარებლად (**აქტივობა 1.2.1.5**) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან, რის შედეგადაც მიიღწევა **პოლიტიკის შედეგი** და ამაღლდება მოსწავლეთა სამართლებრივი და სამოქალაქო ცნობიერება. აქტივობის ინდიკატორს კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შეხვედრების რაოდენობა წარმოადგენს.

ამისათვის 2017-2018 წლებში ახალგაზრდებში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საჯარო და კერძო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს შემდეგ საკითხებზე - ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, ძალადობის ფორმები, კიბერდანაშაული და ა.შ.

საანგარიშო პერიოდი	თბილისი (კერძო/საჯარო სკოლა)	რეგიონები (კერძო/საჯარო სკოლა)	ინფორმირებული მოსწავლეები
2017 (I-II)	19	16	>2000
2018 (I-II)	12	8	>1200

ლონისძიების სრულყოფილად და ინდიკატორთან სრულ შესაბამისობაში არსებობის შესაძლო შემთხვევებზე გარემოება შეიძლება ყოფილიყო კოორდინაციის ნაკლებობა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და შეხვედრების რაოდენობა	საინფორმაციო- ინტერაქტიული გაკვეთილები ჩატარდა 55 სკოლაში, 3200-ზე მეტი მოსწავლისთვის.	შესრულებულია

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, აქტივობა შესრულებულია გამოკვეთილი ხარვეზების გარეშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ურთიერთთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომელთა პოლიტიკის შედეგად განსაზღვრულია მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიღწევა (აქტივობა 1.2.1.6.), რის შეფასებისთვისაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ვიზიტების რაოდენობრივი შესრულების ინდიკატორია გათვალისწინებული.

ამისათვის 2017-2018 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი: „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროექტში მონაწილეობდნენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში უტარდებოდათ ექსკურსიები, ასევე სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისათვის სამოქალაქო

ცნობიერების ამაღლებისა და სამართალდამცავი უწყებების მუშაობის სპეციფიკის გაცნობისათვის პროგრამის ფარგლებში საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა კინოლოგიის სამსახურში უმასპინძლა.

	2017 (I-II)	2018 (I-II)
სკოლა	32	3
მოსწავლე	718	62
უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	3	2
სტუდენტი	41	28

რაც შეეხება პარტნიორი უწყების, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებას - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, 2017 წელს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი სამართალდამცავ უწყებაში ორჯერ განხორციელდა. ამავე პროექტის ფარგლებში 2018 წელს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი სამართალდამცავ უწყებაში ორჯერ განხორციელდა, რა დროსაც მიმოხილულ იქნა არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები.

ღონისძიების სრულყოფილად და ინდიკატორით გათვალისწინებული მაჩვენებლის მიღწევის შემაფერხებელი გარემოება შეიძლება ყოფილიყო კოორდინაციის ნაკლებობა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ვიზიტების რაოდენობა	35 სკოლა, 5 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	შესრულებულია

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, აქტივობა შესრულებულია გამოკვეთილი ხარვეზების გარეშე. ამავე დროს, დასაზუსტებელია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის ვიზიტების შესახებ, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, აიღო ბიზნეს წრეების ინფორმირების ვალდებულება (აქტივობა 1.2.1.7.) პოლიტიკის შედეგის მისაღწევად, რომლის დასტურიც იქნებოდა ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობრივი შესრულების ინდიკატორი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.7. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	განხორციელდა 11 ინდივიდუალური შეხვედრა; გავრცელდა საინფორმაციო მასალები	შესრულებულია

მოწყვლადი ჯგუფების საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მათთან საინფორმაციო კამპანია წარმართა ინდივიდუალურად, საჯარო შეხვედრების გარეშე. მეწარმეებს აღეთქვა მხარდაჭერა და მოხდა მათი ინფორმირება, რისკების არსებობის შემთხვევაში პოლიციის ჩართულობის როლთან დაკავშირებით. შესაბამისად, შესაძლებელია ეს აქტივობა ჩაითვალოს შესრულებულად, ხოლო ხელის შემშლელი ფაქტორები არ გამოვლენილა.

ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საინფორმაციო შეხვედრების გამართვაზე (აქტივობა 1.2.1.8.) პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. აღნიშნულმა უწყებამ **შესრულების ინდიკატორის** გათვალისწინებით განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები, რომლითაც უზრუნველყო **პოლიტიკის შედეგით** გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და ნაწილობრივ მოხდა სოციალურად დაუცველი ფენების ინფორმირება, კერძოდ: 2017-2018 წლებში ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისსა და აჭარის რეგიონში მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.1.8. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	საერთო ჯამში გაიმართა შეხვედრები 2 რეგიონში; 45 ბავშვთან	შესრულებულია

აქტივობის განხორციელების **შესაძლო რისკი**, არასაკმარისი მატერიალურ რესურსი, არ გამართლდა, რაზეც მეტყველებს შესრულების სტატუსიც.

ამოცანა 1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში შემდეგ პრიორიტეტულ **ამოცანას** წარმოადგენს **საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (1.2.2.)**. 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 223² - „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, მუხლი 223³ - „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და მუხლი 223⁴ - „ქურდული სამყაროს

წევრისთვის/კანონიერი ქურდისთვის მიმართვა, რომლების საფუძველზე 2018 წელს ბრალი წაყენა 19 პირს. შესაბამისად, ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად არამხოლოდ აქტივობის შესრულების მაჩვენებლის საფუძველზე, არამედ დამდგარი შედეგის მიხედვითაც.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვასა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანას (აქტივობა 1.2.2.1.) ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობით. მათი აქტიური მუშაობით ხორციელდება რიგი ღონისძიებები, რომელიც ორიენტირებულია განხორციელების შედეგად განახლებული ბაზის მიღებაზე. აღნიშნული აქტივობის შესრულების ინდიკატორს წარმოადგენს განხორციელებული ცვლილებები.

საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდა შემდეგი მიმართულებებით:

1. ფარული პოლიციელის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ცვლილებები;
2. დნმ-ის კოდის მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
3. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო პაკეტი;
4. „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტებიდან, საანგარიშო პერიოდში, დამტკიცებულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო პაკეტი და „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები.

აქტივობის შესრულებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.2.1 განხორციელებული ცვლილებები	შემუშავდა 4 საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი; აქედან მიღებულ იქნა 2 პაკეტი	შესრულებულია

აქტივობის შესრულების მაჩვენებელი გვადლევს საშუალებას ის ჩავთვალოთ შესრულებულად, მაგრამ მნიშვნელოვანია ამ სფეროში გადაიდგას შემდგომი კონკრეტული ნაბიჯები გამოვლენილი მიმართულებების მიხედვით.

ამოცანა 1.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ ამოცანად გათვალისწინებულია სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება (1.2.3). ამ ამოცანის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიღო კონკრეტული შედეგი, რაზეც მეტყველებს 2018 წელს დაკავებული 4 ე.წ. „კანონიერი ქურდის“ და 52 ქურდული სამყაროს წევრის მაჩვენებელი, რაც 7-ჯერ მეტია 2017 წელთან შედარებით, რაც მეტყველებს მკაფიო დადებით შედეგებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გატარებული ღონისძიებების ინდიკატორების მიმართებაში სტატუსის გათვალისწინებით, ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის მხრიდან საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო FRONTEX-თან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა პროფესიული უნარ-ჩვევების განსავითარებელი ღონისძიებები (აქტივობა 1.2.3.1). მათი მხრიდან ინდიკატორით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებით, ტრენინგების ჩატარებითა და თანამშრომლების გადამზადებით, მიღწეულ იქნა ამ კონკრეტული აქტივობის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

ამისათვის, საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით 2017 წელს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარდა 9 სასწავლო აქტივობა. სასწავლო კურსების თემატიკა მოიცავდა ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის: ტერორიზმის, ფულის გათეთრების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ტრეფიკინგისა და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებით თანამშრომელთა მომზადება/გადამზადებას. საქართველოში განხორციელებული ტრენინგების პარალელურად, სასწავლო ვიზიტი შედგა საფრანგეთსა და ხორვატიაში.

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში 2017 წელს მომზადდა/გადამზადდა - 316 თანამშრომელი. 2018 წლის 1 იანვრიდან დეკემბრამდე მომზადდა/გადამზადდა - 548 თანამშრომელი. ზოგადად ტრენინგები ეხებოდა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს, ასევე ჩატარდა სემინარი ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირის მხარდაჭერა ნარკოტიკებისა და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ფარგლებში.

2017-2018 წლებში განხორციელდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება როგორც საქართველოში ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია რამდენიმე ღონისძიება, რომელიც გაემართა საერთაშორისო თანამშრომლობით:

- (ILEA) აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით 2018 წლის 16

ოქტომბრიდან 1-ლი დეკემბრის ჩათვლით ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) გაიმართა სასწავლო კურსის ლიდერობა და მართვა, რეგიონული საფრთხეები, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, უსაფრთხოება და ა.შ.

- "საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების მე-19 მუხლის შესაბამისად დაფუძნებული ერთობლივი კომისიის მიერ 2018 წლის 22-25 იანვარს თურქეთში ანკარასა და სტამბულში გაიმართა შეხვედრა თემაზე ფეტოს დაჯგუფება (FETO/PDY), ქურთების მუშათა პარტიის გაერთიანება (PKK/KCK), ტერორიზმი და მისი დაფინანსება, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაული და საზღვრებზე არსებული პრობლემები.

აღნიშნული აქტივობის შესრულება დაფინანსებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	საქართველოს პროკურატურა - 17 სასწავლო აქტივობა, 90 გადამზადებული თანამშრომელი; შსს - 59 ტრენინგი და სასწავლო ვიზიტი, 945 გადამზადებული თანამშრომელი.	შესრულებულია

შესრულების მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა განხორციელდა ხარვეზების გარეშე, მაგრამ გასათვალისწინებელია აქტივობის სტრატეგიის ამ მიზანთან შესაბამისობა, რადგან აღნიშნული აქტივობა უფრო ფართო საკითხებს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება (აქტივობა 1.2.3.2.). აქტივობა მნიშვნელოვანია „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების მუდმივი ანალიზისა და გაუმჯობესებისთვის, განისაზღვრა შესაბამისი პოლიტიკის შედეგიც.

აღნიშნული შედეგის მისაღწევად, შესრულების ინდიკატორების მიხედვით, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი 2017-2018 წლებში პერმანენტულად

ახორციელებდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობის განახლებას.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.3.2. შეძენილი აღჭურვილობა, დანერგილი ტექნოლოგიები და გაუმჯობესებული სამუშაო გარემო	შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია	შესრულებულია

შესრულების მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა ასევე განხორციელდა ხარვეზების გარეშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის 30-მდე შეხვედრა გამართა (აქტივობა 1.2.3.3.), სადაც განიხილებოდა ქვეყანაში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები. აღნიშნულით, დეპარტამენტმა შეასრულა ინდიკატორით განსაზღვრული ვალდებულება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დასახული პოლიტიკის შედეგის - გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიღწევისათვის აუცილებელ წინაპირობად.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა	გაიმართა 30-მდე შეხვედრა	შესრულებულია

ცხრილში მოცემული მაჩვენებლის მიხედვით, შესაძლო რისკად გათვალისწინებული კოორდინაციის ნაკლებობა არ დაფიქსირდა.

ამოცანა 1.2.4. პენიტენციური სისტემის გაძლიერება

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პენიტენციური სისტემის გაძლიერება (1.2.4). სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად, ვინაიდან ყველა მასში მოქცეული აქტივობა შესრულებულია ინდიკატორით გათვალისწინებულ მაჩვენებლის გადაჭარბებით.

მაგალითისათვის, ამოცანის ფარგლებში დაიგეგმა მსჯავრდებულთა შეფასებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის დანერგვით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის იმპლემენტაცია (**აქტივობა 1.2.4.1**). ამისათვის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ 2017-2018 საანგარიშო პერიოდში დაიწყო **ინდიკატორით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, რომლითაც სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო 10 პენიტენციურ დაწესებულებაში და მასში ჩართული უნდა ყოფილიყო 500 მსჯავრდებული, რომლითაც მიღწეული იქნებოდა **შედეგი** და მსჯავრის მოხდა განხორციელდებოდა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდით.

სამინისტრომ არა მხოლოდ შეასრულა ინდიკატორით განსაზღვრული ვალდებულება, არამედ შეეცადა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უფრო მეტ დაწესებულებაში დაენერგა აღნიშნული და უფრო მეტ მსჯავრდებულს მოეხდა სასჯელი ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდით:

საანგარიშო პერიოდი	პენიტენციური დაწესებულების რაოდენობა	მსჯავრდებულთა რაოდენობა
2017	13	1830
2018	15	2508

2017-2018 წლებში N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტი, 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია აღნიშნული ინსტრუმენტის სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგვა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.4.1 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვით უზრუნველყოფილია 10 პენიტენციური დაწესებულება და 500 მსჯავრდებული	სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა დაინერგა ყველა (15) პენიტენციურ დაწესებულებაში და მასში ჩართულია 2508 მსჯავრდებული	შესრულებულია

წინასწარ განსაზღვრულ განხორციელების რისკად წარმოდგენილი იყო სიძნელების შექმნა იმპლემენტაციის დროს, რაც არ გამოვლენილა ვალდებულებების შესრულების პროცესში.

სასჯელაღსრულების პენიტენციური სისტემის გაძლიერების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა კიდევ ერთი აქტივობა, რომელიც გულისხმობს სამიზნე ჯგუფების მიხედვით ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების დახვეწას, ახალი პროგრამების შემუშავებასა და მათი დაწესებულებების ბაზაზე დანერგვას (**აქტივობა 1.2.4.2.**).

ამისთვის, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით 2017-2018 წლებში ასრულებს **ინდიკატორით** განსაზღვრულ ვალდებულებას, რომლითაც მას საანგარიშო პერიოდში დაწესებულების ბაზაზე უნდა დაენერგა 2 ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობა უნდა მიეღო 1500 ბრალდებულს/მსჯავრდებულს, აღნიშნულის შესრულება კი უზრუნველყოფს **პოლიტიკის შედეგის** მიღებას ანუ სახელმწიფოს ეყოლება ფსიქო-სოციალური სერვისით უზრუნველყოფილი ბრალდებულები/მსჯავრდებულები.

2017 წელს პენიტენციური დაწესებულების ბაზაზე დაინერგა 2 ახალი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა. ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 1763 მსჯავრდებულმა, ხოლო 2018 წელს პენიტენციური დაწესებულების ბაზაზე დაინერგა 1 ახალი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 1310 მსჯავრდებულმა, რაც ინდიკატორით გათვალისწინებულ რაოდენობას აჭარბებს.

საანგარიშო პერიოდი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
2017	198 მსჯავრდებული	803 მსჯავრდებული	178 მსჯავრდებული	584 მსჯავრდებული
2018	509 მსჯავრდებული	213 მსჯავრდებული	588 მსჯავრდებული	

გარდა ამისა, 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია პენიტენციურ დაწესებულებებში „ოჯახში ცოლზე და პარტნიორ ქალზე მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამის“ დანერგვა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.4.2. დაწესებულების ბაზაზე დანერგილია 2 ფსიქო- სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა, ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობას მიიღებს 1500 ბრალდებულ/მსჯავრდებული	დაინერგა 3 ფსიქო- სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა; მათში ჩართული იყო 3093 ბრალდებულ/მსჯავრდებული	შესრულებულია

ღონისძიების განხორციელების პროცესში შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსით, თუმცა აღნიშნულს ხელი არ შეუშლია დამდგარიყო სასურველი შედეგი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ და საქართველოს განათლების სამინისტრომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით 2017 წლიდან დაიწყო შესრულების **ინდიკატორით** განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება, რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული უნდა იყოს 40 პროფესიული მომზადების კურსი და მასში უნდა ჩაერთოს 1300 მსჯავრდებული. აღნიშნულმა უზრუნველყო **პოლიტიკის შედეგის** შესრულება, რომლის მიხედვით მსჯავრდებულები დაკავებულები იქნებიან სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსებში და ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობით (**აქტივობა 1.2.4.3.**).

ამისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით 2017 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს შორის მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო კურსების შერჩევასთან დაკავშირებით. ზემოხსენებული სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო ტრენინგ-კურსების და შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულების მომზადება. მაგალითად: „მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი“, „მეფუტკრე“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ და ა.შ. ხოლო მეორე კვარტლის განმავლობაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ განხორციელდა 14 პროფესიული მოკლევადიანი პროგრამა და მომზადება გაიარა პენიტენციური დაწესებულებების 257-მა მსჯავრდებულმა.

საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 45 პროფესიული მომზადების კურსი და ტრენინგ პროგრამა და მასში მონაწილეობა მიიღო 2449 მსჯავრდებულმა, აღნიშნული რაოდენობა აჭარბებს ინდიკატორით გათვალისწინებულ ვალდებულებას. 2018 წლის ბოლომდე პენიტენციურ დაწესებულებებში დაიგეგმა პროფესიული მომზადების კურსების და ტრენინგ პროგრამების განხორციელების ახალი ეტაპი.

საანგარიშო პერიოდი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
2017	23 მსჯავრდებული	583 მსჯავრდებული	159 მსჯავრდებული	687 მსჯავრდებული
2018	287 მსჯავრდებული	400 მსჯავრდებული	310 მსჯავრდებული	

მათ შორის, “მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2017 წელს 41 მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე მომზადდა 1101 მსჯავრდებული, ხოლო 2018 წელს პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსებში ჩაერთო 600-მდე მსჯავრდებული.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.4.3. პენიტენციური დაწესებულებებში განხორციელებულია 40 პროფესიული მომზადების კურსი და მასში ჩაერთვება 1300 მსჯავრდებული	პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 45 პროფესიული მომზადების კურსი და ტრენინგ პროგრამა და მასში მონაწილეობა მიიღო 2449 მსჯავრდებულმა	შესრულებულია

სამოქმედო გეგმის მიხედვით, აქტივობის შესრულება სრულყოფილად და ინდიკატორების სრული გათვალისწინებით შესაძლოა შეფერხებულიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსის გამო, თუმცა განსაზღვრული დაფინანსება საკმარისი აღმოჩნდა სასურველი შედეგის მისაღებად.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით უზრუნველყოფს შესრულების ინდიკატორით განსაზღვრულ ვალდებულებას, პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნას დამატებით 2 საწარმოო ზონა (დასაქმების მინი კერა) და დაასაქმოს 750 მსჯავრდებული, რითიც მიიღწევა პოლიტიკის შედეგი - პენიტენციურ დაწესებულებაში გაუმჯობესდება შრომითი შესაძლებლობები და დასაქმდებიან მსჯავრდებულები (აქტივობა 1.2.4.4.).

ამისთვის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ 2017 წლის საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო, რომ დაწესებულებაში დასაქმებულიყო 850 მსჯავრდებული, ხოლო 2018 წლის მე-III კვარტლის მონაცემებით - 760 მსჯავრდებული.

სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით დასაქმებული იყო:

საანგარიშო პერიოდი	სამეურნეო სამსახური (სილამაზის სალონები/ფიტნეს ინსტრუქტორი)	სამკერვალო/პურის საცხობები	ინდივიდუალური საქმიანობა
2017	723 მსჯავრდებული	60 მსჯავრდებული	67 მსჯავრდებული
2018	643 მსჯავრდებული	71 მსჯავრდებული	46 მსჯავრდებული

დასაქმებული მსჯავრდებულთა რაოდენობა 2017-2018 წლების განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება:

საანგარიშო პერიოდი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
2017	547 მსჯავრდებული	702 მსჯავრდებული	760 მსჯავრდებული	850 მსჯავრდებული

2018	601 მსჯავრდებული	606 მსჯავრდებული	760 მსჯავრდებული	
------	---------------------	---------------------	---------------------	--

2018 წლის ბოლომდე სსიპ შემოსავლების სამსახურთან ერთად დაგეგმილი იყო 30 მსჯავრდებულისთვის მიკრო-ბიზნესის სტატუსის მინიჭების რეგისტრაცია.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
1.2.4.4. პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილია დამატებით 2 საწარმოო ზონა (დასაქმების მინი კერა) და დასაქმებულია 750 მსჯავრდებული	2017 წელი - დასაქმებულია 850 მსჯავრდებული; 2018 წელი - დასაქმებულია 760 მსჯავრდებული.	შესრულებულია

შესრულების მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც ადასტურებს, რომ აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში არ გამოვლენილა ხელისშემშლელი რისკფაქტორები.

შეჯამება

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

ამოცანა	შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულებულია	არ შესრულებულა
ამოცანა 1.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	7	1	
ამოცანა 1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	1		
ამოცანა 1.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	3		
ამოცანა 1.2.4. სასჯელაღსრულების პენიტენციური სისტემის გაძლიერება	4		
სულ	15	1	0

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დასახული ამოცანების შესრულებით, დაგეგმილი იყო განსაზღვრული პოლიტიკის შედეგების მიღწევა, მაგალითისთვის, ასეთი ზოგადი შედეგების, როგორიცაა:

- ინფორმირებული საზოგადოება (აქტივობები 1.2.1.1. და 1.2.1.2.);
- გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები (აქტივობა 1.2.1.3 და 1.2.3.1.);
- მოსწავლეთა ამაღლებული სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერება (აქტივობები 1.2.1.4, 1.2.1.5. და 1.2.1.6);
- ინფორმირებული ბიზნეს წრეები (აქტივობა 1.2.1.7);
- ინფორმირებული სოციალურად დაუცველი ფენები (აქტივობა 1.2.1.8.);
- განახლებული საკანონმდებლო ბაზა (აქტივობა 1.2.2.1.);
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აქტივობა 1.2.3.2.);
- გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა (აქტივობა 1.2.3.3.).

ასევე, დაიგეგმა კონკრეტული შედეგები პენიტენციური სისტემის გაძლიერების კუთხით:

- მსჯავრის მოხდა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდით (აქტივობა 1.2.4.1.);
- ფსიქო-სოციალური სერვისით უზრუნველყოფილი ბრალდებულ/მსჯავრდებულები (აქტივობა 1.2.4.2.);
- სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსებში და ტრენინგ პროგრამებში ჩართულობით დაკავებული მსჯავრდებულები (აქტივობა 1.2.4.3.);
- პენიტენციურ დაწესებულებაში გაუმჯობესებული შრომითი შესაძლებლობები და დასაქმებული მსჯავრდებულები (აქტივობა 1.2.4.4.).

რიგი ზემოაღნიშნული შედეგი მარტივად განსასაზღვრია და დათვლადია (მაგ. 1.2.3.3.), დანარჩენი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას (მაგ. 1.2.1.4. ან 1.2.1.7), მაგრამ, შესრულების ინდიკატორების ზემოაღნიშნული სტატუსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დადგინდეს თვალსაჩინო პროგრესი თითოეული შედეგის მიღწევის კუთხით.

მიზანი 2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენს სატრანზიტო დერეფანს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ფიქსირდება ტვირთბრუნვის ზრდა საქართველოს გავლით, რაც ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირთათვის, რომ გამოიყენონ საქართველოს როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო გზები ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ტრანზიტის მიზნით.

ნარკოტრანზიტი ტრანსსასაზღვრო დანაშაულია. იმისათვის, რომ მოხდეს ნარკოტიკული საშუალების გამომგზავნი, გადამზიდავი და დანიშნულების ადგილზე მიმღები პირის გამოვლენა, მტკიცებულების მოპოვება და დამაგრება, საჭიროა განხორციელდეს ისეთი სახის

დონისძიებები, როგორებიცაა არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან, ნარკოტრანზიტის სავარაუდო მარშრუტების, ასევე ორგანიზებული ჯგუფებისა და სხვადასხვა ქვეყანაში მათი დანაშაულებრივი კავშირების გამოსავლენად. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მსგავსი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს საქართველოსთვის ახალ გამოწვევას და ეფექტიანი პრაქტიკის შემუშავების მიზნით, ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება და არსებული ბაზის დახვეწა.

ამოცანა 2.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას (ამოცანა 2.2.1) უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი და სტრატეგიული კომუნიკაციების (ყოფილი საზოგადოებასთან ურთიერთობის) დეპარტამენტი, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობით. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ნაწილი შესრულებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ორივე მიმართულებით, რაც მეტყველებს კონკრეტულ პროგრესზე, იმის მიუხედავად, რომ ამ პროგრესის რაოდენობრივი ინდიკატორი გათვალისწინებული არ არის.

ამისთვის, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ინფორმირების კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში უკანონო ნარკოტრანზიტის აღკვეთის თაობაზე საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება (აქტივობა 2.2.1.1.) სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით (ნარკოტრანზიტორების დაკავების და ნარკოტიკული საშუალებების ამოღების ამსახველი 30-მდე ვიდეო მასალა). **ინდიკატორით** განსაზღვრული მათი ვალდებულებაა საინფორმაციო მასალების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, **პოლიტიკის შედეგის** - ინფორმირებული საზოგადოების მისაღწევად.

გარდა ამისა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება, მაგალითად: შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 99 პირი დააკავა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
-----------------------	------------------------	---------

2.2.1.1. საინფორმაციო მასალებისა და კამპანიების რაოდენობა	პერიოდულად ვრცელდება საინფორმაციო მასალები; გავრცელდა 30-მდე ვიდეო მასალა; გაშუქებულია 99 პირის დაკავება უკანონო ნარკოტრანზიტთან დაკავშირებით	შესრულებულია
---	---	--------------

აღნიშნული აქტივობის ინდიკატორთან სრულყოფილად შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსი, თუმცა მოცემული აქტივობის **სტატუსიდან** გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულების შესრულების პროცესში არ გამოვლენილა აღნიშნული რისკფაქტორი.

ნარკოტრანზიტისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ბიზნეს წრეების ინფორმირებას (**აქტივობა 2.2.1.2.**) უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი და შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივი თანამშრომლობით. **ინდიკატორით** განსაზღვრული მათი ვალდებულება არის საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, **პოლიტიკის შედეგის** - ინფორმირებული ბიზნეს წრეების მიღწევის მიზნით.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.1.2. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	განხორციელდა 15 ასეთი შეხვედრა; პერიოდულად ვრცელდება საინფორმაციო მასალები	შესრულებულია

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტრანზიტთან ბრძოლის დანაყოფის მონაწილეობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია მათ საქმიანობაში ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ. ფაქტობრივად, ინდიკატორი შესრულებულია და აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებით განხორციელებულად.

ამოცანა 2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ამოცანა**, რომელიც სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა შესრულებულიყო ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არის **საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (ამოცანა 2.2.2./აქტივობა 2.2.2.1).**

ამისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან პარტნიორობით 2017-2018 წლების საანგარიშო პერიოდში დაგეგმა ცვლილებები, რომლითაც მიიღწევა განახლებული საკანონმდებლო ბაზის პოლიტიკის შედეგი.

ამისათვის, 2017 წელს, შსს იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაციით, დაიწყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე ცვლილებების პაკეტის შემუშავება. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ოპერატიული ღონისძიება - კონტროლირებადი მიწოდება, თუმცა, გათვალისწინებული არ არის ამ ღონისძიების განხორციელების წესი და პირობები. პროექტის დღეისათვის არსებული ფორმის მიხედვით „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შედის ცვლილება, რომლითაც შესაძლებელი გახდება, რომ კონტროლირებადი მიწოდების ობიექტი გახდეს ნებისმიერი შესაძლო ნივთიერი მტკიცებულება. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ენიჭება უფლებამოსილება კონტროლირებადი მიწოდების დროს განახორციელოს ნივთიერი მტკიცებულების ან საგნის სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება წინასწარ ნიშანდებული ან/და ყალბი (სიმულაციური) საგნით, დოკუმენტით, ნივთიერებით, ან სხვა ობიექტით. ამასთან, ამ მიზნებისთვის დასაშვებია ყალბი (სიმულაციური) საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების, ან სხვა ობიექტის სპეციალური დამზადება. ამავე ცვლილების საფუძველზე დასაშვები ხდება საკონტროლო შესყიდვის გამოყენება ადამიანთან მიმართებით, მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ - 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენის მიზნით.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.2.1. განხორციელებული ცვლილებები	შემუშავებულ იქნა 1 ცვლილებების პაკეტი	შესრულების პროცესშია

პოლიტიკის შედეგის მიღებას შეიძლება ხელი შეშლოდა, თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებდა საკანონმდებლო ცვლილებებს. აქტივობის შესრულების სტატუსიდან ირკვევა, აღნიშნული რისკი ამ ეტაპზე არ გამოვლენილა, ამავდროულად, აღნიშნული ცვლილებების პაკეტი დამტკიცებული ჯერ არ არის. ამოცანის შედეგის სრულად მისაღწევად და შემდეგი სამოქმედო გეგმისთვის სასურველი იქნება, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდეს.

ამოცანა 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

მნიშვნელოვან ამოცანად არის დასახული სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება (2.2.3.). ამ მიმართულებითაც სამოქმედო გეგმის ფარგლებში ამოცანა

შესრულებულია, იმის მიუხედავად, რომ ერთიან საინფორმაციო ბაზასთან დაკავშირებული ორი აქტივობა შესრულებული არ არის. ეს განაპირობა აღნიშნული მიმართულებით ახალი, უფრო მასშტაბური პროექტის დაგეგმარებამ, რომელიც განხორციელებისას შეითავსებს ნარკოტრანზიტთან დაკავშირებულ საინფორმაციო ბაზებს. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობების შესრულების საჭიროება აღარ დგას.

ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას (**აქტივობა 2.2.3.1.**) უზრუნველყოფს, მათ შორის, სსიპ - საქართველოს შსს აკადემია, საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მათი მიზანია, **შესრულების ინდიკატორის** გათვალისწინებით, ანუ ტრენინგების ჩატარებითა და თანამშრომლების გადამზადებით, **პოლიტიკის შედეგის** მიღწევა, რაც გულისხმობს პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

კერძოდ, სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში 2017 წელს მომზადდა/გადამზადდა 281 თანამშრომელი. 2018 წლის 1 იანვრიდან დეკემბრამდე მომზადდა/გადამზადდა 548 თანამშრომელი. სასწავლო აქტივობები და ვიზიტები გაიმართა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისეთ თემებზე როგორცაა, მაგალითად ინტეგრირებული საზღვრის მართვის პრაქტიკული ასპექტების განხილვა; უწყებათშორისი და საერთაშორისო სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხების გაცნობა; ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის და მათ შორის ნარკოტიკების გადაზიდვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და საპასუხო მექანიზმები, სწავლებები საზღვრის მართვის სფეროში და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა.

ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლები პერმანენტულად გადიან სხვადასხვა სწავლებებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით. აღნიშნული სწავლებები ხორციელდება როგორც შსს აკადემიის ასევე დონორი ორგანიზაციების ორგანიზებით. საანგარიშო პერიოდში გადამზადდა დეპარტამენტის 30-მდე თანამშრომელი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	ჩატარდა 61-ზე მეტი ტრენინგი და სასწავლო აქტივობა; გადამზადდა 1122-მდე თანამშრომელი	შესრულებულია

აქტივობის განხორციელების ხელის შემშლელ ფაქტორად ივარაუდებოდა არასაკმარისი მატერიალური რესურსი. თუმცა, აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოება არ გამოვლენილა აქტივობის განხორციელების პროცესში. ამოცანის შედეგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მომავალშიც გაგრძელდეს ამ მიმართულებით თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრულ ვალდებულებას, შეიძინოს აღჭურვილობა და დანერგოს ტექნოლოგიები, რომლის შედეგიც იქნება განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აქტივობა 2.2.3.2.).

ამისათვის, 2017-2018 წლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, მაგალითად, 2017 წელს კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაეცა გაზური ქრომატოგრაფი/მასის სპექტრომეტრით, აჭარის ა/რ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაეცა თანამედროვე გაზური ქრომატოგრაფის სისტემა, ხოლო 2018 წელს 1 მაისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაეცა გაზური ქრომატოგრაფი/მასის სპექტრომეტრით.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.2. შეძენილი აღჭურვილობა, დანერგილი ტექნოლოგიები	განახლდა 2 რეგიონის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	შესრულებულია

აქტივობის განხორციელების პროცესში შესაძლებელი იყო აღნიშნული აქტივობა შესრულებულიყო შეფერხებით ინდიკატორთან მიმართებაში, თუმცა მისი სტატუსიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული არ გამოვლენილა აქტივობის შესრულების პროცესში. თუმცა, მიზანშეწონილია ამ მიმართულებითაც გაგრძელდეს მუშაობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით გეგმავს და მართავს შეხვედრებს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კოორდინაციის მიზნით (აქტივობა 2.2.3.3.), რაც შესაბამისობაში მოდის აქტივობის ინდიკატორთან და შესაბამისად სახეზე გვაქვს შედეგი - გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

2017 წლის განმავლობაში გაიმართა 4 შეხვედრა ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის, სადაც განხილული იყო ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული

საფრთხეები და ახალი გამოწვევები, ასევე დაიგეგმა ღონისძიებები უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის ეფექტური მიმოცვლის მექანიზმის შემუშავების მიზნით. გარდა ამისა, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო პარტნიორობთან (მაგ აშშ დეა, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი და ა.შ.) გაიმართა 76 შეხვედრა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა	გაიმართა 80 შეხვედრა	შესრულებულია

აქტივობის შეუსრულებლობა ინდიკატორებთან მიმართებაში შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო კოორდინაციის ნაკლებობით, თუმცა ინდიკატორით გათვალისწინებული შედეგი წარმატებით შესრულდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი სახელმწიფო ბიუჯეტისა და დონორული ბიუჯეტის საერთო დაფინანსებით ადგენს და აერთიანებს სამუშაო ან/და საგამომიებო ჯგუფებს (აქტივობა 2.2.3.4.), რაც პასუხობს აქტივობის ინდიკატორის მოთხოვნას და მისი შესრულებით მიიღწევა პოლიტიკის შედეგი, კერძოდ ვითარდება პროფესიული შესაძლებლობები.

ამისათვის, 2017 წლიდან დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან და აქტიურ მონაწილებას იღებს ნარკოტრანზიტთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შექმნილ ერთობლივი სამუშაო ჯგუფებში.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.4. სამუშაო/საგამომიებო ჯგუფების რაოდენობა	სამუშაო ჯგუფები შექმნილია 6 საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში	შესრულებულია

სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიგეგმა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნასა (აქტივობა 2.2.3.5.) და არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსების უზრუნველყოფა (აქტივობა 2.2.3.6.), გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები პოლიტიკის შედეგის მიღწევის მიზნით. დღეის მონაცემებით საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებებით საბოლოო ღონისძიებები არ განხორციელებულა, ვინაიდან ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურული ქვედანაყოფის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განსაზღვრული, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან

ნარკოტრანზიტის გამოვლენის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან ერთიანი საინფორმაციო ბაზა და არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება ინტეგრირდება შს სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბაზაში, რისთვისაც მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტივობებისთვის განსაზღვრული თანხა არ ათვისებულა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.5. გაერთიანებული მონაცემთა ბაზა	შესრულებული არ არის; მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	არ შესრულებულა
2.2.3.6. განთავსებული ინფორმაციის რაოდენობა	შესრულებული არ არის; მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები	არ შესრულებულა

აღნიშნულის სრულყოფილად და ინდიკატორთან შესაბამისობაში განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო კოორდინაციის ნაკლებობა და არასაკმარისი მატერიალური რესურსი, თუმცა ვინაიდან აქტივობები შესრულებული არ არის და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, კონკრეტული რისკფაქტორების განსაზღვრა მიზანშეწონილია აქტივობის განხორციელების ფაზაში გადასვლის შემდგომ.

მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან პარტნიორობით, საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო საინფორმაციო ბაზებზე ეფექტიანი წვდომა პარტნიორი უწყებებისთვის (აქტივობა 2.2.3.7.), რაც ხელს შეუწყობს ეფექტიან კოორდინაციას და სრულ თანხვედრაშია შესრულების ინდიკატორთან.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
2.2.3.7. ეფექტიანი წვდომა საინფორმაციო ბაზაზე	საინფორმაციო ბაზებზე ეფექტიანი წვდომა უზრუნველყოფილია	შესრულებულია

აქტივობის სრულყოფილად შეუსრულებლობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო კოორდინაციის ნაკლებობა, თუმცა მისი სტატუსიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულს ხელი არ შეუშლია შედეგის მიღწევისთვის.

შეჯამება

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

ამოცანა	შესრულებულია	შესრულების პროცესშია	არ შესრულებულა
ამოცანა 2.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	2		
ამოცანა 2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა		1	
ამოცანა 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	5		2
სულ	7	1	2

პოლიტიკის შედეგების მიღწევის კუთხით, ამ შემთხვევაშიც პროგრესი ფიქსირდება ანგარიშში მოცემული მიზანი 1-ის მსგავსად შემდეგი მიმართულებებით:

- ინფორმირებული საზოგადოება (აქტივობა 2.2.1.1.);
- ინფორმირებული ბიზნეს წრეები (აქტივობა 2.2.1.2.);
- გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები (აქტივობა 2.2.3.1.);
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აქტივობა 2.2.3.2.);
- გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა (აქტივობა 2.2.3.3.);
- განვითარებული პროფესიული შესაძლებლობები (აქტივობა 2.2.3.4.);
- ეფექტიანი კოორდინაცია (აქტივობა 2.2.3.7.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიღწევები გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობების მიმართულებით. მაგრამ, ამ მიზნის მიღწევის პროცესში გამოიკვეთა პოლიტიკის განსაზღვრული შედეგები, რომლებიც საჭიროებს მეტ ყურადღებას, თუნდაც ხარვეზების გათვალისწინების მხრივ, იმის მიუხედავად, რომ ანგარიშში მოყვანილია ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების სრულყოფილად შეუსრულებლობის კონკრეტული მიზეზები,:

- განახლებული საკანონმდებლო ბაზა (აქტივობა 2.2.2.1.);

- გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები (აქტივობა 2.2.3.5. და 2.2.3.6.).

საერთო ჯამში, ამ მიზნის მიღწევისათვის განსაზღვრული პოლიტიკის შედეგების დადგენის კუთხითაც ჩანს მკაფიო პროგრესი.

წარმატებული საქმეები ნარკოტრანზიტთან ბრძოლის სფეროში

საქმე 1

2018 წლის 26 მარტს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პოლიციის ურთიერთთანამშრომლობით დაიწყო გამოძიება საქმეზე ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ირკვეოდა, რომ 2018 წლის 12 მარტს დაახლოებით 18:00 საათზე ქ. ლაიფციგის (Leipzig) აეროპორტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელმა განახორციელა კონტროლი DHL-გზავნილზე.

გზავნილის მონაცემების მიხედვით ტვირთი აღწერილია, როგორც ხელნაკეთი („HAND MADE GOODS AS PER INVOICE“) და მისი ღირებულება ინვოისის მიხედვით შეადგენს 108,00 ამერიკულ დოლარს, ხოლო მოცულობითი წონა შეადგენს: 28,5 კგ.-ს. გზავნილის ტვირთის დეტალური მონაცემებია: საერთო წონა: 28,4 კგ; სიგრძე: 55 სმ; სიგანე: 35 სმ; სიმაღლე: 34 სმ. გერმანიის ქ. ლაიფციგის (Leipzig) აეროპორტში გზავნილი გატარდა რენტგენის აპარატში და გაიხსნა. რენტგენის აპარატიდან მიღებული ფოტოები იძლეოდა შეფუთვაში არსებული არათანაბარი ნივთიერების არსებობის საფუძველს. გზავნილის გახსნის შემდეგ დადასტურდა შეფუთული სახით 7 ბუდისტური ფიგურის და 5 ბუდას ფიგურის თავის არსებობა. არათანაბარი ნივთიერების გადამოწმების მიზნით მოხდა ერთ-ერთი ფიგურის გაბურღვა. პირველი შეხედვით გამოჩნდა მუქი ყავისფერი, მტკიცე ნივთიერება, რომელსაც ჰაშიშის სურნელი სდიოდა. ჩატარდა „DrugWipe“ და ESA - ჰაშიშ ტესტი; ორივე შემთხვევაში მიღებული იქნა დადებითი პასუხი. შიგთავსის წონის დასადგენად გაიხსნა ასევე ერთ-ერთი ბუდის ფიგურის თავი, სადაც ასევე მუქი ყავისფერი, მტკიცე ნივთიერება აღმოჩნდა. თითოეული შიგთავსის წონამ შეადგინა 1,8 კგ. ნივთიერება, აქედან გამომდინარე, სრული შემადგენლობის წონით დაახლოებით 9 კგ. ჰაშიშის არსებობა დადგინდა. გზავნილის შემადგენლობა სრულად იქნა ამოღებული და როგორც გამომგზავნის, გერმანიაში ასევე მიმღების წინააღმდეგ იქნა საგადასახადო საქმის წარმოება დაწყებული. საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებაზე გერმანიის პროკურატურის მიერ გაცემული, იქნა თანხმობის ნებართვა, რომლის შესახებაც ეცნობა ქართულ მხარეს და თანხმობა ეცნობა გერმანულ მხარეს წერილობით. მას შემდეგ რაც ტელეფონის ნომრებით დადგინდა გზავნილის გამომგზავნის და მიმღების პიროვნებების ვინაობა, 2018 წლის 29

მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოდან აღებული იქნა განჩინებები ფარული საგამომიებო მოქმედებების, გ. ს. კუთვნილ მობილური ტელეფონის ნომერზე და გ. კ. კუთვნილ მობილური ტელეფონის ნომერზე. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება - ჩაწერისა და ასევე გ. ს. და გ. კ. მიმართ „ფარული ვიდეო ჩაწერა ან/და აუდიო ჩაწერა და ფოტოგადაღების შესახებ. 2018 წლის 03 აპრილს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კრიმინალური პოლიციის ატაშეს მიერ გამოგზავნილი იქნა წერილი, რომელიც ეხება საქართველოში 9 კგ. ნარკოტიკული საშუალება ჰაშიშის შემოტანის ფაქტს. შემოსული წერილის მიხედვით ირკვევა, რომ შეთანხმებული კონტროლირებადი მიწოდების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში DHL-გზავნილს, 9კგ. ჰაშიშის შემცველობით, 2018 წლის 04 აპრილს თვითმფრინავის სალონით პირადად ჩამოიტანს, მეზაჟე-ინსპექტორი: თ. მ. მიუნჰენიდან თბილისში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2018 წლის 03 აპრილს წერილობით ეცნობა საქართველოს მთავარ პროკურატურას და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს. 2018 წლის 04 აპრილს საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდების ფარგლებში თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მეზაჟე-ინსპექტორ თ. მ. საბაჟო პროცედურების გავლის შემდეგ მოხდა DHL- გზავნილის ზედნადების მიღება-ჩაბარების აქტით გადმოცემა, დალუქულ მდგომარეობაში.

2018 წლის 12 აპრილს ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა გ. კ. რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა ხსენებული ამანათი, მასში არსებული ქანდაკებებით, რომელშიც მოთავსებული იყო 1165,35 გრამი ნარკოტიკულ საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლი.

საქმე 2

2017 წლის 12 ივნისის წერილით მოლდოვის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების დეპარტამენტიდან, გამოგზავნილი იქნა შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ, მოლდოვას რესპუბლიკაში წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სპეციალური საგამომიებო ზომების საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდების განხორციელების შესახებ.

2015 წლის 10 აგვისტოს მოლდოვას რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის სამართლებრივი დევნის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46, 248-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და 2015 წლის 24 აგვისტოს მითითებულ სისხლის სამართლის საქმესთან გაერთიანდა სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულისათვის გათვალისწინებული მოლდოვას რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 217¹ მუხლის, მე-4 პუნქტის „ბ“ და „დ“ პუნქტებით.

მოცემულ საქმეზე 2015 წლის 09 აგვისტოს გიურგიულესტი-რენის (Giurgiulesti-Reni) საბაჟო გამშვებ პუნქტზე საზღვრის გადაკვეთისას დაკავებულ იქნა დ. ი. ი. რომელიც მართავდა

ავტომატურად ნახევრად მისაბმელს, მითითებულ მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებაში მოწყობილი სპეციალური სამალავიდან ამოღებული იქნა – 253 პაკეტად დაფასოებული ფხვნილი, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, საერთო ჯამში 126,671.523 გრამის ოდენობით.

2015 წლის 22 ოქტომბერს აღნიშნული საქმიდან დ. ი. ი.-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება გამოიყო ცალკე წარმოებად და გადაგზავნილ იქნა ოფიციალური ბრალდებით სასამართლო განხილვისთვის.

მოლდოვის რესპუბლიკაში საქმეზე ჩატარებული გამოძიებისა და სპეციალური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა, რომ დ.ი.ი-თან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები ა.მ.ა; (რომელიც არის საქართველოში 2013 წელს ამოღებული 116 კგ ჰეროინის და 2014 წელს 2700 ლტ. თხევადი ჰეროინის მიმღები და ორგანიზატორი პირი მოლდოვას რესპუბლიკაში) ო. ლ; ა. ე. ნ; და სხვები. აღნიშნულ პირებთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები ამჟამად გეგმავენ მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონტრაბანდის სახით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ გადაზიდვას.

მოლდოვის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული სპეციალური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა, რომ მითითებული კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა 2017 წლის მაისის თვეში შეიძინეს "YildizTreyler" ფირმის 2015 წელს გამოშვებული "YT 3DYR" ტიპის ნახევარ-მისაბმელი და მითითებულ მისაბმელში მოაწყვეს სპეციალური სამალავი მოლდოვას რესპუბლიკაში კონტრაბანდის სახით შესატანი ნარკოტიკული საშუალებების დასამალად.

ასევე, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, დგინდება, რომ 2017 წლის 02 ივლისს, უკრაინიდან ილიჩევსკის პორტიდან საქართველოს მიმართულებით, კერძოდ ბათუმის პორტში უნდა შემოვიდეს "YildizTreyler" მოდელის 2015 წელს გამოშვებული ნახევრად მისაბმელი, რომელსაც მართავს მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე ჯ. კ. ხ. აღნიშნული პირი სატვირთო ა/მანქანით უნდა ჩავიდეს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, სადაც მითითებულ სატრანსპორტო საშუალებაში უნდა ჩატვირთოს ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი, რის შემდეგ ტრანზიტით – აზერბაიჯანის, საქართველოს და უკრაინის გავლით ბრუნდება საბოლოო დანიშნულების ადგილზე, მოლდოვას რესპუბლიკაში.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში შემოსული სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, რომელიც ეხება საერთაშორისო კონტროლირებადი მიწოდების განხორციელებას, არსებული კანონმდებლობის მიხედვით 2017 წლის 16 ივლისიდან, 19

ივლისამდე განხორციელდა სატვირთო ა/მანქანის და მისაბმელის კონტროლირებადი მიწოდება. ა/მანქანას მართავდა მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქე კ.ჟ. აღნიშნული სატვირთო ა/მანქანის და მისაბმელის კონტროლირებადი მიწოდება განხორციელდა სასაზღვრო გამშვები პუნქტი წითელი ხიდიდან, ბათუმის პორტამდე, რის შემდეგაც ა/მანქანამ და მისაბმელმა 2017 წლის 19 ივლისს გემით სახელწოდებით „კაუნასი“ დატოვა საქართველოს საზღვარი, უკრაინის რესპუბლიკის მიმართულებით.

საქმე 3

2018 წლის 3 დეკემბერს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ერთობლივად მიღებული ოპერატიული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტთან დაკავშირებით, დაკავებული იქნა პორტუგალიის მოქალაქე, რომლის ბარგიდან ამოღებული იქნა 3.1 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება - კოკაინი.

მიზანი 3. კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე ტექნოლოგიებზე მზარდ დამოკიდებულებასთან ერთად გაიზარდა კიბერდანაშაულის საფრთხე, რომელიც მომდინარეობს, როგორც ცალკეული დამნაშავეებისგან, აგრეთვე, ორგანიზებული ჯგუფებისგან. დამნაშავეები დანაშაულებრივ საქმიანობაში ხშირად მიმართავენ კიბერდანაშაულის ისეთ სახეებს, როგორიცაა: კომპიუტერულ სისტემაზე უნებართვო წვდომა, მონაცემთა ხელში ჩაგდება, მონაცემთა ხელყოფა, მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება, კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა, საბანკო თაღლითობა, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაული, კიბერ მეთოდებით ჩადენილი სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაული, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაცია ინტერნეტის გამოყენებით, ასევე სხვადასხვა სახის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები, მაგალითად თაღლითობა, გამოძალვა.

საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს კრიტიკული ინფრასტრუქტურისა, ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება, კიბერდანაშაულის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები.

კიბერდამნაშავეები აზიანებენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს და ინფორმაციულ სისტემებს, ასევე იყენებენ კიბერსივრცეს სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად. ამ დეკლარირებული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება, მათ შორის საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, რაც კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდულ გადახედვასა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანას გულისხმობს. ამასთან ერთად, სისტემატიურად ხორციელდება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება, რაც შინაარსობრივად კიბერდამნაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლების პროფესიული და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას ემსახურება.

კიბერდამნაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განისაზღვრა კონკრეტული სტრატეგიული ამოცანები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და ხარისხს. **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება (3.2.1.), საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (3.2.2.) და სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური განვითარება (3.2.3.)** წარმოადგენს ძირითად ამოცანებს, რომლების შესასრულებლად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ, პარტნიორობთან ერთად, განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები.

ამოცანა 3.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა ნაბიჯები, რომელიც მიზნად ისახავდა **საზოგადოების ინფორმირებას (ამოცანა 3.2.1.)** კიბერდამნაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ, საინფორმაციო კამპანიების წარმოებას სოციალურ ქსელებსა და შესაბამისი უწყებების ვებ-გვერდებზე, სატელევიზიო რგოლების დამზადებასა (**აქტივობა 3.2.1.1.**) და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მიერ საინფორმაციო შეხვედრების გამართვას (**აქტივობა 3.2.1.2.**) კიბერდამნაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ. **შესრულების ინდიკატორს** წარმოებული საინფორმაციო კამპანიებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობის მაჩვენებელი, ხოლო **პოლიტიკის შედეგს** კი ინფორმირებული საზოგადოება წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, შესაძლო **რისკად** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაკმარისი მატერიალური რესურსი განისაზღვრა.

2017 წლის პირველ და მეორე კვარტალში, კიბერუსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაული პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს

ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ზოგადი ინფორმაცია - რა არის კიბერდანაშაული და როგორ უნდა დაიცვას მოქალაქემ მისგან თავი. ასევე, კიბერდანაშაულის მსხვერპლთათვის ამოქმედდა სპეციალური ცხელი ხაზის ნომერი. კიბერუსაფრთხოების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, მედიაჰოლდინგ „კვირა“-მ შექმნა ვებგვერდი cyber.kvira.ge, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია, როგორც საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის, ისე ქვეყნის წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი გამოწვევების შესახებ. პროექტის აქტიური მხარდამჭერია შს სამინისტრო, ვებგვერდზე კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების ინტერვიუები ინტენსიურად იდება. ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობასთან განხორციელდა ერთი საინფორმაციო შეხვედრა კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.1.1. წარმოებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა	ინფორმაცია განთავსდა შს სამინისტროს ვებ-გვერდზე; ამოქმედდა ცხელი ხაზი; შსს აქტიურად ჩართულია cyber.kvira.ge პროექტში	შესრულებულია
3.2.1.2. გამართული შეხვედრების რაოდენობა	გაიმართა 1 შეხვედრა	შესრულების პროცესშია

ცხრილიდან ჩანს, რომ აქტივობების შესრულების ინდიკატორები ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად დაკმაყოფილებულად, მაგრამ გამართული შეხვედრების რაოდენობა და პერიოდი გვამღვებს საშუალებას ვთქვათ, რომ ამ ნაწილში შესრულების პროცესი მიმდინარეობს და ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მხოლოდ ნაწილობრივ. შესრულების მაჩვენებლის გათვალისწინებით მომავალში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესი ამ მიმართულებით სასურველია დაიგეგმოს უფრო თანმიმდევრულად ინდიკატორის მიმართებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული არაერთჯერადი საინფორმაციო კამპანიებისა და ისეთი შეხვედრების გამართვის პარალელურად, რომლის მიზანს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, მიღწეულ იქნა აქტივობით განსაზღვრული **პოლიტიკის შედეგი**. ამოცანის ჩარჩოში მოქცეული აქტივობების შესრულებიდან გამომდინარე, ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად შესრულებულად, მაგრამ ამის მიუხედავად, საჭიროა სამართალდამცავი სტრუქტურების აქტიური ჩართულობის გაგრძელება, რაც უნდა აისახოს სამომავლო სამოქმედო გეგმაში.

ამოცანა 3.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწის (3.2.2.) მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გამოვლენილი საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე მომზადებული და განხორციელებული კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა (აქტივობა 3.2.2.1). შესრულების ინდიკატორს საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებების მაჩვენებელი, ხოლო პოლიტიკის შედეგს განახლებული საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვისა და ცვლილებების შეტანის კუთხით, პოლიტიკის შედეგის მიღწევის შესაძლო რისკს საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება წარმოადგენდა.

კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვისა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანის კუთხით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიზნით, საქართველოს პარლამენტში შექმნილია ჯგუფი, რომლის სამუშაო პროცესშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.2.1 საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებები	მიმდინარეობს ცვლილებების შემუშავება	შესრულების პროცესშია

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებების განხორციელების მიმართულებით, ხოლო რისკი ჯერ ჯეროვით არ დადასტურდა, ვინაიდან პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ არ წარედგინა. აღნიშნული აქტივობის სტატუსის გათვალისწინებით, ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს არასაკმარისი დრო და კოორდინაცია პროცესში ჩართულ მხარეებს შორის, რაც სასურველია გათვალისწინებული იყოს მომავალში, რადგან მიზანშეწონილია, იგივე ან მსგავსი მიმართულების აქტივობა გათვალისწინებული იყოს სამომავლო სამოქმედო გეგმაშიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც აქტივობა და შესაბამისად ვერც ამოცანა შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

ამოცანა 3.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური განვითარების (3.2.3.) კუთხით პროგრესზე მეტყველებს პირველ რიგში ის, რომ 2018 წელს პოლიციის მიერ დაკავებული 129 კიბერდამნაშავე 39%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. ამ შედეგის მისაღწევად საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი აქტივობები ადამიანური რესურსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უწყებათაშორისი ურთიერთობების განვითარებისთვის.

მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაიგეგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული თანამშრომლების პროფესიული და საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარება (აქტივობა 3.2.3.1.), ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება. შესრულების ინდიკატორს ჩატარებული ტრენინგებისა და დატრენინგებულ თანამშრომელთა რაოდენობა, ხოლო პოლიტიკის შედეგს გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები წარმოადგენდა. ამასთან, პოლიტიკის შედეგის მიღწევის მიმართულებით არსებულ რისკად, არასაკმარისი მატერიალური რესურსი განისაზღვრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით, გადაიდგა კონკრეტული ეფექტური ნაბიჯები. კერძოდ, 2017-2018 წლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 13 (ცამეტი) თანამშრომელმა, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახის 8 (რვა) თემატურ ტრენინგსა და სწავლებაში. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებების ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განხორციელდა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირებს ჰქონდათ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწავლების მიმართულება მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კიბერდანაშაულის გამოძიების ზოგადი საკითხები, ღია წყაროების გამოყენება კიბერდანაშაულის გამოძიების საკითხებში, „პროგრამული უზრუნველყოფა „პითონის“ გამოყენება კიბერგამოძიებაში, ბავშვთა პორნოგრაფიის გამოძიება, ჰაბიტოსკოპიური და ფოტო/ვიდეო/ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო სემინარი, ქსელის საფუძვლები, ღია წყაროების ინსტრუმენტების გამოყენება, საბაზისო საექსპერტო ანალიზი, საერთაშორისო თანამშრომლობა, ფინანსური კიბერ დანაშაული, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლადა ა.შ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები რეგულარულად გადიან ტრენინგებს და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა შინაარსის მქონე კონფერენციებსა და სასწავლო ვიზიტებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 5 (ხუთი) ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის 16 (თექვსმეტმა) თანამშრომელმა. სწავლებებისა და ტრენინგების თემატიკა მოიცავდა კომპიუტერებსა და

ქსელში შედწევის, ელექტრონული გზით ჩადენილი დანაშაულის, მსხვერპლისა და დამნაშავის კომპიუტერის შემოწმების, კომპიუტერისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებით ჩადენილი თაღლითობის შემთხვევებსა და თანამედროვე სქემებს. ასევე, კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიებასა და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების მოძიებას, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას ინტერნეტში: მეთოდოლოგიას, თანამედროვე ტექნიკისა და პროგრამების გაცნობას, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ევროკავშირის კიბერ დიპლომატიას, ეროვნული კიბერ უსაფრთხოების ზოგად პრინციპებს, კიბერ საფრთხეებსა და სხვა საერთაშორისო გამოწვევებს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა ევროპის კავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში, რაც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებისა და გარკვეული სტანდარტების შესწავლის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშის შესრულების ფარგლებში, ასევე მნიშვნელოვანია შსს სსიპ აკადემიის მიერ განხორციელებული აქტივობები, რომელიც საქართველოს მთავრობის ზოგადი პოლიტიკისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმის ნაწილს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, შსს სსიპ - აკადემიის მიერ შემუშავდა კიბერდანაშაულის გამოძიების, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსი. კურსის მიზანია მონაწილეებს აუმაღლოს და განუმტკიცოს ის ცოდნა, რაც საჭიროა შესაბამისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად, კიბერდანაშაულის შემთხვევების კვალიფიკაციისა და გამოძიებისათვის, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების ზომების მისაღებად. ასევე, მნიშვნელოვანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის თანამშრომლობის ფარგლებში, მავნე კოდის ანალიზისა და გამოძიების შესახებ ხუთდღიანი რეგიონული ტრენინგის განხორციელება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებს კომპლექსური კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიებისა და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების დადგენის კუთხით მნიშვნელოვანი გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა მიეცათ. ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დაიგეგმა და განხორციელდა რეგიონული ტრენინგის - „პითონზე დაპროგრამება გამომძიებლებისათვის“ შემდგომი ეტაპი, რომლის მიზანი იყო კომპლექსური კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიება და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების დადგენა.

ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა 9 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებში მომზადდება/გადამზადდება სისტემის 148 წარმომადგენელმა გაიარა. აღნიშნულ აქტივობებში პროკურატურის სისტემის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვა საგამომიებო და მიზნობრივი უწყებების წარმომადგენლები.

ჯამურად, 30 სწავლებასა და ტრენინგში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 427-მა თანამშრომელმა. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამების პარალელურად, მიღწეულ იქნა შესაბამისი აქტივობით განსაზღვრული პოლიტიკის შედეგი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და დატრენინგებულ თანამშრომელთა რაოდენობა	ჩატარდა 30 სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობა; გადამზადდა არანაკლებ 427 შსს-ს და პროკურატურის თანამშრომელი	შესრულებულია

შესრულების მაჩვენებლის მიხედვით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ხოლო აქტივობის პროცესის შესრულებისას განსაზღვრული რისკი არ დადასტურდა. აღსანიშნავია ასევე ის, რომ აქტივობა შესრულებულია გამოკვეთილი ხარვეზების გარეშე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტებისა და შსს სსიპ - აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით დაიგეგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება (აქტივობა 3.2.3.2.). შესრულების ინდიკატორს დაწერგილი სიახლეები პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით და შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობა, ხოლო პოლიტიკის შედეგს განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოადგენდა. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების კუთხით დასახული მიზნის მიღწევის გზაზე, შესაძლო რისკად არასაკმარისი მატერიალური რესურსი და ასიგნებების შემცირება/შეზღუდვა განისაზღვრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით, გადაიდგა კონკრეტული თანმიმდევრული ნაბიჯები. კერძოდ, 2017 წლის პირველ ნახევარში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში, შსს სსიპ - აკადემიაში დაარსდა კიბერდანაშაულის შემთხვევის ადგილის იმიტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც მსმენელებს საშუალება ექნებათ იმიტირებული შემთხვევის ადგილზე შეძლონ, ჩაატარონ საგამომიებო მოქმედებები ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. განხორციელდა თითოეული ჩატარებული საგამომიებო მოქმედების ვიდეო გადაღება და მისი

საღეჭციო რეჟიმში განხილვა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული კურსი პრაქტიკულ სწავლებაზეა ორიენტირებული.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, შსს - სსიპ აკადემიისა და შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და განახლება, რაც კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების წინაპირობაა. საანგარიშო პერიოდის ბოლომდე იგეგმება კომპიუტერული ტექნიკისა და სხვადასხვა კიბერდანაშაულის ჩასაძენად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობების შეძენა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, 2018 წლის მაისში დასრულდა შესყიდვის პროცედურები საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სისტემა UFED Cellebrite შესაძენად, რომელიც გამოიყენება მობილური ტელეფონებიდან, პლანშეტური კომპიუტერებიდან, ნავიგატორებიდან და სხვა ციფრული ინფორმაციის მატარებელი გაჯეტებიდან ინფორმაციის ამოღების, გაშიფვრის, აღდგენისა და ანალიზისათვის. ამასთან, 2018 წლის ოქტომბერში შეძენილ იქნა ინტერნეტ არტეფაქტების ამოღების, ანალიზისა და დახარისხების პროგრამული უზრუნველყოფის Magnet Forensics-ის ლიცენზიის და პროგრამის განახლებული ვერსია.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.3.2. დანერგილი სიახლეები პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით, შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობა	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება განხორციელდა 3 მიმართულებით; 1 მიმართულებით შესრულების პროცესშია	შესრულებულია

შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე მეტწილად დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა და მიზანშეწონილია ამ მიმართულებით აქტივობები გათვალისწინებული იყოს სამომავლო სამოქმედო გეგმაშიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ჩართულობით დაიგეგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის შეხვედრების გამართვა (აქტივობა 3.2.3.3.). შესრულების ინდიკატორს გამართული შეხვედრების რაოდენობა, ხოლო პოლიტიკის შედეგს გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა აღნიშნული აქტივობის შესრულებისა და პოლიტიკის შედეგით გათვალისწინებული მიზნის მიღწევის ძირითად რისკად განისაზღვრა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, ერთობლივი ამოცანების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში გაიმართა და მიმდინარეობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის შეხვედრები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ჩართულობით გაიმართა 8 შეხვედრა, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. აღნიშნული სამმართველო, პერმანენტულად მართავს შეხვედრებს პარტნიორ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, CERT.GOV.GE და ა.შ.). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა ერთეულებმა 2018 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით 15 შეხვედრა გამართეს.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა	გაიმართა 23 შეხვედრა	შესრულებულია

ცხრილიდან ჩანს, რომ შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა. აქტივობის შესრულების მაჩვენებლის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორით მოცემული პროცესი კონკრეტული ხარვეზების გარეშე შესრულებული. წარმატებული მაჩვენებლის მიუხედავად, ძნელია ვთქვათ მიღწეულ იქნა თუ არა **პოლიტიკის შედეგი**.

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიგეგმა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და შეხვედრების გამართვა (**აქტივობა 3.2.3.4.**). **შესრულების ინდიკატორს** ეფექტიანი კოორდინაცია, გამართული შეხვედრების რაოდენობა და შეხვედრებზე განსახილველი საკითხების იდენტიფიცირება, ხოლო **პოლიტიკის შედეგს** გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა წარმოადგენდა. ამასთან, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და შეხვედრების გამართვის ორგანიზების აქტივობის შესრულების მთავარ **რისკად**, შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა განისაზღვრა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
3.2.3.4. ეფექტიანი კოორდინაცია, გამართული შეხვედრების რაოდენობა და შეხვედრებზე განსახილველი საკითხების იდენტიფიცირება	გაიმართა 3 შეხვედრა	შესრულებულია

შესრულების ინდიკატორი ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, რადგან განსახილველი საკითხების იდენტიფიცირების აღრიცხვა წარმოადგენს სირთულეს, ამის მიუხედავად, ინდიკატორის შინაარსის გათვალისწინებით, აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

შეჯამება

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

ამოცანა	შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულებულია	არ შესრულებულა
ამოცანა 3.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	1	1	
ამოცანა 3.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა		1	
ამოცანა 3.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება	4		
სულ	5	2	0

ინფორმირებული საზოგადოების (აქტივობები 3.2.1.1. და 3.2.1.2.) პოლიტიკის შედეგის კუთხით, გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები - მასალების გავრცელების კუთხით ხარვეზები არ გამოვლენილა, ხოლო უწყებების წარმომადგენლების მიერ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრების გამართვა საჭიროებდა მეტ ყურადღებას, ასევე როგორც განახლებული საკანონმდებლო ბაზის (აქტივობა 3.2.2.1) პოლიტიკის შედეგი, ხოლო გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობების (აქტივობა 3.2.3.1.), განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (აქტივობა 3.2.3.2.) და გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის (აქტივობები 3.2.3.3. და 3.2.3.4.) პოლიტიკის შედეგების მიღწევის კუთხით დაფიქსირებულია პროგრესი.

საქმე 1

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ასევე იმ კონკრეტული შემთხვევების წარმოდგენა და ანალიზი, როდესაც წარმატებით განხორციელდა რეაგირება ან პრევენცია კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, აკრძალული შინაარსისა და პროგრამული მასალების გავრცელებასთან ბრძოლის განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულში ჩაბმული პირები, მართლსაწინააღმდეგო გზით ახორციელებდნენ ერთ-ერთი კომერციული დაწესებულების სახელის გამოყენებას სოციალურ ქსელში და ქმნიდნენ არარსებული გათამაშების იმიტაციას, შეცდომაში შეჰყავდათ მომხმარებლები და მოტყუებით, მათი პირადი ინფორმაციის იდენტიფიკაციის საფუძველზე ეუფლებოდნენ კონკრეტული პირების საბანკო ანგარიშის მონაცემებს. 2018 წლის სექტემბრის თვეში, კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაულის ფარგლებში, ბრალი წარედგინათ კონკრეტულ პირებს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენისთვის საქართველოს სსკ-ის 285-ე მუხლის პირველი ნაწილით და 158-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმე 2

ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს აკრძალული შინაარსისა და პროგრამული მასალების გავრცელებასთან ბრძოლის განყოფილებაში, 2018 წლის 23 იანვარს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა კონკრეტული პირების საკრედიტო ანგარიშების უკანონოდ მოპოვებასა და მათ მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას, რითაც ზარალი მიაღება ერთ-ერთი კომერციული დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელს. დანაშაული ითვალისწინებდა სხვისი პირადი ანგარიშიდან წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვას თავისი ან სხვა ისეთი პირის ანგარიშზე, რომელიც მოქმედებდა მასთან შეთანხმებით. შედეგად, აღნიშნულ საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს აკრძალული შინაარსისა და პროგრამული მასალების გავრცელებასთან

ბრძოლის განყოფილების მიერ საქმეზე დროული და ეფექტური რეაგირების შედეგად, 2018 წლის 21 მარტს კონკრეტულ პირს წარედგინა ბრალი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მიზანი 4. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სრულფასოვნად და ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად, დამტკიცდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია. საპოლიციო ანალიზის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის სრულყოფილად შეგროვება და სისტემურად მართვა, იმისათვის, რომ ანალიტიკოსებმა შეძლონ დანაშაულის კვლევა და პრობლემების გადაწყვეტის სწორი გზების დასახვა.

სამოქმედო გეგმის ანგარიშის კონტექსტში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით აქვს კონკრეტული მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობასა და მოქნილობას კონკრეტული დანაშაულებების გამოძიების მიმართულებით. ქმედითი და ხელშესახები შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, რაც მათ შორის მოიცავს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ეტაპობრივ დანერგვას მთელი ქვეყნის მასშტაბითა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციას, სასწავლო პროგრამების/სახელმძღვანელოების შემუშავებას და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პრევენციას. დანაშაულის პრევენცია აერთიანებს იმ საპოლიციო ზომებსა და სტრატეგიებს, რომლებიც მიზნად ისახავს დანაშაულისა და მისი პოტენციური ზიანის, მათ შორის, საზოგადოებაში დანაშაულის მიმართ არსებული შიშის შემცირებას, რაც დანაშაულის გამოძევები მიზეზების შესწავლითა და მათზე ზემოქმედებით მიიღწევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულზე რეაგირების (რეაქტიული მიდგომა) პრაქტიკის ჩანაცვლება პრევენციაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და საზოგადოებასთან მჭიდრო, ნდობაზე

დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება სახელმწიფოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ჩართულ პირთა პროფესიული და საგანანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარება, სასწავლო მოდულების შემუშავება და განვითარება. ამასთან, პრიორიტეტულია არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა და/ან შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელიც ასახავს საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობას.

ხაზგასასმელია აღნიშნული მიზნებისა და პრიორიტეტების ბენეფიციართა ფართო სპექტრი, კერძოდ კი, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლები, სხვა რელევანტური უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც თანმიმდევრულ პოლიტიკასთან ერთად მიიღებენ კონკრეტულ სარგებელს ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ თანამედროვე საპოლიციო მეთოდების დანერგვის პარალელურად. ზემოთჩამოთვლილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რიგი პროექტები, რომელთა შესრულება ემსახურებოდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის ხელშეწყობას ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებით.

ამოცანა 4.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (აღსს)

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (4.1.) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ასეთი მიდგომის დანერგვა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტშიც მნიშვნელოვანია. აღნიშნული მიზნის მიღწევის ფარგლებში სამინისტროს მთავარ მიმართულებად იქცა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ეტაპობრივი დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქვე-ამოცანა 4.1.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ეფექტური და თანმიმდევრული აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონტექსტში სამინისტროს შესაბამისი ერთეულების **ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას (4.1.2.1).** აქტივობა **4.1.2.1.1.-ის შესრულების ინდიკატორს** იმ ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა წარმოადგენს, სადაც განხორციელდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, ხოლო **პოლიტიკის შედეგს** კი გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები წარმოადგენდა. ასევე, ინსტიტუციური შესაძლებლობების კონტექსტში, **შესაძლო რისკად** განისაზღვრა ის სიძნეეები, რომელიც თან ახლავს აღნიშნული კონცეფციის დანერგვის განხორციელებას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. პირველ

ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა (აქტივობა 4.1.2.1.2.). შესრულების ინდიკატორს იმ პოლიციის სამმართველოების რაოდენობა წარმოადგენდა, სადაც განხორციელდა საპილოტე პროგრამა.

ინსტიტუციური შესაძლებლობების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით გადაიდგა კონკრეტული თანმიმდევრული ნაბიჯები. კერძოდ, 2017 წლის პირველ ნახევარში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გადამზადდნენ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამაში ჩართული პირები (ანალიტიკოსები), ქ. თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „Intelligence-led policing: a path to a smarter policing“, რომელშიც ევროპოლის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, გერმანიისა და შვედეთის წარმომადგენლებთან ერთად, საპილოტე პროგრამის ანალიტიკოსებიც მონაწილეობდნენ. „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შს მინისტრის 31/07/2017 წლის №407 ბრძანებითშინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოს, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებში 2016 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობდა, 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით გახანგრძლივდა.

შეიქმნა ინციდენტების აღრიცხვის ერთიანი სისტემა e-Police, რომელიც პორტატული პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით უზრუნველყოფს მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად დაფიქსირებასა და რეალურ დროში ასახვას ინციდენტის სახეობის, ადგილის, მასში მონაწილე პირებისა და სხვა აუცილებელი გარემოებების მითითებით და პროგრამაში აისახება დანაშაულის ცხელი წერტილების რუკა რეალურ დროში, რომელზეც მუშაობენ გადამზადებული ანალიტიკოსები და საპილოტე დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებენ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, საფრთხეებისა და რისკების შეფასებას, დანაშაულის ანალიზს და შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ამზადებენ ანგარიშებს და შეიმუშავენ რეკომენდაციებს. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვით შეიქმნება ინფორმაციის მართვისა და ანალიზის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ოპერატიულ-ტაქტიკურ, ასევე სტრატეგიულ დონეზე სწორად შეფასდეს არსებული ვითარება, რესურსები, მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება, პრიორიტიზირება, პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის განსაზღვრა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
-----------------------	------------------------	---------

4.1.2.1.1. ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა, სადაც განხორციელდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა	საპილოტე პროგრამა განხორციელდა 3 ტერიტორიულ ერთეულში	შესრულების პროცესშია
4.1.2.1.2. პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც განხორციელდა საპილოტე პროგრამა (მინიმუმ 5 პოლიციის სამმართველო)	საპილოტე პროგრამა განხორციელდა 3 ტერიტორიულ ერთეულში	ნაწილობრივ შესრულებულია

ამ აქტივობების შესრულების ინდიკატორები ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, რაც მიანიშნებს განსაზღვრული რისკების ნაწილობრივ გამართლებაზე. საერთო ჯამში მომზადებულია ამოცანის განხორციელებისთვის შესაბამისი ბაზა, რაც გვადლევს მისი მეტწილად შესრულებულად ჩათვლის საშუალებას. ამავდროულად, შესრულების პროცესში გამოიკვეთა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის იმპლემენტაციის პრობლემა, რაც საჭიროებს ამ მიმართულებაზე მეტი ყურადღების გამახვილებას როგორც კონკრეტულ ინსტრუმენტზე.

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის მიერ განხორციელდა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება (**აქტივობა 4.1.2.1.3.**), რასაც მნიშვნელოვანი როლი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და მომავალი თანამშრომლობის შერჩევისა და გადამზადების მიმართულებით. **შესრულების ინდიკატორს** სასწავლო პროგრამების/სახელმძღვანელოების რაოდენობა, ხოლო **პოლიტიკის შედეგს** კი გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახალი და ერთიანი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში შესაძლო არსებულ რისკად განისაზღვრა ის სირთულეები, რაც ზოგადად ახლავს ახალი სასწავლო მეთოდის დანერგვის პროცესს მისი უშუალოდ პრაქტიკაში დანერგვისა და განხორციელების კუთხით.

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ამოცანის მისაღწევად და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთეულების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების კონტექსტში საანგარიშო პერიოდში გადაიხედა და გადამუშავდა შსს სსიპ - აკადემიის მიერ ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, რომელიც დეტალურად მოიცავს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გადამუშავებული სასწავლო პროგრამის შემდეგ, გადამზადება გაიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს 26 (ოცდაექვსი) თანამშრომელმა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.1.2.1.3. სასწავლო პროგრამების/სახელმძღვანელოების რაოდენობა	შემუშავდა 1 სასწავლო კურსი	შესრულებულია

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და შესრულდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა (აქტივობა 4.1.2.1.4.). შესრულების ინდიკატორს ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა, ხოლო პოლიტიკის შედეგს კი გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები წარმოადგენდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაკმარისი მატერიალური რესურსი განისაზღვრა იმ შესაძლო რისკად, რომელსაც შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი ყოფილიყო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

ინსტიტუციური შესაძლებლობების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციის ფარგლებში, 2017 წლის მაისში გაერთიანებული სამეფოს ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგი ოპერატიული ანალიზის წარმოებაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს 23 (ოცდასამი) თანამშრომელმა. ამასთან, 2017 წლის ივლისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაზე სახელწოდებით „Intelligence-led policing: a path to a smarter policing“. ევროპოლის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, გერმანიისა და შვედეთის წარმომადგენლებმა სამინისტროს თანამშრომლებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და ამ მიმართულებით საკუთარ ქვეყნებში არსებული გამოწვევები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული ამოცანის, ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების კონტექსტში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, განხორციელდა კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, 2017 წლის მაისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებითა და გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სააგენტოს (NCA) ინიციატივით, შსს სსიპ -აკადემიაში ჩატარდა სასწავლო კურსი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, ოპერატიული ანალიზის წარმოების ტექნიკების განვითარებასთან დაკავშირებით. ამავე წლის ნოემბერში, სსიპ - შსს აკადემიაში გამართულ

ტრენინგს „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ინფორმაციული მართვის საკითხები“, მონაწილეობა მიიღო და დაესწრო შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 (თოთხმეტი) თანამშრომელი/ანალიტიკოსი.

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანი იყო 2018 წლის აპრილში, ქ. ვარშავაში (პოლონეთი) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობის" პროექტის ფარგლებში, „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის" შესახებ სასწავლო კურსი, რომელსაც სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან 4 (ოთხი) თანამშრომელი დაესწრო. ამავე წლის, 2018 წლის ივნისში, ათენში (საბერძნეთი), სამართალდამცავთა ტრენინგის ევროპული სააგენტოს CEPOL ორგანიზებით გამართულ სტრატეგიული ანალიზის კურსს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 (ერთი) ანალიტიკოსი დაესწრო.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.1.2.1.4. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	ჩატარდა 9 სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობა; გადამზადდა არანაკლებ 83 თანამშრომელი	შესრულებულია

არსებული მონაცემების მიხედვით, შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე მეტწილად დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა. აქტივობა შესრულებულია კონკრეტული ხარვეზების გარეშე.

ქვე-ამოცანა 4.1.2.2.1. საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა თანამედროვე საპოლიციო მეთოდებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა (4.1.2.2.) და შესაბამისი ცვლილებების შეტანა (აქტივობა 4.1.2.2.1.). შესრულების ინდიკატორს განხორციელებული ცვლილებები, ხოლო პოლიტიკის შედეგს განახლებული საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენდა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის გადახედვისა და ცვლილებების მიმართულებით, მთავარ გამოწვევად (რისკად) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაძლო შეუთავსებლობა განისაზღვრა.

ამ აქტივობის ფარგლებში, „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისთვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შს მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს №458 ბრძანება გამოიცა, რომელშიც ცვლილებები, შს მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №735 და 2017 წლის 31 ივლისის №407 ბრძანებების საფუძველზე შევიდა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.1.2.2.1. განხორციელებული ცვლილებები	განხორციელდა ცვლილება 1 საქართველოს შს მინისტრის ბრძანებაში	შესრულებულია

აქედან გამომდინარე, შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა.

ამოცანა 4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის (4.2) ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული ნაბიჯები.

ქვე-ამოცანა 4.2.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 მაისის, N275 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია (აქტივობა 4.2.2.1.1.). აქტივობის შესრულებისას რისკს მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, უშუალოდ კონცეფციის დამტკიცების დროს გამოვლენილი სირთულეები წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ აქტივობის შესრულებისას რისკი არ დადასტურდა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.2.2.1.1. დამტკიცებული კონცეფცია	კონცეფცია დამტკიცდა	შესრულებულია

პროფესიული და საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარების ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაგეგმა და განახორციელა არაერთი სასწავლო აქტივობა (აქტივობა 4.2.2.1.2) და სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ბაზაზე მოახდინა არსებული სასწავლო მოდულების განვითარება და ახალი მოდულების შემუშავება (აქტივობა 4.2.2.1.3.). აღნიშნული ღონისძიებების პოლიტიკის შედეგს გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები წარმოადგენდა. რისკად პროფესიული განვითარების ნაწილში არასაკმარისი მატერიალური რესურსი, ხოლო სასწავლო მოდულების განვითარების ან/და შემუშავების კუთხით მოდულის შემუშავებისას არსებული სირთულეები განისაზღვრა.

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. კერძოდ, 2017 წლის პირველი ნახევრის

განმავლობაში, შსს სსიპ - აკადემიაში სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საგნისთვის „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია“ დათმობილი საათების მოცულობა გაიზარდა და ამჟამად შეადგენს 6 აკადემიურ საათს. ამასთან, 2018 წლის განმავლობაში, შსს სსიპ - აკადემიაში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა პროგრამების გადამუშავება და განახლება, სადაც ისწავლება საგანი „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია“. ასევე, ამოცანის ფარგლებში დამტკიცებულია მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გადამზადების კურსი.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.2.2.1.2. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა	ჩატარდა 11 სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობა; გადამზადდა არანაკლებ 92 თანამშრომელი	შესრულებულია
4.2.2.1.3. შემუშავებული/განვითარებული სასწავლო მოდულები	შემუშავდა 3 სასწავლო მოდული; გადამზადდა 502 თანამშრომელი	შესრულებულია

ამ მიმართულებითაც შესრულების ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა.

ქვე-ამოცანა 4.2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და განხორციელდა არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა და/ან შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნის აქტივობა (4.2.2.2.1.). შესრულების ინდიკატორს განხორციელებული ცვლილებები, ხოლო პოლიტიკის შედეგს განახლებული საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება განისაზღვრა როგორც შესაძლო რისკი, რომელიც შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი ყოფილიყო განახლებული საკანონმდებლო ბაზის მისაღებად.

ამ აქტივობის ფარგლებში, გამოიცა შს მინისტრის 2017 წლის 25 მაისის №275 ბრძანება „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“. ამავე დროს, შს მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №42 ბრძანების საფუძველზე შევიდა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30

სექტემბრის №747 ბრძანებაში. დებულებას დაემატა მე-15 მუხლი, სადაც განისაზღვრა მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციები და კომპეტენცია. გარდა ამისა, შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 4 მაისის №1049594 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი, ხოლო შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის №2845287 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
4.2.2.2.1. არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა და/ან შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა	დამტკიცდა 3 საქართველოს შს მინისტრის ბრძანება; განხორციელდა ცვლილება 1 საქართველოს შს მინისტრის ბრძანებაში	შესრულებულია

ამ მიმართულებითაც შესრულების ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი რელევანტური არ აღმოჩნდა.

გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2018 წლის ივნისში, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში დაიწყო მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე განცხადებების მიღება, ხოლო შერჩეული კანდიდატები უკვე შემოდგომაზე შეუდგენ თავისი მოვალეობების შესრულებას. აქედან გამომდინარე, მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

შეჯამება

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

ამოცანა	შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულებულია	არ შესრულებულა
ამოცანა 4.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ადსს)			
ქვე-ამოცანა 4.1.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება	2	2	
ქვე-ამოცანა 4.1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	1		
ამოცანა 4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა			
ქვე-ამოცანა 4.2.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება	3		
ქვე-ამოცანა 4.2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	1		
სულ	7	2	0

აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი მოსალოდნელი პოლიტიკის შედეგები: გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები (აქტივობები 4.1.2.1.1., 4.1.2.1.2. და 4.2.2.1.1.), გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები (აქტივობები 4.1.2.1.3., 4.1.2.1.4., 4.2.2.1.2. და 4.2.2.1.3.) და განახლებული საკანონმდებლო ბაზა (აქტივობები 4.1.2.2.1. და 4.2.2.2.1.). იმის მიუხედავად, რომ ყველა მიმართულებით დაფიქსირდა მდგრადი პროგრესი, საყურადღებოა ძირითადი მიმართულებები ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის და იმპლემენტაციის კუთხით, რადგან მხოლოდ ეს აქტივობა არ არის სრულყოფილად შესრულებული ინდიკატორის მიხედვით, პოლიტიკის შედეგის გარკვეულწილად მიღწევის მიუხედავად.

მიზანი 5. საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

ორგანიზებული დანაშაულის ფართო მასშტაბებიდან გამომდინარე, მასთან ეფექტურად საბრძოლველად აუცილებელია მოკავშირე ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის წარმართვა როგორც ოპერატიულ, ასევე, არაოპერატიულ დონეზე. საქართველოსთვის ბოლო წლები მნიშვნელოვანი და ამავდროულად, წარმატებული იყო საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიმართულებით.

2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რაც ბოლო წლების საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიმართულებით მნიშვნელოვან და წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წელს წარმატებით შესრულდა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რის წარმატებაშიც დიდი წვლილი შეიტანა ეფექტურმა საერთაშორისო თანამშრომლობამ. შესაბამისად, ევროინტეგრაციის პროცესების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად, აუცილებელია, პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან არსებული მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნება და მისი შემდგომი გაღრმავება. ამისათვის, აქტიურად ფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმები ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარიგზავნა პოლიციის ატაშეები, ხორციელდება მნიშვნელოვანი ვიზიტები და საერთაშორისო შეხვედრები, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები ან/და თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს გაფორმებული ჰქონდა 27 პარტნიორ ქვეყანასთან (მათ შორის, 15 არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარგზავნილ ყავდა პოლიციის ატაშეები 13 ქვეყანაში (მათ შორის, ევროკავშირის წევრ 8 ქვეყანაში), საქართველო გახდა გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ყველა იმ ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის მონაწილე, რომელიც არეგულირებს ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებს.

სწორად განსაზღვრული პოლიტიკის შედეგად განხორციელებული რეფორმები უზრუნველყოფს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიღწეული შედეგების შენარჩუნებას, დანაშაულის პრევენციასა და საზოგადოებრივი ფასეულობების დაცვას, რაც განაპირობებს, როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონულ უსაფრთხოებას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა სტრატეგიული მნიშვნელობისაა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის და ზრდის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიდან მომდინარე საფრთხეებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2017-2018 წლების განმავლობაში განხორციელდა გარკვეული აქტივობები, რითაც გაუმჯობესდა საქართველოსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის თანამშრომლობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ორგანიზებული დანაშაული შესაძლოა არ წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებს შიგნით ჩადენილ დანაშაულს და ამიტომ მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს როგორც ჩვენი, ასევე მოკავშირე ქვეყნების საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებასა და მოქალაქეების ინტერესებს. აუცილებელია, ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტურად საბრძოლველად მოკავშირე ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა.

ამოცანა 5.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია ერთი ძირითადი ამოცანა - **საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება (5.2.1.)**. გარდა აქტივობების უმეტესობის სრულყოფილად შესრულებისა, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში მიღწეულ პროგრესზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ 2018 წელს უცხოელ კოლეგებთან გაიცვალა 11 332 ოპერატიული ინფორმაცია, რაც 10%-ით მეტია, ვიდრე 2017 წლის მაჩვენებელი. გარდა ამისა, ჩატარდა 19 ერთობლივი ოპერაცია საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში და პოლონეთში, რის შედეგადაც დაკავებულ იქნა დაკავებული იქნა საქართველოს 137 მოქალაქე, მათ შორის 13 კანონიერი ქურდი.

ასეთია მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა (**აქტივობა 5.2.1.1.**), რომელიც მიღწეულ იქნა **ინდიკატორის** სრული დაცვით, რაც გულისხმობდა ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმებას. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა არაერთი საერთაშორისო ოქმი, შეთანხმება, ურთიერთგაგების მემორანდუმი და სხვა.

2017 წელს ხელი მოეწერა სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის განმსაზღვრელ 11 საერთაშორისო შეთანხმებასა და ურთიერთგაგების მემორანდუმს, მათ შორის შეთანხმებას „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“. ასევე გრძელდება საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება 2018 წელსაც და მიმდინარე წელს გაფორმდა სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის განმსაზღვრელი 7 საერთაშორისო შეთანხმება და ურთიერთგაგების მემორანდუმი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამართალდაცვით სფეროსა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმებული საერთო ჯამში აქვს 31 პარტნიორ ქვეყანასთან (მათ შორის 17 არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა).

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების პროექტები მომზადებულია ხელმოსაწერად ან მოლაპარაკებების სხვადასხვა სტადიაზეა შემდეგ ქვეყნებთან: ჩეხეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ბელგია (საერთაშორისო ხელშეკრულება), ისლანდია (საერთაშორისო ხელშეკრულება), ლუქსემბურგი (საერთაშორისო ხელშეკრულება), სერბეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ალბანეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ესპანეთი (მემორანდუმები სამოქალაქო გვარდიასთან და ესპანეთის ეროვნულ პოლიციასთან), არაბთა გაერთიანებული საემიროები (საერთაშორისო ხელშეკრულება), კატარი (მემორანდუმი) და ინდონეზია (მემორანდუმი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამომავლოდაც გააგრძელებს სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის განმსაზღვრელი საერთაშორისო ხელშეკრულებების/ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებას.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.1 გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რაოდენობა	გაფორმდა 18 ხელშეკრულება და მემორანდუმი	შესრულებულია

აქტივობის ეფექტურად განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო პარტნიორი ქვეყნების პასიურობა, თუმცა საანგარიშო პერიოდში წარმატებით შესრულდა ინდიკატორით დასახული მიზანი და ამასთან, კიდევ იგეგმება სამომავლოდ საერთაშორისო ურთიერთობების მეტად გაძლიერება. აღნიშნული აქტივობის განხორციელების შედეგად, პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების რაოდენობა გაორმაგებულზე მეტია.

განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის მისაღწევად კიდევ ერთ ინდიკატორად განისაზღვრა საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების, ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობა, რომელიც გამართული იქნებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ან/და მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების ხელმძღვანელობით (აქტივობა 5.2.1.2.). აღნიშნული მაღალი დონის ორმხრივი საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების ფარგლებში განისაზღვრა თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებებისა და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები, რაც სრულ თანხვედრაშია შესრულების ინდიკატორთან.

2017 წელს სულ გაიმართა 15 ასეთი შეხვედრა, ხოლო 2018 წელს - 19. აღნიშნული ვიზიტები/საერთაშორისო შეხვედრები აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა, ხსენებული ვიზიტების/საერთაშორისო შეხვედრების დროს ქართულმა მხარემ ევროპელ პარტნიორებს წარუდგინა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, მათ შორის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
-----------------------	------------------------	---------

5.2.1.2 შეხვედრებისა და ვიზიტების რაოდენობა, ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობა (5 შეხვედრა)	განხორციელდა 34 შეხვედრა/ვიზიტი	შესრულებულია
---	---------------------------------	--------------

აღსანიშნავია, რომ აქაც პარტნიორი ქვეყნების პასიურობას შეეძლო ხელი შეეშალა მიზნის სრულად და ეფექტურად განხორციელებისთვის, თუმცა რეალურად განხორციელებული შეხვედრების რაოდენობამ ინდიკატორით განსაზღვრულ საერთაშორისო შეხვედრების დადგენილ რაოდენობას საგრძნობლად გადააჭარბა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად და ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განსავითარებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და შეხვედრების გამართვა (აქტივობა 5.2.1.3.), რაც კონკრეტული აქტივობის ინდიკატორად არის განსაზღვრული (5 შეხვედრა).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის შექმნა ორმხრივი სამუშაო ჯგუფები და მათ ფარგლებში 2017 წლის საანგარიშო პერიოდში გამართა 7 მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა, კერძოდ შვედეთის ეროვნული პოლიციისა და გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის პოლიციის ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან ქ. თბილისში და ასევე ქ. ჰააგაში გამართული ევროპის პოლიციის უფროსთა კონფერენციის ფარგლებში საბერძნეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიისა და კოლუმბიის პოლიციის ხელმძღვანელ პირებთან და წარმომადგენლებთან.

2018 წელს გაიმართა 5 მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა. მიმდინარე წლის იანვრის თვეში თურქეთში გაიმართა ერთობლივი კომისიის რიგით მე-7 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და თურქეთის ეროვნული პოლიციის წარმომადგენლებმა. მხარეებმა ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან, ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ამასთან, სექტემბრის თვეში ქ. ჰააგაში გამართული ევროპის პოლიციის უფროსთა კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი სამუშაო შეხვედრები შვედეთის, ესპანეთის, პოლონეთისა და ესტონეთის სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობას. ამ მიზნით საფრანგეთისა და იტალიის მხარეებთან 2018 წელს გაფორმებულ იქნა კონკრეტული დოკუმენტები, ხოლო 2018 წლის სექტემბერში უკრაინაში საქართველოს შს მინისტრის ვიზიტის დროს მხარეებმა იმსჯელეს ხსენებული ფორმატის სამუშაო ჯგუფის შექმნაზე.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.3 ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობა (5 შეხვედრა)	ჩატარდა არანაკლებ 12 შეხვედრა: 7 - 2017 წელს; 5 - 2018 წელს	შესრულებულია

ამ შემთხვევაშიც, პარტნიორი ქვეყნების პასიურობას შესაძლოა ხელი შეეშალა მისი ეფექტური განხორციელებისთვის, თუმცა, შესრულების მაჩვენებლის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდიკატორით დასახული შედეგი წარმატებით შესრულდა.

ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს პოლიციის ატაშეების ფარგლებში ეფექტიან საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას (აქტივობა 5.2.1.4.). ამისთვის განსაზღვრული ინდიკატორი, რომელიც ითვალისწინებს პოლიციის ატაშეების და მეკავშირე ოფიცრების, ასევე შეხვედრებისა და ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობას, ეტაპობრივად შესრულდა 2017-2018 წლების საანგარიშო პერიოდში და კიდევ იგეგმება მისი გაგრძელება. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა 22 შეხვედრას სხვადასხვა ქვეყნის ატაშესთან. მაგალითად, თებერვალში ორგანიზება გაუკეთდა ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონ კარლჰაინც გორტანოს ვიზიტებს შს სამინისტროში. შეხვედრები განხორციელდა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. მხარეებმა მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსა და სასწავლო ვიზიტების განხორციელების თაობაზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პოლიციის ატაშეებისა და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლობის ჩართულობით ესპანეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში განხორციელდა მნიშვნელოვანი ოპერაციები, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების დაპატიმრებას ისახავდა მიზნად. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უცხოელ პარტნიორებთან ერთად საქართველოში განხორციელდა კონტროლირებადი მიწოდების ოპერაცია.

2018 წლის მდგომარეობით შსს-ს ატაშეები წარგზავნილი ჰყავს 16 ქვეყანაში, ასევე, მეკავშირე ოფიცერი გაიგზავნა ევროპოლში. პოლონეთში წარგზავნილი პოლიციის ატაშე აკრედიტებულია ასევე ესტონეთში და შვედეთში წარგზავნილი პოლიციის ატაშე აკრედიტებულია დანიაში. იგეგმება არსებული ატაშეების აკრედიტაცია მესამე ქვეყნებში, კერძოდ პოლონეთში განთავსებული პოლიციის ატაშეს აკრედიტება ლატვიასა და ლიეტუვაში, ხოლო შვედეთში განთავსებული პოლიციის ატაშეს აკრედიტება ფინეთსა და ნორვეგიაში. ამ მიმართულებით დაწყებულია შესაბამისი პროცედურები.

პოლიციის ატაშეები/მეკავშირე ოფიცრები საქართველოში განთავსებულნი არიან 7 ქვეყნიდან, ხოლო რვაზე მეტი ქვეყნის პოლიციის ატაშეები/მეკავშირე ოფიცრები ფარავენ საქართველოს მესამე ქვეყნებიდან.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეების მიერ, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარებულ იქნა 9 ერთობლივი ღონისძიება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ერთობლივი ოპერაციების, მათ შორის კონტროლირებადი მიწოდებების განხორციელებაში პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობას. სამომავლოდ ასევე განხილული იქნება ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნა, განსაკუთრებით კი ევროპოლის ეგიდით შექმნილ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.4 პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების რაოდენობა; შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა	პოლიციის ატაშეები წარგზავნილია 16 ქვეყანაში; ევროპოლში წარგზავნილია 1 მეკავშირე ოფიცერი; საქართველოში განთავსებულია 7 უცხო ქვეყნის ატაშე/მეკავშირე ოფიცერი; ჩატარდა 31 შეხვედრა/ვიზიტი	შესრულებულია

აქტივობის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო პოლიციის ატაშეების ქსელის შემდგომი გაფართოების მიზანშეუწონლობა, თუმცა მისი რაოდენობის სამომავლოდ ზრდის გეგმა ცხადყოფს, რომ სავარაუდოდ გათვალისწინებული ხელისშემშლელი ფაქტორი არ გამართლდა.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის აუცილებელია ორმხრივი პროექტების, პროგრამების, სასწავლო ვიზიტებისა და კურსების, ასევე ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება და მასში მონაწილეობის მიღება, ამასთან შეხვედრების ფარგლებში გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება (აქტივობა 5.2.1.5). აღნიშნულის **ინდიკატორად** დასახულია გამართული სასწავლო ვიზიტებისა და სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი), რაც 2017-2018 წლების საანგარიშო პერიოდში წარმატებით შესრულდა.

2017 წლიდან 5 პროექტის განხორციელება დაიწყო. ასეთია, მაგალითად, პროექტი **„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა.“** პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები იყვნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები (პოლონეთი, ფინეთი, ავსტრია, ლიტვა, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი) და მის ბიუჯეტს წარმოადგენდა 5 მილიონი ევრო. საქართველოს გარდა, პროექტი ხორციელდებოდა ასევე სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, მოლდოვასა და ბელორუსიაში. პროექტს ზოგად მიზნებთან ერთად ჰქონდა კონკრეტული მიზნები, მათ შორის:

- პრაქტიკული საპოლიციო თანამშრომლობის გაზრდა პარტნიორ ქვეყნებს შორის;
- ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის და ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიური ნიშნების შესახებ;
- ცნობიერების ამაღლება და ევროკავშირის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სამართალდამცავი ორგანოების მართვის შესახებ.

პროექტის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა წევრ ქვეყანას ჰყავს თავისი პარტნიორი ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ლიტუვოა არის საქართველოს ძირითადი პარტნიორი, ხოლო შვედეთი დამატებითი პარტნიორი.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა 43 აქტივობა. 2017-2018 წლებში - 18 აქტივობა. აქტივობები მოიცავდა სასწავლო ვიზიტებს, კონფერენციებს, სემინარებს.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა 8 სხვადასხვა სახის საერთაშორისო აქტივობა, როგორიცაა სასწავლო ვიზიტი, კონფერენცია და ა.შ. ხოლო 2018 წლის საანგარიშო პერიოდში კი 7. ასევე, „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 8 აქტივობა. 2018 წელს კი განხორციელდა 2 სწავლება.

გარდა ამისა, 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის

თანამშრომელთა მიერ მონაწილეობა მიღებულ იქნა ჯამში 36 ღონისძიებაში (სასწავლო ვიზიტები, კურსები, ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები).

2018 წლის დეკემბერში გაიმართა მნიშვნელოვანი კონფერენცია, პოლიციის ატაშეების ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პოლიციის ატაშეები და საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიციის ატაშეები.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.5 გამართული სასწავლო ვიზიტებისა და სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი)	გაიმართა არანაკლებ 79 სასწავლო ვიზიტი, სასწავლო კურსი, ტრენინგი, სემინარი და კონფერენცია	შესრულებულია

აქტივობის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა გამხდარიყო არასაკმარისი მატერიალური რესურსი. თუმცა, როგორც ვხედავთ, აღნიშნული საერთო დაფინანსება საკმარისი აღმოჩნდა ინდიკატორის გადაჭარბებით შესრულებისთვის.

ინდიკატორი, რომელიც გულისხმობს ეფექტიან თანამშრომლობას, შეხვედრებისა და ერთობლივი ღონისძიებების, ასევე განხორციელებული კვლევების რაოდენობას (5 შეხვედრა), ზედმიწევნით სრულდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2017-2018 წლების საანგარიშო პერიოდში (**აქტივობა 5.2.1.6.**).

2017 წლის საანგარიშო პერიოდში გაიმართა 6 ასეთი საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა 2017 წლის ივლისში საქართველოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა. აღნიშნულ სემინარზე დასასწრებად საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ: საფრანგეთის კრიმინალური პოლიციის, ეროვნული ჟანდარმერიის საფრანგეთის კრიმინალური პოლიციის პარიზის პროკურატურის, ქ. ნენსის პროკურატურის, საფრანგეთის შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორატის წარმომადგენლები და საფრანგეთის რესპუბლიკის შიდა უსაფრთხოების ატაშეები რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, თურქეთის რესპუბლიკაში საბერძნეთის რესპუბლიკაში და საფრანგეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი. შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების მნიშვნელობა, ტერორიზმისა და კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული

გამოწვევები განიხილეს და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მეთოდებზე იმსჯელეს.

2018 წლის განმავლობაში გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი ვიზიტი და საერთაშორისო შეხვედრები. მაგალითად, 2018 წლის ივლისში განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ-ნი გიორგი გახარიას ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. სადაც გაიმართა შეხვედრები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელმძღვანელთან, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელთან და აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელთან. ასევე, საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ-ნი გიორგი გახარიას ვიზიტი განხორციელდა უკრაინაში და გაიმართა შეხვედრა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრთან, სადაც მხარეებმა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფოთაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე იმსჯელეს.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.6 ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, განხორციელებული კვლევების რაოდენობა (5 შეხვედრა)	გაიმართა არანაკლებ 6 შეხვედრა	შესრულებულია

აქტივობის შესრულებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შესაბამისი ვიზიტების სიმცირე, თუმცა როგორც ცხრილიდან ირკვევა, შესრულების ინდიკატორით გათვალისწინებული აქტივობა შესრულებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობით (აქტივობა 5.2.1.7.), რომელიც დაეფუძნება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. აქტივობის ინდიკატორს EUROPOL-თან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება და შეთანხმების იმპლემენტაცია, ხოლო პოლიტიკის შედეგს კი განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, შესაძლოა რისკად საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შესაბამისი ვიზიტების სიმცირე განისაზღვრა. შესრულების ინდიკატორი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, ხოლო რისკი არ დადასტურდა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.7 EUROPOL-თან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, შეთანხმების იმპლემენტაცია	შეთანხმებას მოეწერა ხელი და ძალაში შევიდა; ევროპოლის შტაბ-ბინაში წარიგზავნა მეკავშირე ოფიცერი	შესრულებულია

კერძოდ, 2017 წლის აპრილში, ევროპოლის დირექტორის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრმა და ევროპოლის დირექტორმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. 2017 წლის 15 ივნისს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა შეთანხმების რატიფიცირება, ხოლო შეთანხმება ძალაშია 2017 წლის 31 ივლისიდან. საქართველო გახდა ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა.

2018 წლის მარტში, ევროპოლთან ხელი მოეწერა უსაფრთხო კომუნიკაციის არხის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს და სამეკავშირეო შეთანხმებას. 2018 წლის სექტემბერში, წარიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი ევროპოლში. ასევე, უახლოეს პერიოდში სამინისტროში დამონტაჟდება ევროპოლთან უსაფრთხო კომუნიკაციის არხი.

ევროპოლთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შესაძლებელია ევროპოლის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით/ევროპოლის სხვადასხვა ანალიზის ჯგუფებში ექსპერტების ასოცირებით და ევროპოლის მიერ დაგეგმილ/ინიცირებულ ოპერაციებში, მათ შორის ერთობლივ საგამომიებო ჯგუფებში, მონაწილეობით.

2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ევროპოლის ეგიდით ქ. ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში გამართულ ევროპის პოლიციის უფროსთა ყოველწლიურ კონფერენციებში (EPCC). 2018 წლის სექტემბრის ბოლოს, კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ევროპოლისა და შვედეთის, ესპანეთის, პოლონეთისა და ესტონეთის სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია - ინტერპოლის (INTERPOL) თანამშრომლობით (აქტივობა 5.2.1.8.). შესრულების ინდიკატორს ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება, ტრენინგი/ვიზიტი), ხოლო პოლიტიკის შედეგს განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, **შესაძლო რისკად** ეფექტიანი თანამშრომლობის ნაკლებობა განისაზღვრა.

კერძოდ, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და ინტერპოლის წევრ ქვეყნებთან. საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო მოქმედებს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ შემუშავებული გეგმებისა და პროექტების შესაბამისად და უზრუნველყოფს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დანერგილი ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიწოდებასა და დანერგვას. თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების, სპეციალური უნარ-ჩვევების შეძენისა და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდებისა და საშუალებების გაცნობის მიზნით, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო მუდმივად აწვდის ინფორმაციას და საშუალებას აძლევს საქართველოს შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს მონაწილეობა მიიღონ ინტერპოლის გენერალური სამდივნოსა და ინტერპოლის წევრი ქვეყნების მიერ გასამართ კონფერენციებსა და სწავლებებში.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.8. ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება, ტრენინგი/ვიზიტი)	ჩატარდა არაბაკლებ 13 შეხვედრა/ერთობლივი ღონისძიება	შესრულებულია

აღნიშნული **მონაცემებიდან** ჩანს, რომ შესრულების ინდიკატორით განსაზღვრული შესრულების მაჩვენებელი სრულად დაკმაყოფილებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის სამართალდამცავთა ტრენინგის სააგენტოსთან (CEPOL) თანამშრომლობით (**აქტივობა 5.2.1.9**). **შესრულების ინდიკატორს** ეფექტიანი თანამშრომლობა შეხვედრების/ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი), ხოლო **პოლიტიკის შედეგს**, განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, **შესაძლო რისკად** ეფექტიანი თანამშრომლობის ნაკლებობა განისაზღვრა, შესრულების მაჩვენებლიდან გამომდინარე არ გამართლდა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.9. ეფექტიანი თანამშრომლობა შეხვედრების/ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი)	ჩატარდა 5 რეზიდენტული კურსი; პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 47-მა სამართალდამცავმა; განხორციელდა 4 შეხვედრა	შესრულებულია

CEPOL-თან თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წელს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო შსს-ს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის 25-მა თანამშრომელმა, ხოლო 2018 წელს - 22-მა თანამშრომელმა. გარდა ამისა, 2018 წელს შსს-ს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 5 რეზიდენტულ კურსებში. CEPOL-ის ეროვნული ქსელის მენეჯერის და გაცვლითი პროგრამის კოორდინატორის რანგში შსს აკადემიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 4 შეხვედრაში. აქედან გამომდინარე, ინდიკატორით განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულად დაკმაყოფილებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია - ბისეკ-ისა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავი ცენტრი - სელიკი-ის ფარგლებში არსებული თანამშრომლობით (აქტივობა 5.2.1.10.). შესრულების ინდიკატორს ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება), ხოლო პოლიტიკის შედეგს განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, შესაძლო რისკად ორგანიზაციების წევრი სხვა ქვეყნების პასიურობა განისაზღვრა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.10 ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება)	ჩატარდა 11 ერთობლივი ღონისძიება	შესრულებულია

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ გადაიდგა კონკრეტული თანმიმდევრული და გეგმაზომიერი ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სუამ-ის ფარგლებში ჯამში ჩატარდა ერთობლივი სამუშაო ქვეჯგუფების 10 სხდომა, შემდეგი მიმართულებებით: ნარკომანია, ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაცია, კორუფცია და ფულის გათეთრება, ტერორიზმი, სამართლებრივი სტატისტიკა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში გაიმართა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის 1 სხდომა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესრულების ინდიკატორი არის სრულყოფილად შესრულებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება (აქტივობა 5.2.1.11.). საჭიროების შემთხვევაში, იმ ახალი შესაბამისი მრავალმხრივი საერთაშორისო მრავალმხრივი დოკუმენტების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებისთვის აუცილებელი პროცედურების გატარებით, რომლებიც დაარეგულირებენ და განავითარებენ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შემავალ საკითხებს. **შესრულების ინდიკატორს** მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, ხოლო **პოლიტიკის შედეგს**, განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, **შესაძლო რისკად** შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შეუთავსებლობა განისაზღვრა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.11 მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები	დაგეგმილია 1 დოკუმენტის გაფორმება	შესრულების პროცესშია

იგეგმება, რომ ხელი მოეწეროს „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა 2018 წლის 11–12 ივნისს მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში, ქ. კიევში გამართულ კიბერუსაფრთხოების შესახებ სუამ-ის სამუშაო ჯგუფის რიგით მე-7 სხდომაში. ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში, მიმდინარეობდა კონსულტაციები „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის პროექტის ტექსტის შეჯერების მიზნით.

ამჟამად, „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის ხელმოსაწერად მომზადების მიზნით, მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დაიგეგმა მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს მარეგულირებელი, საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების წარდგენით (აქტივობა 5.2.1.12). შესრულების ინდიკატორს მომზადებული ანგარიშების რაოდენობა, ხოლო პოლიტიკის შედეგს განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენდა. კონკრეტული აქტივობით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში, შესაძლო რისკად შეუსრულებელი ვალდებულება განისაზღვრა.

შესრულების ინდიკატორი	შესრულების მაჩვენებელი	სტატუსი
5.2.1.12 მომზადებული ანგარიშების რაოდენობა	მომზადდა/შეესებულ იქნა არანაკლებ 16 ანგარიში/კითხვარი	შესრულებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული აქტივობების სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის, კერძოდ კი, საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების წარდგენის ფარგლებში სამინისტროს მიერ მომზადდა ჯამში 16 ანგარიში, რომელიც მიეწოდათ როგორც სახელმწიფო, ისე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. შედეგად, მიღწეულ იქნა აქტივობით განსაზღვრული შესრულების ინდიკატორი.

შეჯამება

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

ამოცანა	შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულებულია	არ შესრულებულა
ამოცანა 5.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	11	1	0

აღნიშნული მიზნის ფარგლებში გამოიკვეთა ორი მოსალოდნელი პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა (აქტივობები 5.2.1.1-5.2.1.6) და

განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა (აქტივობები 5.2.1.6-5.2.1.12). საანგარიშო ამ ორივე მიმართულებით გამოიკვეთა მდგრადი და ცალსახა პროგრესი, რაზეც მეტყველებს შესაბამისი ინდიკატორების შესრულების სტატუსებიც.

წარმატებები საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიულ ამოცანასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ გადადიდა კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, 2018 წლის აპრილში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებული საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის ცენტრი გადაკეთდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრად და შედეგად, ოპერატიულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ყველა დანაყოფი ერთ ცენტრში გაერთიანდა. მაგალითად, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო, რომელიც წარმოადგენდა სამინისტროს ცალკე ქვედანაყოფს, გაერთიანდა ცენტრში და ასევე შეიქმნა შემდეგი ახალი დანაყოფები: ევროპოლის განყოფილება და 24/7 განყოფილება, რომელიც ემსახურება ინტერპოლს, ევროპოლსა და სუამ–ს.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე შესწავლილ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყნების (კერძოდ, ლიტვის, ავსტრიის, სერბეთისა და მოლდოვას) ანალოგიური სამსახურების საუკეთესო პრაქტიკა. აღნიშნულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა გაზარდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია და ეფექტურობა. შედეგად, ერთი ცენტრი არის პასუხისმგებელი სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო ოპერატიული თანამშრომლობის განხორციელებაზე ინტერპოლის, ევროპოლისა და სუამ–ის ფარგლებში, ორმხრივ დონეზე და პარტნიორ ქვეყნებში წარგზავნილი საქართველოს პოლიციის ატაშეების საქმიანობის კოორდინაციით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პოლიციის ატაშეებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლობის ჩართულობით ესპანეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში განხორციელდა მნიშვნელოვანი ოპერაციები, რაც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების დაპატიმრებას ისახავდა მიზნად. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უცხოელ პარტნიორებთან ერთად საქართველოში განხორციელდა კონტროლირებადი მიწოდების ოპერაცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ერთობლივი ოპერაციების, მათ შორის კონტროლირებადი მიწოდებების განხორციელებაში პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობას. სამომავლოდ ასევე განხილული

იქნება ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნა, განსაკუთრებით კი ევროპოლის ეგიდით შექმნილ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში მონაწილეობა.

დასკვნა, ანგარიშის შეჯამება და სამომავლო გეგმები

ქვემოთ მოცემულია სამოქმედო გეგმის აქტივობების რაოდენობა შესრულების სტატუსის მიხედვით:

მიზანი	შესრულებულია	ნაწილობრივ შესრულებულია/შესრულების პროცესშია	არ შესრულებულა
№1	14	1	0
№2	6	1	2
№3	5	2	0
№4	7	2	0
№5	11	1	0
სულ	45	7	2

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშში განხილულ იქნა ჩართული უწყებებისგან მიღებული მონაცემები მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით წინსვლის თაობაზე, ძირითადი მიღწევები და პოლიტიკის ძირითადი შედეგები. სამოქმედო გეგმის განხორციელება საერთო ჯამში შეიძლება ჩაითვალოს დადებითად, ვინაიდან თითოეული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ამოცანების შესრულების კუთხით დაფიქსირებულია ობიექტური პროგრესი და მათში მოქცეული აქტივობების უმეტესობა შესრულებულია ინდიკატორების შესაბამისად.

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა უკვე გამოიღეს დადებითი შედეგი როგორც სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანობის ამაღლების კუთხით, ასევე საზოგადოებაში ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლის მხრივ. სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული გადამზადებები ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ასევე უდავოდ ეფექტიანი იქნება აღნიშნული მიზნის მისაღწევად. პენიტენციურ დაწესებულებებში ასეთი ტიპის ორგანიზებული დანაშაულის და ზოგადად კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩატარდა რიგი აქტივობა პროფესიული მომზადების კურსებში, ტრენინგ პროგრამებში ჩართულობით დაკავებული და დასაქმებული მსჯავრდებულების რაოდენობის ზრდის მიმართულებით, გაგრძელდა მათთვის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდის განვითარება და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის პროცესი. ამ ეტაპზე აღნიშნული

ღონისძიებების წარმატების შეფასებისათვის საჭირო მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ამ მიმართულებით სამომავლო განვითარება უდავოდ მიზანშეწონილია.

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ნარკოტრანზიტის, კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის კვეთაც, რადგან კიბერ სივრცე ჰქმნის იდეალურ გარემოს ასეთი ტიპის ორგანიზებული დანაშაულის განვითარებისათვის. ამ მიმართულებით ჩატარებული მრავალი აქტივობის მიუხედავად, აუცილებელია გაგრძელდეს სამართალდამცველი სტრუქტურების ადამიანური და ტექნიკური რესურსის განვითარება მუდმივად ცვალებად საფრთხესთან განმკლავების მიზნით.

ჩატარდა საბაზისო სამუშაოები ასეთი თანამედროვე საპოლიციო მეთოდების დანერგვის მიმართულებებით, როგორიცაა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა. სამოქმედო გეგმის შედგენისას ამ მეთოდების დანერგვა იყო საწყის ეტაპზე, შესაბამისად ბევრი ნიუანსი მათი სამომავლო განვითარებისათვის ასახული არ იყო. დღეის მდგომარეობით, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა აქტიურ რეჟიმში ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ხოლო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა საჭიროებს უფრო ფოკუსირებულ ძალისხმევას, რისთვისაც შეიძლება განისაზღვროს მისი გამოყოფის საჭიროება ცალკე პროექტად. ასევე, მსჯელობის საგანია ამ მეთოდების განვითარების პროცესის მიზმა ისეთ სექტორულ მიმართულებაზე როგორიცაა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. მიზანშეწონილია, რომ შესაბამის ფორმატში განხილულ იქნეს ამ მიმართულებების გამოყოფის შესაძლებლობა, რათა სამომავლო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა იყოს უფრო ფოკუსირებული თემატურ ამოცანებზე, ხოლო აღნიშნული მეთოდების განვითარება მოხდეს უფრო მოქნილ რეჟიმში.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულების დასახული მიზნის მიღწევის სფეროში წარმატებულად განხორციელებული აქტივობების და ხარვეზების ნაკლებობის მიუხედავად, მიზანშეწონილია, გადაიხედოს აღნიშნული ამოცანის ტექნიკური მხარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში. შესაძლებელია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები უფრო მკაფიო და მიზანმიმართული შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, თუ ის მიზნული იქნება კონკრეტული ორგანიზებული დანაშაულის ტიპის წინააღმდეგ მიმართულ მიზანზე, რაც წარმოადგენს განხილვის საკითხს სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისთვის.

სტრატეგიის მიხედვით, მისი სამოქმედო გეგმა იყოფა ორ ეტაპად - პირველი ნაწილი მოიცავს 2017-2018 წლებს, ხოლო მეორე ნაწილი 2019-2020 წლებს. აქედან გამომდინარე, სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავება წარმოადგენს პრიორიტეტს სტრატეგიის განხორციელებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზები, გამოვლენილი არსებული სამოქმედო გეგმის შესრულებისას და განხილული მიზნების მიღწევის პროცესში, გათვალისწინებული იყოს სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს.

არსებული მდგომარეობიდან ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა წინსვლის ოპტიმიზაციის რამდენიმე სავარაუდო მიმართულება. პირველ რიგში, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში მიზანშეწონილია მოცემული იყოს შემდეგი ძირითადი მიზნები - ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. თითოეული ეს მიზანი შესაძლებელია თემატურად დაიყოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ინსტრუმენტების დახვეწის და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ამოცანებად. ყოველივე ზემოაღნიშნული მოგვცემს საშუალებას უფრო მკაფიოდ გავმიჯნოთ თითოეული მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობა. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ მხარეებმა, რომლებიც პრაქტიკულ დონეზე მოღვაწეობენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, რათა გათვალისწინებული იყოს მათი მოსაზრებები და გამოცდილება, აღმოფხვრილი იყოს გამოვლენილი ხარვეზები და მოხდეს ახალი მეთოდებისა და პრევენციული ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვის განხილვა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

მიზანი 1. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 1.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

აქტივობა: 1.2.1.1. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობისთვის საინფორმაციო მასალების მომზადება და საზოგადოებაში გავრცელება

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული საზოგადოება

შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.1. საინფორმაციო კამპანიებისა და მომზადებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (III) - 2018 (II)

ბიუჯეტი: 1000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წელს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საინფორმაციო მასალები არ მომზადებულა, ხოლო 2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მასშტაბით შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სკოლებში ჩაატარეს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრები. პროექტში ჩართული იყო თბილისის 16 და რეგიონებში 5 სკოლა, მსმენელებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მექანიზმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე, დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც გავრცელდა ფართო საზოგადოებაში. საკანონმდებლო ცვლილება გულისხმობს, რომ „კანონიერ ქურდობასა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრობასთან ერთად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა

„ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა; „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და „ქურდული სამყაროს წევრისთვის ან „კანონიერი ქურდისთვის მიმართვა“.

აქტივობა: 1.2.1.2. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობისთვის ელექტრონული საინფორმაციო მასალების მომზადება, ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელება, სატელევიზიო რგოლების მომზადება

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული საზოგადოება

შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.2. საინფორმაციო მასალებისა და კამპანიების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (III)

ბიუჯეტი: 80 000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წელს შს სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, „ავტორადიოს“ ეთერში გადის ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“. ორგანიზებული დანაშაულის ფორმების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ისეთ თემებს როგორიცაა ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, ქურდული სამყაროს წევრობა, ანტინარკოტიკული საკითხები, ძალადობის ფორმები და ა.შ. არაერთი გადაცემა მიეძღვნა. პირდაპირ ეთერში, შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პირები საუბრობენ კონკრეტულ თემაზე და ამომწურავ პასუხებს სცემენ მოსახლეობის მიერ პირდაპირ ეთერში დასმულ კითხვებს.

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი პროექტისთვის დაბეჭდა საინფორმაციო ტიპის ბუკლეტები, რომლებიც დარიგებული იქნა სხვადასხვა სკოლაში. აღნიშნული შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება. მსგავსი ტიპის შეხვედრები ატარებს პრევენციულ ხასიათს და ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო მასალების (ვიდეო მასალა, ბრიფინგები) მომზადება და გავრცელება ტელევიზიის, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

გარდა ამისა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება.

2018 წლის იანვრიდან დეკემბრამდე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მათ შორის ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, 14 „კანონიერი ქურდი“ დააკავა. ხოლო, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სულ 190 პირია დაკავებული.

აქტივობა: 1.2.1.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისა და მანდატურების გადამზადება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.3. გადამზადებული პედაგოგებისა და მანდატურების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: მანდატურის სამსახურის საერთო ხარჯი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 მარტის N37/ნ ბრძანების შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატები გადიან მოსამზადებელ კურსს, ბრძანებით დამტკიცებული თემატიკის შესაბამისად, რაც მანდატურებს შესაძლებლობას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უზრუნველყონ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულების

მანდატურების გადამზადების პროგრამაში. ფსიქოლოგების მიერ ტარდება ტრენინგ-კურსი შემდეგ თემებზე: ბავშვის განვითარების ეტაპები, კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა და მედიაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი, ფსიქოლოგიური ტრავმა და ძალადობა, ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები. გადამზადებულია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური.

ასევე, ორგანიზაცია PH INTERNATIONAL -ის ორგანიზებით, 2017 წლის 4-5 თებერვალს, სასტუმრო "ბომონდ გარდენში" განხორციელდა, აშშ საელჩოს მიერ დაფინანსებული „GE CALLS“ პროექტში ახლად ჩართული სკოლების პედაგოგების გადამზადება სამართლებრივი კულტურის საგანში. გადამზადება განხორციელდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს გამოცდილი უბნის ინსპექტორების მიერ.

2017 წელს (კალენდარული წელი) საგანმანათლებლო დაწესებულების 1300 მანდატური 457 საჯარო და 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელში უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას.

ასევე შსს სსიპ აკადემიაში მანდატურობის საბაზისო კურსის გავლის მიზნით გაგზავნილ იქნა 124 მანდატურობის კანდიდატი. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა გადამზადება შედგება ისეთი ძირითადი თემატიკისგან, როგორიცაა: სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, სკოლის სტრუქტურა, ადამიანის უფლებები, ეფექტური კომუნიკაცია, ასაკობრივი ფსიქოლოგია, პირველადი სამედიცინო დახმარება, სამოქალაქო თავდაცვა და სხვა თემატიკები.

ამავე წელს განხორციელდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონის იმ 12 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა, სადაც არ იყო წარმოდგენილი მანდატურის სამსახური.

2018 წელს (კალენდარული წელი), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 02.08.2018 წლის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად, გადამზადდა არაუმეტეს 151 მანდატურობის კანდიდატი.

აქტივობა: 1.2.1.4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, გაკვეთილების ჩატარება

პოლიტიკის შედეგი: მოსწავლეთა ამაღლებული სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერება
შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.4. საგნები - „სამოქალაქო განათლება“, უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“ და „სამართლებრივი კულტურა“ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 13 000 ლარი

დაფინანსების წყარო: დონორი ორგანიზაცია

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: **ნაწილობრივ შესრულებულია**

შესრულების ანგარიში:

2017 - PH International-ი მანდატურებთან და სამართალდამცავებთან ერთად ახორციელებს შეხვედრებს საბაზისო საფეხურის (VIII კლასი) მოსწავლეებთან. შეხვედრების შედეგად გაიზრდება მოზარდების სამოქალაქო ცნობიერება, აქტივობებს სამართალდამცავები, მანდატურები და კლასის დამრიგებლები უძღვებიან ერთად. ქ. ჯვარის N 2, ქ. ჯვარის N3 საჯარო სკოლების მე-7 კლასებში, PH International-ის პროგრამის ფარგლებში კლასის დამრიგებლებმა და სკოლის მანდატურებმა სამართლებრივი კულტურის საფუძვლის 7 თემის გარშემო ჩაატარეს 12 შეხვედრა.

პროექტი -**პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI) --** პროგრამა პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI),), ხორციელდება PH International-ის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას და დანაშაულის პრევენციული მექანიზმების გაზრდას საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობით. პროგრამა ითვალისწინებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინიციატივები ფართო არჩევანს შესთავაზებს ახალგაზრდებს სათემო ღონისძიებებში ჩართვისთვის. პროგრამა მოიცავს 2 კომპონენტს: სასკოლო და სათემო. 2016-2017 აკადემიურ (სასწავლო) წლის განმავლობაში ხულოს, ხელვაჩაურის და შუახევის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, ადგილობრივი სამართალდამცავების ხელმძღვანელობით და პედაგოგებთან თანამშრომლობით ჩაუტარდათ საგაკვეთილო კურსი - სამართლებრივი კულტურის საგანში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით 2016 წლიდან საჯარო სკოლებში ახორციელებს პროექტს „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“. პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით, 2016-2017 სასწავლო წელს 42 საჯარო სკოლაში მეხუთე კლასელთათვის სამართლის, უსაფრთხოების თემატიკასა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების შესახებ 10 გაკვეთილი ჩატარდა.

სპეციალურად პროექტისთვის შემუშავებულ იქნა გზამკვლევი. აღნიშნულ გაკვეთილებს უძღვებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები, რომლებმაც გაიარეს გადამზადების სპეციალურ კურსი. 2017 წელს გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის, სსიპ „112“-ის და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 108 თანამშრომელი. სპეციალური კურსის გავლის შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

2018 - PH INTERNATIONAL-ი მანდატურებთან და სამართალდამცავებთან ერთად ახორციელებს შეხვედრებს საბაზისო საფეხურის (VII კლასი) მოსწავლეებთან. შეხვედრების შედეგად გაიზრდება მოზარდების სამოქალაქო ცნობიერება, აქტივობებს სამართალდამცავები, მანდატურები და კლასის დამრიგებლები უძღვებიან ერთად. ქ. თბილისის N169, N60 საჯარო სკოლების მე-8 და 10 კლასებში, PH International-ის პროგრამის ფარგლებში კლასის დამრიგებლებმა და სკოლის მანდატურებმა სამართლებრივი კულტურის საფუძვლების 7 თემის გარშემო ჩაატარეს 10 შეხვედრა.

პროექტი -პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI) - პროგრამა პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ინიციატივა აჭარაში (ACPI), ხორციელდება PH International-ის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას და დანაშაულის პრევენციული მექანიზმების გაზრდას საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობით. პროგრამა ითვალისწინებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინიციატივები ფართო არჩევანს შესთავაზებს ახალგაზრდებს სათემო ღონისძიებებში ჩართვისთვის. პროგრამა მოიცავს 2 კომპონენტს: სასკოლო და სათემო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით 2016 წლიდან საჯარო სკოლებში ახორციელებს პროექტს „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“. პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით, 2017-2018 სასწავლო წელს 31 საჯარო სკოლაში მეხუთე კლასელთათვის სამართლის, უსაფრთხოების თემატიკასა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების შესახებ 10 გაკვეთილი ჩატარდა.

სპეციალურად პროექტისათვის შემუშავებული იქნა გზამკვლევი.

აღნიშნულ გაკვეთილებს უძღვებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები, რომლებიც გადიან გადამზადების სპეციალურ კურსს. 2018 წელს გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ „112“-ის და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 38 თანამშრომელი. სპეციალური კურსის გავლის შემდეგ მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

აქტივობა: 1.2.1.5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების ან/და სხვა კომპეტენტური პირების მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: მოსწავლეთა ამაღლებული სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერება
შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა.

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 8500 ლარი ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 - ახალგაზრდებში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები საჯარო და კერძო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ შემდეგ საკითხებზე - ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, ძალადობის ფორმები, კიბერდანაშაული და ა.შ.

2017 წელს საგანმანათლებლო პერიოდში (I-II კვარტალში) მთელი ქვეყნის მასშტაბით 35 საჯარო და კერძო სკოლის, 2000-ზე მეტ მოსწავლესთან გაიმართა საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები (თბილისის - 19 და რეგიონის - 16 კერძო და საჯარო სკოლში). 2017 წლის I და II კვარტალში საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის რეგიონული დანაყოფების თანამშრომლებმა, საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართეს 25 საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრებზე მოეწყო სასამართლო სხდომებისა და შემთხვევის ადგილის იმიტაციები, მოსწავლეები გაეცნენ შემთხვევის ადგილზე მუშაობის ძირითად საკითხებს, განემარტათ ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-ამოღების მნიშვნელობა და მათი მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის პროცესში.

2018 - ახალგაზრდებში ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის მიზნით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები საჯარო და კერძო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ შემდეგ საკითხებზე - ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, ძალადობის ფორმები, კიბერდანაშაული და ა.შ.

2018 წელს საგანმანათლებლო პერიოდში (I-II კვარტალში) მთელი ქვეყნის მასშტაბით 20 საჯარო და კერძო სკოლის, 1200-ზე მეტ მოსწავლესთან გაიმართა საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები (თბილისის - 12 და რეგიონის - 8 კერძო და საჯარო სკოლში). 2018 წლის I და II კვარტალში საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის რეგიონული დანაყოფების თანამშრომლებმა, საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართეს 15 საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან. შეხვედრებზე მოეწყო სასამართლო სხდომებისა და შემთხვევის ადგილის იმიტაციები, მოსწავლეები გაეცნენ შემთხვევის ადგილზე მუშაობის ძირითად საკითხებს, განემარტათ ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-ამოღების მნიშვნელობა და მათი მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის პროცესში.

აქტივობა: 1.2.1.6 სკოლის მოსწავლეთა ვიზიტების ორგანიზება სამართალდამცავ უწყებებში

პოლიტიკის შედეგი: მოსწავლეთა ამაღლებული სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერება შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ვიზიტების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა.

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 8500 ლარი ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 - შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს: „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროექტში მონაწილეობენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში უტარდებათ ექსკურსიები, კერძოდ: შსს-ს აკადემიაში, 112-ში, მომსახურების სააგენტოში, სასაზღვრო პოლიციაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში. ასევე, მათთან სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის

თანამშრომლები. 2017 წლის I და II კვარტალში თბილისისა და რეგიონების ლაბორატორიებსა და კრიმინალისტიკურ სამსახურებში, ასევე კინოლოგიის სამსახურში სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისათვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სამართალდამცავი უწყებების მუშაობის სპეციფიკის გაცნობისათვის პროგრამის ფარგლებში საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტმა უმასპინძლა 32 სხვადასხვა საჯარო სკოლის 718 მოსწავლეს და 3 უმაღლესი სასწავლო დაწესებულების 41 სტუდენტს.

„საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, 2017 წლის პირველ და მეორე კვარტალში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი სამართალდამცავ უწყებაში ორჯერ განხორციელდა, კერძოდ, მესტიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით მესტიის იუსტიციის სახლს მესტიის N1, N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ, ხოლო სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით კი ხონის რაიონის სოფელ გორდის საჯარო სკოლის მოსწავლეები სამტრედიის რაიონულ პროკურატურას ეწვივნენ. პროკურორებმა მოსწავლეებს პროკურორის პრაქტიკული საქმიანობის ასპექტები, სისხლის სამართლისა და საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამები გააცნეს, ასევე ესაუბრნენ პროკურორის როლზე გამოძიებასა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. მიმოიხილეს არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები.

2018 - შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს: „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. პროექტში მონაწილეობენ არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფში უტარდებათ ექსკურსიები, კერძოდ: შსს-ს აკადემიაში, 112-ში, მომსახურების სააგენტოში, სასაზღვრო პოლიციაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში. ასევე, მათთან სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. 2018 წლის I და II კვარტალში თბილისისა და რეგიონების ლაბორატორიებსა და კრიმინალისტიკურ სამსახურებში, ასევე კინოლოგიის სამსახურში სკოლის მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებისათვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სამართალდამცავი უწყებების მუშაობის სპეციფიკის გაცნობისათვის პროგრამის ფარგლებში საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტმა უმასპინძლა 3 სხვადასხვა საჯარო სკოლის 62 მოსწავლეს და 2 უმაღლესი სასწავლო დაწესებულების 28 სტუდენტს.

„საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, 2018 წლის პირველ და მეორე კვარტალში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი სამართალდამცავ უწყებაში ორჯერ განხორციელდა. მიმოიხილეს არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები.

აქტივობა: 1.2.1.7. ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ბიზნეს წრეების ინფორმირება, საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული ბიზნეს წრეები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.7. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (II)

ბიუჯეტი: 20 000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო მასალების (ვიდეო მასალა, ბრიფინგები) მომზადება და გავრცელება ტელევიზიის, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

მოწყვლადი ჯგუფების საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მათთან საინფორმაციო კამპანია წარიმართა ინდივიდუალურად, საჯარო შეხვედრების გარეშე, შედგა 11 შეხვედრა, სადაც მეწარმეებს აღეთქვა მხარდაჭერა და მოხდა მათი ინფორმირება, რისკების არსებობის შემთხვევაში პოლიციის ჩართულობის როლთან დაკავშირებით.

აქტივობა: 1.2.1.8. ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული სოციალურად დაუცველი ფენები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.1.8. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,

შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (III) - 2018 (I)

ბიუჯეტი: 5000 ლარი ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 - ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისსა და აჭარის რეგიონში მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს (ჯამში - 30 ბავშვი).

2018 - ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისსა და აჭარის რეგიონში მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა აღსაზრდელებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს (ჯამში - 15 ბავშვი).

ამოცანა 1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

***აქტივობა:** 1.2.2.1. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა*

პოლიტიკის შედეგი: განახლებული საკანონმდებლო ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 1.2.2.1 განხორციელებული ცვლილებები

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს იურიდიული დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,

საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება

სტატუსი: შესრულებულია

2017:

1. **ფარული პოლიციელის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ცვლილებები:** საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს ახალი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების რეგლამენტირებას, როგორცაა, ფარული პოლიციელის განთავსება სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტის მიხედვით, ფარული პოლიციელი იმოქმედებს წინასწარ შემუშავებული ლეგენდით. ფარული პოლიციელის საქმიანობას უხელმძღვანელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე - კოორდინატორი. კოორდინატორი ფარულ გამომძიებელს უწევს დეტალურ ინსტრუქტაჟს მისი მოვალეობების შესრულების მიზნით. ფარული პოლიციელის საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გამოიკითხება/დაიკითხება ფარული პოლიციელის კოორდინატორი, ფარული პოლიციელის გამოკითხვა/დაკითხვა კი დაუშვებელი იქნება. ფარული პოლიციელის განთავსების ღონისძიების ვადა არ აღემატება 12 თვეს.
2. **დნმ-ის კოდის მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი:** გამოძიებისა და დანაშაულის გახსნის ხელშეწყობის მიზნებისთვის დნმ-ის მონაცემთა ბანკის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს დნმ-ის კოდის მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნას. დნმ-ის კოდის ნიმუშის აღება მოხდება მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირისგან. აღნიშნული პირებისგან დნმ-ის კოდის ნიმუშის აღება მოხდება მათი პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას, რომელიც აღებისთანავე გადაეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამასთან, პროექტში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები. სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში აღებული დნმ-ის კოდის პროფილი განადგურდება, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის დნმ-ის კოდის პროფილი კი შეინახება 50 წლის განმავლობაში.

3. **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო პაკეტი:** ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამედროვე მიდგომის გათვალისწინების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი სისხლის სამართლის კოდექსსა და „ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონში. პროექტი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ეყრდნობა სრულიად ახალ კონცეფციებს. ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმული პირების პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ხდება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში გავრცელებული ინსტიტუტი - დანაშაულებრივი შეთანხმების კონცეფცია. პროექტით მკაცრდება სანქციები და მიდგომები ორგანიზებული დანაშაულის მიმართ. იცვლება, მათ შორის, ცნებები და ტერმინები. ახლებურად განიმარტა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა. არსებითად შეიცვალა „ქურდული სამყაროს“ წევრის განმარტება. ახალ დანაშაულებად ცხადდება „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, „ქურდული შეკრების“ ორგანიზება ან მასში მონაწილეობის მიღება. ცვლილებების მიზანია სახელმწიფომ შეძლოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი და ქმედითი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება.

2018:

1. 2018 წლის 18 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- ✓ გამკაცრდა სანქციები ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობისთვის. კერძოდ, ქურდული სამყაროს წევრობა დაისჯება 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ნაცვლად 5-დან 8 წლისა. „კანონიერი ქურდობა“ დაისჯება ცხრიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ნაცვლად 7-დან 10 წლის ვადისა.
- ✓ გაფართოვდა დანაშაულთა წრე. დანაშაულად გამოცხადდა „ქურდული შეკრების“ ორგანიზება, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა;
- ✓ „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერაში მოიაზრება ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას. მხარდაჭერა შეიძლება გამოიხატოს, როგორც კანონიერი ქმედებების განხორციელებაში (მატერიალური/ფინანსური დახმარება), ასევე დასჯად „საქმიანობაში“.
- ✓ დასჯადი გახდა „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა. ეს დანაშაული გულისხმობს „ქურდული სამყაროს“

წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მფარველობისთვის, მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისთვის, „ქურდული გარჩევისთვის“ ან ნებისმიერი სხვა მოტივით მიმართვას. დასჯადი გახდა ასევე ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.

- ✓ გაფართოვდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელების გზები.
- ✓ არსებითად შეიცვალა „ქურდული სამყაროს“ წევრისა და „კანონიერი ქურდის“ განმარტება. ცვლილების შედეგად „ქურდული სამყაროს“ წევრობა აქტიურ წევრობასთან ერთად მოიცავს პასიურ წევრობასაც.
- ✓ ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით გაფართოვდა სახელმწიფოს იურისდიქცია. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს 223¹, 223², 223³, 223⁴ მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- ✓ ცვლილებები დაეფუძნა ორგანიზებული დანაშაულის მიმართულებით სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს და ასწორებს იმ საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც სასამართლოს მხრიდან ნორმის არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას იწვევდა;
- ✓ პროექტი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (ამერიკული „რიკოს“ და იტალიის ანტიმაფიური კანონმდებლობა) დაეყრდნო სრულიად ახალ კონცეფციებს. შემოვიდა დანაშაულებრივი შეთანხმების და პასიური წევრის კონცეფცია, რაც დანაშაულის მომზადების ადრეულ ეტაპზე პირის სისხლის სამართლის წესით დასჯის შესაძლებლობას იძლევა.

2. მიღებულია „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების მიზანია, საქართველოში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გაამარტივოს საერთაშორისო თანამშრომლობა და მტკიცებულებების მოპოვება საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც საზღვარგარეთ დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა, ისჯება საქართველოს კანონმდებლობით. ასევე უზრუნველყოს ასეთი მტკიცებულების დასაშვებობა საქართველოში სამართალწარმოებისას.

3. 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს პროკურატურაში განხილულ იქნა შს სამინისტროში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების განხორციელებას საქართველოს კანონში „ოპერატიულ-

სამმეზრო საქმიანობის შესახებ“; საქართველოს სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსებში; ასევე საქართველოს კანონში „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“; აღნიშნული ცვლილებების მიზანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. საქართველოს პროკურატურის მოსაზრებები შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით გადაეგზავნა შს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.

ამოცანა 1.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

აქტივობა: 1.2.3.1. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
სსიპ შსს აკადემია

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა, ევროპის სასაზღვრო და სანაპიროდ დაცვის სააგენტო FRONTEX

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წლის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარდა 9 სასწავლო აქტივობა. სასწავლო კურსების თემატიკა მოიცავდა ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის: ტერორიზმის, ფულის გათეთრების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ტრეფიკინგისა და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებით თანამშრომელთა მომზადება/გადამზადებას. საქართველოში განხორციელებული ტრენინგების პარალელურად, სასწავლო ვიზიტი შედგა საფრანგეთსა და ხორვატიაში. ტრენინგების ფარგლებში მომზადება/გადამზადების კურსები გაიარა პროკურატურის 50-მა წარმომადგენელმა (პროკურორი/გამომძიებელი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ფარგლებში:

თარიღი: 14-16 მარტი, 2017

დასახელება: სამუშაო შეხვედრა, რომელის მიზანია კონტროლების ვეგა სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

ორგანიზატორი: Frontex-ი პროექტ - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარება საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში (EaP IBM CB)“, ფარგლებში;

განხილული საკითხები: ყალბი დოკუმენტები, ტრანსსასაზღვრო დანაშაული, ტრეფიკინგი, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული გამოძიება და სხვა;

ჩატარების ადგილი: ქ. ვარშავა, პოლონეთი;

სამუშაო ენა: რუსული;

მონაწილეები (2): საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი -1; ცენტრალური კრიმინალური პოლიცია - 1;

სქესი: 1 მდედრობითი; 1 მამრობითი.

თარიღი: 14-16 მარტი, 2017

დასახელება: (10) პროკურორების და (10) გამომძიებლების ერთობლივი სწავლება ტრეფიკინგის საკითხებზე

ორგანიზატორი: IOM, აშშ დეპარტამენტის დაფინანსებით.

განხილული საკითხები: შრომითი ექსპლუატაციის, მათ შორის ბავშვების შრომით ექსპლუატაციის გამოძიების ტექნიკა

ჩატარების ენა: ინგლისურიდან თარგმანი ქართულად

ჩატარების ადგილი: თბილისი, მთავარი პროკურატურა.

მონაწილეები : 5 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი; 2 აჭარის პოლიციის დეპარტამენტი; 3 თბილისის პოლიციის დეპარტამენტი

სქესი: 10 მამრობითი.

თარიღი: 31 მაისი - 1 ივნისი, 2017

დასახელება: სემინარი ტრეფიკინგის საკითხებზე

ორგანიზატორი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა

განხილული საკითხები: კანდიდატების მიერ წარდგენილ უნდა იყოს პრეზენტაცია საქართველოში ამ კუთხით არსებულ სიტუაციაზე, მათ შორის საკანონმდებლო ჩარჩოზე და საგამომიებო ტექნიკაზე

ჩატარების ენა: ინგლისური (თარგმანი რუსულ ენაზე)

ჩატარების ადგილი: შვედეთი, გოტენბურგი

მონაწილეები : 1 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

სქესი: 1 მამრობითი

თარიღი: 29 მაისი - 2 ივნისი, 2017

დასახელება: ფინანსური გამოძიების ტრენინგის შემდგომი ეტაპი - “მიყვით ფულს - ფულის გათეთრება კაზინოში”;

ორგანიზატორი: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL);

განხილული საკითხები: ფულთან დაკავშირებული დანაშაულები /დანაშაულის ელემენტები, ფინანსური დანაშაულების ძირითადი ფორმულა, ფულის გათეთრება კაზინოში -საექვო გარემოება “წითელი დროშა” და სხვა;

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, საქართველო;

სამუშაო ენა: ქართული;

მონაწილეები: აჭარის პოლიციის დეპარტამენტი 2;

სქესი: 2 მამრობითი

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში 2017 წელს მომზადდა/გადამზადდა- 316 თანამშრომელი.
2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე მომზადდა/გადამზადდა - 548 თანამშრომელი.

2017 წელი

“ნარკოტიკები“

- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- **105 მსმენელი**;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **78 მსმენელი**;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **28 მსმენელი**;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **70 მსმენელი**.

“ტრეფიკინგი“

- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **84 მსმენელი**;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **78 მსმენელი**;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **28 მსმენელი**;
- მესაზღვრე ოფიცერთა ტრენინგი - **12 მსმენელი**;

- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **23 მსმენელი.**

“კიბერდანაშაული”

- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **105 მსმენელი;**
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **78 მსმენელი.**

2018 წელი

“ნარკოტიკები”

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **62 მსმენელი;**
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **75 მსმენელი;**
- უზნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **36 მსმენელი;**
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **75 მსმენელი;**
- დროებითი მოთავსების იზოლაციების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - **104 მსმენელი;**
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - **55 მსმენელი.**

“ტრეფიკინგი”

- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **75 მსმენელი;**
- მესაზღვრე პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადები - **73 მსმენელი.**

“კიბერდანაშაული”

- უზნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **36 მსმენელი.**

14-16 ნოემბერი 2017 - შსს აკადემიაში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც დაესწრო შსს აკადემიის 4 თანამშრომელი.

17-19 ივლისი 2018 - შსს აკადემიაში ჩატარდა სემინარი ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროკავშირის მხარდაჭერა ნარკოტიკებისა და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ ფარგლებში, რომელსაც დაესწრო შსს აკადემიის 1 თანამშრომელი.

22-26 ოქტომბერი, 2018 - შსს აკადემიაში საფრანგეთის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ სწავლების ორგანიზება“. სწავლება აგრეთვე შეეხო დამნაშავეთა განეიტრალებასა და დაკავებასთან დაკავშირებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გაზიარებას. სწავლებას დაესწრო შსს აკადემიის 2 თანამშრომელი.

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ფარგლებში:

2017 წელი

1. 2017 - 27-17 აპრილი/მაისში ვილნიუსში (ლიტვა) FRONTEX-ის ორგანიზებით ჩატარდა „ერთობლივი ოპერაცია Alexis შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი;
2. 2017 8-12 მაისს FRONTEX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „პოსეიდონ ზღვა საბერძნეთი, პირეოსი შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი;
3. 2017 წლის 6 -16 ივნისს ვილნიუსში, ლიტვა FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა „ერთობლივი ოპერაცია ეროვნული/მაკოორდინებული წარმომდგენლები 2017 საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის“ შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი;
4. 2017 წლის 1-9 ივნისი -ივლისს ბულგარეთში (სოფია) FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია VEGA 2017 ბავშვების (Jo Operation VEGA Children 2017) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი;
5. 2017 წლის 19-24 ივნისს საფრანგეთში მარსელის პორტში FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია საკონტაქტო პუნქტი ზღვაზე 2017 (Focal Point Sea 2017) შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი
6. 2017 წლის 21-19 ივნისი-ივლისი დოროჰუსკში, პოლონეთის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკისა და უკრაინის საზღვარზე FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2017" (Focal Point 2017 Land) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი
7. 2017 წლის 21-19 ივნისი-ივლისი კორჩოვაში, პოლონეთის რესპუბლიკა - პოლონეთის რესპუბლიკისა და უკრაინის საზღვარზე FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2017" (Focal Point 2017 Land) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი

8. 2017 წლის 31-8 აგვისტო-ოქტომბერი პოლონეთში, ვარშავაში FRONTEX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია VEGA 2017 ბავშვების (Jo Operation VEGA Children 2017) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი
9. 2017 წლის 12-13 ივლისი FRONTEX-ის ორგანიზებით ჩატარდა JAD Aelous-ს (ერთობლივი მოქმედების დღეები) წინა მოსამზადებელი შეხვედრა. შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი.
10. 2017 წლის 7-13 აგვისტო FRONTEX-ის ორგანიზებით ალხესირასში, ესპანეთში ჩატარდა ერთობლივი საზღვაო ოპერაცია მინერვა 2017 (Jo Minerva 2017) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი.
11. 2017 წლის 13-11 სექტემბერი-ოქტომბერი უნგრეთში, ქ. ზაპონში (უნგრეთისა და უკრაინის საზღვარი) FRONETX-ის ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2017" (Focal Point 2017 Land) შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი
12. 2017- 30-21 ოქტომბერი-ნოემბერი ლუბლიანაში, სლოვენიაში FRONTEX-ის ორგანიზებით ჩატარდა „ერთობლივი ოპერაცია Alexis შსს საპატრულო პოლიციიდან წარდგენილი იყო 1 კანდიდატი.
13. (ILEA) აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით 2018 წლის 16 ოქტომბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) გაიმართა სასწავლო კურსის ლიდერობა და მართვა, რეგიონული საფრთხეები, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, უსაფრთხოება და ა.შ. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.
14. "საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების მე-19 მუხლის შესაბამისად დაფუძნებული ერთობლივი კომისიის მიერ 2018 წლის 22-25 იანვარს თურქეთში ანკარასა და სტამბულში გაიმართა შეხვედრა თემაზე ფეტოს დაჯგუფება (FETO/PDY), ქურთების მუშათა პარტიის გაერთიანება (PKK/KCK), ტერორიზმი და მისი დაფინანსება, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაული და საზღვრებზე არსებული პრობლემები. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.

2018 წელი

1. საჰაერო გამტარი პუნქტების ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში 2018 წლის 6 მარტს პოლონეთში, ვარშავა ჩატარდა პირველი გენერალური შეხვედრა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან დაესწრო 2 წარმომადგენელი.
2. 2018 წლის 27-29 მარტს იტალიაში, ვენეცია ჩატარდა აეროპორტის ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობისას განიხილეს ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს მიერ 2017 წელს განხორციელებული ღონისძიებების

შედეგები და 2018 წლისათვის მოსალოდნელი საჰაერო საზღვრის დაცვის გამოწვევები. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 2 თანამშრომელი.

3. 2018 წლის 25 აპრილიდან 17 მაისის ჩათვლით ჩეხეთში, პრაღაში ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია Alexis 2018-ის . ოპერაციის მიზანი იყო აეროპორტებში, სასაზღვრო გამტარი პუნქტების შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც გულისხმობს შენგენისა და არაწევრი ქვეყნების აეროპორტებში კანონდარღვევის ფაქტების სწრაფი აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმების შექმნას. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი .
4. 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე ბულგარეთში, სოფია ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია Alexis 2018-ის II ეტაპი. ოპერაციის მიზანია აეროპორტებში, სასაზღვრო გამტარი პუნქტების შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც გულისხმობს შენგენისა და არაწევრი ქვეყნების აეროპორტებში კანონდარღვევის ფაქტების სწრაფი აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმების შექმნას. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.
5. 2018 წლის 12 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე საბერძნეთში, კიპოიზე (საბერძნეთ - თურქეთის საზღვარი) ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2018" . „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2018" ოპერაცია ითვალისწინებს მონაწილე პირების დამკვირვებლის სტატუსით შემდეგ სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე მივლენას. ოპერაციის მიზანი იყო მონაწილეებისთვის გაეცნოთ სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სასაზღვრო კონტროლის ღონისძიებები. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.
6. 2018 წლის 9 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ბულგარეთში ქ. ლესოვოში ჩატარდა ერთობლივი ოპერაცია „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2018" . „საკონტაქტო პირები ხმელეთი 2018" ოპერაცია ითვალისწინებს მონაწილე პირების დამკვირვებლის სტატუსით შემდეგ სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე მივლენას. ოპერაციის მიზანი იყო მონაწილეებისთვის გაეცნოთ სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სასაზღვრო კონტროლის ღონისძიებები. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.
7. 2018 წლის 29 მაისიდან 10 ივლისის ჩათვლით ვენაში, ავსტრია გაიმართა ერთობლივი ოპერაცია „VEGA Children 2018". ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა გარე საჰაერო საზღვარზე ბავშვთა გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სპეციალური მზრუნველობისა და დაცვის საჭიროებების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.
8. 2018 წლის 29 აგვისტოდან 9 ოქტომბრის ჩათვლით რუმინეთში, ბუქარესტი გაიმართა ერთობლივი ოპერაცია „VEGA Children 2018". ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა გარე საჰაერო საზღვარზე ბავშვთა გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და სპეციალური მზრუნველობისა და დაცვის საჭიროებების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.
9. 2018 წლის 6-7 სექტემბერს ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEx) ორგანიზებით ქ. ტალინში (ესტონეთის რესპუბლიკა) გაიმართა კონფერენცია

სახმელეთო საზღვრის დაცვის აქტივობების შესახებ. შსს საპატრულო პოლიციიდან შეხვედრას დაესწრო 1 თანამშრომელი.

10. 2018 წლის 11-12 სექტემბერს გაიმართა ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) ყოველწლიური შეხვედრა, იმ მესამე ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებთანაც "FRONTEX"-ს დადებული აქვს სამუშაო შეთანხმება. შეხვედრაზე განხილული იყო სამომავლო ოპერაციული თანამშრომლობა (FRONTEX) ერთობლივი ოპერაციებისა და სხვა საკითხები. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.
11. 2018 წლის 23 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით ესპანეთში ქ. ალხესირასში გაიმართა ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) ერთობლივი ოპერაცია "Minerva 2018". ოპერაციის მიზანი იყო ეჩვენებინათ არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა ესპანეთის პორტში (ალხესირაში) და ამ პორტში მდებარე სასაზღვრო გამტარ პუნქტებში. ერთობლივი ოპერაცია მოიცავდა ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა სასაზღვრო თვალთვალი და კონტროლი, პირთა იდენტიფიკაცია, დოკუმენტების შემოწმება და ისეთი ტრანსსასაზღვრო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორებიცაა მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, ტრეფიკინგი, ნარკოტიკების კონტრაბანდა და სხვა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.
12. 2018 წლის 26-27 ივნისს ქ. ვარშავაში (პოლონეთის რესპუბლიკა) გაიმართა ერთობლივი ოპერაცია სახმელეთო პუნქტები 2018-ის ახალი კოორდინატორების შეხვედრა, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა.
13. 2018 წლის 5-6 ივნისს ქ. ვარშავაში (პოლონეთის რესპუბლიკა) განხორციელდა გაცნობითი სახის შეხვედრა, ომელსაც დაესწრნენ საკოორდინაციო პუნქტები ხმელეთი 2018-ის ფარგლებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე ოფიცრები. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 3 თანამშრომელმა.
14. 2018 წლის 9 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი), ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) მიერ, განხორციელდა ერთობლივი ოპერაცია საჰაერო გამტარი პუნქტების შუა რგოლის მენეჯერებისათვის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.
15. 2018 წლის 31 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით ქ. ვარშავაში (პოლონეთი), ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) მიერ, განხორციელდა ერთობლივი ოპერაცია საჰაერო გამტარი პუნქტების რეგულარული ოფიცრებისათვის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.
16. ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) მიერ 2018 წლის 23 ნოემბერს ქ. ვარშავაში (პოლონეთის რესპუბლიკა) განხორციელდა „ALL-IN-ONE“ ყოველწლიური შეხვედრა. შეხვედრაზე განხილული იქნება 2018 წელს განხორციელებული ერთობლივი ოპერაციული ღონისძიებების შედეგები და 2019

წლისათვის დასაგეგმი ღონისძიებები. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.

17. 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე ქ. ტერეჰოვაში (ლატვიის რესპუბლიკა) ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) ორგანიზებით განხორციელდა ერთობლივი ოპერაცია (სახმელეთო საკოორდინაციო პუნქტები 2018), რომლის მიზანი იყო საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის ძლიერი ქსელის შექმნა საზღვრის დაცვის კუთხით ევროკავშირის წევრ და მესამე სახელმწიფოებს შორის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა.
18. 2018 წლის 22-26 ოქტომბერს ქ. კუზნიცაში (პოლონეთის რესპუბლიკა) ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) ორგანიზებით განხორციელდა ერთობლივი ოპერაცია სახმელეთო საკოორდინაციო პუნქტები 2018, რომლის მიზანი იყო საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის ძლიერი ქსელის შექმნა საზღვრის დაცვის კუთხით ევროკავშირის წევრ და მესამე სახელმწიფოებს შორის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, 2018 წლის 19-20 ივნისს თბილისში ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო ტრეფიკინგის კუთხით კოორდინაციის გაძლიერება უწყებებს შორის. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა.

(IOM) მხარდაჭერით 2018 წლის 26-27 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 7 თანამშრომელმა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ორგანიზებით 2018 წლის 9-10 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი მიგრანტთა უფლებებზე. ტრენინგზე განიხილეს ისეთი თემები როგორიცაა: საზღვრის მართვა და მიგრანტთა უფლებების დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დარეგულირებული სამართლებრივი სტანდარტები, მიგრანტთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული რეგიონალური სამართლებრივი ჩარჩოები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება და დაცვა, თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიცირება და შესაბამისი პროცედურების წარმოება, ადამიანის უფლებების დაცვა დაბრუნების პროცედურების დროს, მიგრანტთა აღმოჩენის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სხვა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 11 თანამშრომელმა.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურის ჩართულობით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა. სასწავლო კურსების თემატიკა მოიცავდა ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის: ტერორიზმის, ფულის გათეთრების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ტრეფიკინგისა და

სხვა მნიშვნელოვან მიმართულებით თანამშრომელთა მომზადება/გადამზადებას. საქართველოში განხორციელებული ტრენინგების პარალელურად, სასწავლო ვიზიტი შედგა საფრანგეთსა და ხორვატიაში. ტრენინგების ფარგლებში მომზადება/გადამზადების კურსები გაიარა პროკურატურის 40-მა წარმომადგენელმა (პროკურორი/გამომძიებელი).

აქტივობა: 1.2.3.2. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, გაუმჯობესებული სამუშაო გარემო.

პოლიტიკის შედეგი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 1.2.3.2. შეძენილი აღჭურვილობა, დანერგილი ტექნოლოგიები და გაუმჯობესებული სამუშაო გარემო

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში პერმანენტულად ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საქმიანობისათვის საჭირო აღჭურვილობის განახლება. საანგარიშო პერიოდში, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის 26 000 ლარი დაიხარჯა.

აქტივობა: 1.2.3.3. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 1.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის 30-მდე შეხვედრა გამართა, რომლებზეც განიხილებოდა ქვეყანაში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

ამოცანა 1.2.4. სასჯელაღსრულების პენიტენციური სისტემის გაძლიერება

აქტივობა: 1.2.4.1. მსჯავრდებულთა შეფასებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის იმპლემენტაცია

პოლიტიკის შედეგი: მსჯავრის მოხდა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდით
შესრულების ინდიკატორი: 1.2.4.1 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვით უზრუნველყოფილია 10 პენიტენციური დაწესებულება და 500 მსჯავრდებული
შემსრულებელი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:
განხორციელების ვადა: 2017 - 2018
ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: სიძნელები იმპლემენტაციის დროს
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

2017 წელს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვით უზრუნველყოფილი იყო 13 პენიტენციური დაწესებულება და 1830 მსჯავრდებული. 2018 წელს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა დაინერგა ყველა (15) პენიტენციურ დაწესებულებაში და მასში ჩართულია 2508 მსჯავრდებული.

2017-2018 წლებში N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტი, 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია აღნიშნული ინსტრუმენტის სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგვა.

აქტივობა: 1.2.4.2. სამიზნე ჯგუფების მიხედვით ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების დახვეწა, ახალი პროგრამების შემუშავება და მათი დაწესებულებების ბაზაზე დანერგვა

პოლიტიკის შედეგი: ფსიქო-სოციალური სერვისით უზრუნველყოფილი ბრალდებულ/მსჯავრდებულები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.4.2. დაწესებულების ბაზაზე დანერგილია 2 ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა, ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობას მიიღებს 1500 ბრალდებულ/მსჯავრდებული

შემსრულებელი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: არასამთავრობო ორგანიზაციები

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წელს პენიტენციური დაწესებულების ბაზაზე დაინერგა 2 ახალი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა.

ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 1763 მსჯავრდებულმა.

2017 წელი:

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
198 მსჯავრდებული	803 მსჯავრდებული	178 მსჯავრდებული	584 მსჯავრდებული

2018 წელს პენიტენციური დაწესებულების ბაზაზე დაინერგა 1 ახალი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა.

ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებში/ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 1330 მსჯავრდებულმა.

2018 წელი:

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
------------	-------------	--------------

509 მსჯავრდებული	213 მსჯავრდებული	588 მსჯავრდებული
------------------	------------------	------------------

2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია პენიტენციურ დაწესებულებებში „ოჯახში ცოლზე და პარტნიორ ქალზე მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამის“ დანერგვა.

აქტივობა: 1.2.4.3. პენიტენციურ დაწესებულებებში პროფესიული მომზადების კურსების და ტრენინგ პროგრამების დანერგვა/განხორციელება

პოლიტიკის შედეგი: სხვადასხვა პროფესიული მომზადების კურსებში და ტრენინგ პროგრამებში ჩართულობით დაკავებული მსჯავრდებულები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.4.3. პენიტენციური დაწესებულებებში განხორციელებულია 40 პროფესიული მომზადების კურსი და მასში ჩაერთვება 1300 მსჯავრდებული

შემსრულებელი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; არასამთავრობო ორგანიზაციები

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: EU ტექნიკური დახმარება

დაფინანსების წყარო: 150 000 ლარი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს შორის მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო კურსების შერჩევასთან დაკავშირებით. ზემოხსენებული სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო ტრენინგ-კურსების და შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულების მომზადება. კერძოდ, „მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი“, „მეფუტკრე“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, „მეფილე-მომპირკეთებელი“, „ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი“, „გიდი“, „სასტუმრო საქმისმწარმოებელი“, „კომპიუტერული საოფისე პროგრამა“, „ინფორმაციული ტექნოლოგი“, „კომპიუტერული გრაფიკა“, „მართვის მოწმობა (თეორიული კურსი)“, „ქართული ენა“, „ინგლისური ენა“, „გერმანული ენა“. მეორე კვარტლის განმავლობაში, პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ განხორციელდა 14 პროფესიულ მოკლევადიანი პროგრამა შემდეგ დაწესებულებებში - №2 (ქუთაისის მუნიციპალიტეტი), №3 (ბათუმის მუნიციპალიტეტი), №5 (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), №8 (ქ. თბილისი), №11 (ქ. თბილისი), №12 (ქ. თბილისი), №14 (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), №16 (რუსთავის მუნიციპალიტეტი), №17 (რუსთავის მუნიციპალიტეტი). მომზადება გაიარა პენიტენციური დაწესებულებების 257-მა მსჯავრდებულმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი პროგრამების შემუშავება და მსჯავრდებულთა გადამზადების პროცედურების დაგეგმვა.

საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 45 პროფესიული მომზადების კურსი და ტრენინგ პროგრამა და მასში მონაწილეობა მიიღო 2449 მსჯავრდებულმა.

2017 წელი

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
23 მსჯავრდებული	583 მსჯავრდებული	159 მსჯავრდებული	687 მსჯავრდებული

2018 წელი

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
287 მსჯავრდებული	400 მსჯავრდებული	310 მსჯავრდებული

2018 წლის ბოლომდე პენიტენციურ დაწესებულებებში დაიგეგმა პროფესიული მომზადების კურსების და ტრენინგ პროგრამების განხორციელების ახალი ეტაპი.

“მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2017 წელს 41 მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე მომზადდა 1101 მსჯავრდებული, ხოლო 2018 წელს პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსებში ჩაერთო 600-მდე მსჯავრდებული.

აქტივობა: 1.2.4.4. საწარმოო ზონების (დასაქმების მინი კერების) განვითარება, ინდივიდუალური საქმიანობის ხელშეწყობა და მსჯავრდებულთა დასაქმება

პოლიტიკის შედეგი: პენიტენციურ დაწესებულებაში გაუმჯობესებული შრომითი შესაძლებლობები და დასაქმებული მსჯავრდებულები

შესრულების ინდიკატორი: 1.2.4.4. პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილია დამატებით 2 საწარმოო ზონა (დასაქმების მინი კერა) და დასაქმებულია 750 მსჯავრდებული

შემსრულებელი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული იყო 850 მსჯავრდებული. სამეურნეო სამსახურში დასაქმებული იყო (მათ შორის სილამაზის სალონები და ფიტნეს ინსტრუქტორი) 723 მსჯავრდებული, სამკერვალოსა და პურის საცხობებში 60 მსჯავრდებული, ხოლო ინდივიდუალური საქმიანობით დაკავებული იყო 67 მსჯავრდებული.

2017 წელი

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
547 მსჯავრდებული	702 მსჯავრდებული	760 მსჯავრდებული	850 მსჯავრდებული

2018 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულია 760 მსჯავრდებული. სამეურნეო სამსახურში დასაქმებული იყო (მათ შორის სილამაზის სალონები) 643 მსჯავრდებული, დასაქმების მინი კერებში და საწარმოო ზონებში 71 მსჯავრდებული, ხოლო ინდივიდუალური საქმიანობით დაკავებული იყო 46 მსჯავრდებული.

2018 წელი

I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
------------	-------------	--------------

601 მსჯავრდებული	606 მსჯავრდებული	760 მსჯავრდებული
------------------	------------------	------------------

2018 წლის ბოლომდე სსიპ შემოსავლების სამსახურთან ერთად დაგეგმილია 30 მსჯავრდებულისთვის მიკრო-ბიზნესის სტატუსის მინიჭების რეგისტრაცია.

მიზანი 2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 2.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

აქტივობა: 2.2.1.1. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობისთვის ელექტრონული საინფორმაციო მასალების მომზადება, ვებ-გვერდებსა და სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელება, სატელევიზიო რგოლების მომზადება

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული საზოგადოება

შესრულების ინდიკატორი: 2.2.1.1 საინფორმაციო მასალებისა და კამპანიების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო; შსს ცენტრალური კრიმინალური

პოლიციის დეპარტამენტი; შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (III) - 2018 (I)

ბიუჯეტი: 80 000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ინფორმირების კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში უკანონო ნარკოტრანზიტის აღკვეთის თაობაზე საინფორმაციო მასალების მომზადება (პრეს-რელიზი, ვიდეო მასალა, ბრიფინგები) და გავრცელება სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

აქტივობის განხორციელების ვადებში, გავრცელებულია ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის (ნარკოტრანზიტორების დაკავების და ნარკოტიკული საშუალებების ამოღების) ამსახველი 30-მდე ვიდეო მასალა.

გარდა ამისა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება. მაგალითად, გაშუქებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 99 პირის დაკავება.

აქტივობა: 2.2.1.2. ნარკოტრანზიტისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ბიზნეს წრეების ინფორმირება, საინფორმაციო შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული ბიზნეს წრეები

შესრულების ინდიკატორი: 2.2.1.2. საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო,; შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი; შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 12 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

ნარკოტრანზიტისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს უწყებათაშორისი თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურად შორის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის წარმომადგენლები არიან გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის უწყებათაშორისი ჯგუფის წევრები. კონტეინერების კონტროლის პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქონლის არალეგალური ბრუნვის აღკვეთა, საზღვარზე ნარკოტიკული ნივთიერებების, სტრატეგიული და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის აღმოჩენა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა, პროგრამის ფარგლებში მონაწილე ქვეყნებთან თანამშრომლობა,

ინფორმაციის გაცვლა და ა.შ. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტრანზიტთან ბრძოლის დანაყოფის მონაწილეობით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია მათ საქმიანობაში ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ, 2017-2018 წლებში შედგა 15 მსგავსი შეხვედრა.

ამოცანა 2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა: 2.2.2.1. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა

პოლიტიკის შედეგი: განახლებული საკანონმდებლო ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 2.2.2.1. განხორციელებული ცვლილებები

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს იურიდიული დეპარტამენტი
პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება

სტატუსი: **შესრულების პროცესშია**

შესრულების ანგარიში:

2017 წელს, შსს იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაციით, დაიწყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე ცვლილებების პაკეტის შემუშავება. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ოპერატიული ღონისძიება - კონტროლირებადი მიწოდება, თუმცა, გათვალისწინებული არ არის ამ ღონისძიების განხორციელების წესი და პირობები. პროექტის დღეისათვის არსებული ფორმის მიხედვით „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შედის ცვლილება, რომლითაც შესაძლებელი გახდება, რომ კონტროლირებადი მიწოდების ობიექტი გახდეს ნებისმიერი შესაძლო ნივთიერი

მტკიცებულება. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ენიჭება უფლებამოსილება კონტროლირებადი მიწოდების დროს განახორციელოს ნივთიერი მტკიცებულების ან საგნის სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება წინასწარ ნიშანდებული ან/და ყალბი (სიმულაციური) საგნით, დოკუმენტით, ნივთიერებით, ან სხვა ობიექტით. ამასთან, ამ მიზნებისთვის დასაშვებია ყალბი (სიმულაციური) საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების, ან სხვა ობიექტის სპეციალური დამზადება. ამავე ცვლილების საფუძველზე დასაშვები ხდება საკონტროლო შესყიდვის გამოყენება ადამიანთან მიმართებით, მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ - 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ინიცირებული და მიღებული იქნა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, ავიაკომპანიების მიერ, საჰაერო გზით გადაადგილებული მგზავრების შესახებ წინასწარი API (advance passenger information) და PNR (passenger name record) ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წლის 30 ივნისის №1182-III კანონით. ცვლილების თანახმად დადგინდა საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირების ვალდებულება „საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს წინასწარი API (advance passenger information) და PNR (passenger name record) ინფორმაცია საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების, ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასადგილებელი საქონლის ან/და მგზავრების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“. ამავე ცვლილებით, განისაზღვრა საგადასახადო პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. მითითებული ცვლილებები ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

ამასთანავე, განისაზღვრა, რომ „საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2017 წლის 1 დეკემბრამდე დაადგინოს ამ კანონის პირველი მუხლის 24-ე ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214¹ მუხლით განსაზღვრული წესი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 1 ივნისის №213 ბრძანება, რომლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 ივლისი. მიღებული ბრძანება ითვალისწინებს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირების მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მისაწოდებელი წინასწარი ინფორმაციის ჩამონათვალსა და მოწოდების წესს.

ამოცანა 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

აქტივობა: 2.2.3.1. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს სსიპ აკადემია

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

თარიღი: 19-23 ივნისი, 2017

დასახელება: სამართალდამცავი ორგანოების წამომადგენლების სასწავლო ვიზიტი

ორგანიზატორი: გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის UNODC-ის პროგრამა

განხილული საკითხები: მიზანია ინტეგრირებული საზღვრის მართვის პრაქტიკული ასპექტების განხილვა; უწყებათშორისი და საერთაშორისო სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხების გაცნობა; ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის და მათ შორის ნარკოტიკების გადაზიდვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და საპასუხო მექანიზმები, სწავლებები საზღვრის მართვის სფეროში და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობები. ვიზიტის განმავლობაში დელეგაციას ასევე სურს მოინახულოს სადახლოს სასაზღვრო გამტარი პუნქტი და სასაზღვრო სექტორი

ჩატარების ენა: ქართული

ჩატარების ადგილი: საქართველო/აზერბაიჯანი

მონაწილეები: 5; (2 საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი); (1 შსს აკადემია); (1 შსს სასაზღვრო პოლიცია)

სქესი: 3 მდედრობითი; 2 მამრობითი;

თარიღი: 17-24 თებერვალი, 2017

დასახელება: სწავლება ფოთის პორტის კონტეინერების კონტროლის ჯგუფის წევრებისთვის.

ორგანიზატორი: აშშ საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო

განხილული საკითხები: რისკების იდენტიფიცირება, სამიზნე ფაქტორების გამოვლენა და კონტეინერების ფიზიკური დათვალიერება

ჩატარების ენა: ინგლისური/რუსული

ჩატარების ადგილი: იორდანის პორტი აქაბა

მონაწილეები : 2 (1 შსს საპატრულო პოლიცია) (1 შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი)

სქესი: 2 მამრობითი

თარიღი: 3-7 აპრილი, 2017

დასახელება: კონტეინერების კონტროლის პროგრამა

ორგანიზატორი: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი

განხილული საკითხები: საქართველოში მიმდინარე რეგიონული თანამშრომლობის საკითხები და კონტეინერების კონტროლის პროგრამის ადგილზე გაცნობა

ჩატარების ენა: ქართული

ჩატარების ადგილი: თბილისი

მონაწილეები : 2 (1 პატრული) (1 კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი)

სქესი: 2 მამრობითი

თარიღი: 25-26 აპრილი, 2017

დასახელება: სასწავლო ვიზიტი თემაზე „სერიოზული ტრანსნაციონალური/ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ასპექტები“

ორგანიზატორი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა

განხილული საკითხები: ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები; კონტროლირებადი მიწოდება; ფსიქოაქტიური ნივთიერებების ცნება; ეროვნული პროგრამის გაცნობა ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვა.

ჩატარების ენა: ინგლისური/რუსული

ჩატარების ადგილი: პოლონეთი, ვარშავა

მონაწილეები: 2 (1 საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი) (1 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი)

სქესი: 1 მდედრობითი, 1 მამრობითი

2017 წლის 17-24 თებერვალს, იორდანის პორტ აქაბაში აშშ საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სწავლება თემაზე რისკების იდენტიფიცირება, სამიზნე ფაქტორების გამოვლენა და კონტეინერების ფიზიკური დათვალიერება. გამოცდილების გაზიარება სატვირთო

კონტეინერების შენიღბვის მეთოდოლოგიაზე, კონტრაბანდის აღკვეთაზე და დოკუმენტაციის შემოწმების ტექნიკაზე. შსს საპატრულო პოლიციიდან მონაწილეობა მიიღო 2 კანდიდატმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 4-მა თანამშრომელმა.

2017 წლის 27 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით ქ. ფოთში "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ჩატარებულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 5-მა თანამშრომელმა.

2017 წლის 3-11 მაისს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი ინიციატივით თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობას იღებდა 4 კანდიდატი, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 3 თანამშრომელი.

2017 წლის 10-19 ივნისი. ამერიკის საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ინიციატივით და ამერიკის შიდა უშიშროების, საბაჟოსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის (CBP) მხარდაჭერით, საერთაშორისო საზღვაო პორტებში დანაშაულის აღკვეთისა და გამოვლენის საკითხებზე ქ. ჩარლსტონში გამართულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 5-მა თანამშრომელმა.

24-27 ივლისი 2017 - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის ორგანიზებით, აშშ-დან მოწვეული ექსპერტის მიერ ქ. თბილისში სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში ჩატარდა სწავლება თემაზე „ნივთმტკიცების კონტამინაციისგან (დაბინძურებისგან) დაცვა“. სწავლების თემატიკა მოიცავდა ნივთმტკიცებებთან მოპყრობის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესების შესწავლას და მოწინავე გამოცდილების გაზიარებას. სწავლებას ესწრებოდნენ ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიის წარმომადგენლები, ექსპერტ-კრიმინალისტები და რეგიონული საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურების ხელმძღვანელები.

2017 წლის 31 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით ქ. ოდესაში "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ჩატარებულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 3-მა თანამშრომელმა.

2017 წლის 27-30 სექტემბერი - ეუთოს ცენტრალურ ოფისში საჰაერო მგზავრების მონაცემთა გაცვლის საკითხებზე გამართულ ეუთოს წევრი სახელმწიფოების სემინარზე ქ. ვენაში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2017 წლის 2-6 ოქტომბერს "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ბათუმის გეზში ჩატარდა სწავლება სტრატეგიული ტვირთებისა და ექსპორტის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 4 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 8 თანამშრომელმა.

2017 წლის 2-6 ოქტომბერს ალმა-ატაში გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის UNODC-ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; ცენტრალური აზიის გავლით ნარკოტიკების კონტრაბანდის თანამედროვე ტენდენციები და სხვა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 2-მა თანამშრომელმა.

2017 წლის 5-10 ოქტომბერს ქ. თბილისში "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ჩატარდა სწავლება. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან წარდგენილი იყო 1 თანამშრომელი და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 2 თანამშრომელი.

2017 წლის 8-14 ოქტომბერი. სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ქ. სოფიაში განხორციელებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2-მა თანამშრომელმა.

17-31 ოქტომბერი 2017 - ქ. პეკინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა - ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა სემინარი საქართველოს შსს თანამშრომლებისათვის კრიმინალური გამოძიების ტექნიკის თემაზე. მონაწილეობა მიიღო 15 (თხუთმეტმა) თანამშრომელმა.

2017 წლის 29-ოქტომბერი - 4-ნოემბერი ქ. ბაქოში ამერიკის საელჩოს ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გამართულ სწავლებაზე (თემა: რკინიგზაზე დანაშაულის აღკვეთა) მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 12-მა თანამშრომელმა.

30 ოქტომბერი–2 ნოემბერი 2017 - თბილისი, საქართველო - აშშ ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს ორგანიზებით ჩატარდა ნივთმტკიცების კონტამინაციის პრევენციის სასწავლო კურსი. მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ოცმა თანამშრომელმა;

13-14 ნოემბერი 2017 - თბილისი, ბათუმი, საქართველო - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა Thermo Fisher Scientific ქრომატოგრაფი/მასსპექტრომეტრის (GC/MS) ინსტალირებისა, სისტემური სპეციფიკის და ოპერირების ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ოთხმა თანამშრომელმა;

20-24 ნოემბერი 2017 - ქ. მილანი, იტალია - Thermo Fisher Scientific-ის სასწავლო ცენტრში გამართულ თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებაში „გაზური ქრომატოგრაფი/მასსპექტრომეტრი (GC/MS) სისტემების მართვა და ოპერირება“ მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა.

2017 წლის 26-30 ნოემბერი. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციასა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის მაკოორდინირებელი კომიტეტის რიგით მე-11 შეხვედრაზე ქ. ბრიუსელში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 14-20 იანვარს უკრაინის რესპუბლიკაში (ქ. ხმელნიცკი) მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი სტრატეგიული ვაჭრობის და ექსპორტის კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა.

2018 წლის 5-9 თებერვალს უკრაინის რესპუბლიკაში (ქ. ოდესა) მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი სტრატეგიული ვაჭრობის და ექსპორტის კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა.

19-23 თებერვალი 2018 - ქ. თბილისი, საქართველო (შსს აკადემია) - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა ნივთმტკიცების კონტამინაციის (დაბინძურების) პრევენციის ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო 10 (ათმა) თანამშრომელმა.

2018 წელი 26 თებერვალი - 2 მარტი. ქ. თბილისში EU-ACT-ისა FIAP-ის მხარდაჭერით გაიმართა რეგიონალური სემინარი კონტროლირებად მიწოდებაზე, სადაც 12 სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა

მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმა, საქართველოს პროკურატურის ოთხმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის სამმა თანამშრომელმა.

2018 წლის 12-16 მარტი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ოდესაში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 9-13 აპრილი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ბრიუსელში ჩატარებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 3-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 20-26 მაისი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. კიევში საჰაერო ტვირთებთან დაკავშირებით ჩატარებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

30 მაისი 2018 - ქ. თბილისი, საქართველო (შსს აკადემია) - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის ორგანიზებით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ ჩატარდა ISO/IEC 17025:2010 სტანდარტის გაცნობის ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო 22 (ოცდაორმა) თანამშრომელმა.

31 მაისი 2018 - ქ. თბილისი, საქართველო (შსს აკადემია) - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის ორგანიზებით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ ჩატარდა გაზომვის განუსაზღვრელობის განსაზღვრის ზოგადი პრინციპების ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო 18 (თვრამეტმა) თანამშრომელმა.

2018 წლის 18-26 ივნისი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ბათუმში ჩატარებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 8 თანამშრომელმა.

2018 წლის 23-27 ივნისი ქ. ბათუმში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა სწავლება სტრატეგიული ტვირთებისა და ექსპორტის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. ფინანსთა

სამინისტროდან მონაწილეობა მიიღო საგამომიებო სამსახურის 2-მა დასსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 9-13 ივლისი. აშშ-ს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოს (DEA) ორგანიზებით ქ. თბილისში, შსს პოლიციის აკადემიაში გამართულ ტრენინგში „ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა“ მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 19-20 ივლისი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტინენტების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ფოთში და ქ. ბათუმში ჩატარებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 3-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 12-18 აგვისტო. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტინენტების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ოდესაში ჩატარებულ სწავლებაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 24-27 სექტემბერი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით, მგზავრის სახელის ჩანაწერის მონაცემების (PNR) და მგზავრის წინასწარი მონაცემების (API) სისტემის შესახებ ქ. ამსტერდამში გამართულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 15-19 ოქტომბერი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტინენტების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ტაშკენტში სარკინიგზო გადაზიდვების კონტროლის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე გამართულ სემინარში მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 22-26 ოქტომბერს - სომხეთი-საქართველო - საფრანგეთის საელჩოსა და EU-ACT FIAP-ის პროექტის ფარგლებში გაიმართა პრაქტიკული სწავლება თემაზე „ტრანსსასაზღვრო რეგიონალური და ოპერაციული წვრთნა კონტროლირებად მიწოდებაში“ სადაც სომხეთის უკრაინისა და მოლდოვის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხუთმა, საქართველოს პროკურატურის ერთმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის ოთხმა თანამშრომელმა.

2018 წლის 31 ოქტომბერი - 3 ნოემბერი. ეუთოს ცენტრალურ ოფისში საჰაერო მგზავრების მონაცემთა გაცვლის საკითხებზე, ქ. ვენაში გამართულ სემინარზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 3-4 დეკემბერს - ქ. ერევანი სომხეთი - გაიმართა შეხვედრა DEA-ს ორგანიზებით კონტროლირებად მიწოდებასთან დაკავშირებით სომხეთისა და საქართველოს მხარეებს შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვსმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის ხუთმა თანამშრომელმა.

2018 წლის 10-14 დეკემბერს - ქ. კიევი, უკრაინა - UNODC კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, საჭაერო ტვირთების კონტროლთან დაკავშირებით, დაგეგმილ სწავლებაში დანაყოფის ვიზიტში სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად წარმოდგენილია საპატრულო პოლიციის ერთი თანამშრომელი.

2018 წლის 20-21 დეკემბერი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ყვარელში გამართულ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 11-მა თანამშრომელმა.

2018 წლის 20-22 დეკემბერს - ქ. ოდესა, უკრაინა -UNODC კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა შემოსავლების სამსახურის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის სამუშაო ვიზიტი.

2018 წლის 25-29 დეკემბერი. "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" ქ. ოდესაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 1-მა თანამშრომელმა.

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში 2017 წელს მომზადდა/გადამზადდა 281 თანამშრომელი. 2018 წლის 1 იანვრიდან დეკემბრამდე მომზადდა/გადამზადდა 548 თანამშრომელი.

2017 წელი

“ნარკოტიკები“

- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – **105 მსმენელი**;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **78 მსმენელი**;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **28 მსმენელი**;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **70 მსმენელი**.

2018 წელი

“ნარკოტიკები”

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **62 მსმენელი**;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **75 მსმენელი**;
- უზნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **36 მსმენელი**;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **75 მსმენელი**;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - **104 მსმენელი**;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - **55 მსმენელი**.

შსს აკადემიაში დაიწყო მუშაობა ნარკოტიკული დანაშაულის სასწავლო მოდულის შემუშავებაზე ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (EU-ACT) ფარგლებში. 2018 წლის 24-28 სექტემბერს შსს აკადემიაში გაიმართა EU-ACT ექსპერტთა ვიზიტი და სამუშაო შეხვედრები ნარკოტიკების თემაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს წარმომადგენლები. მოდულის შემუშავების შემდეგ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენერთა ტრენინგის ჩატარება.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლები პერმანენტულად გადიან სხვადასხვა სწავლებებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწის მიზნით. აღნიშნული სწავლებები ხორციელდება როგორც შსს აკადემიის ასევე დონორი ორგანიზაციების ორგანიზებით. საანგარიშო პერიოდში გადამზადდა დეპარტამენტის 30-მდე თანამშრომელი და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 12 თანამშრომელი.

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა:

- გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის UNODC-ის პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 2-6 ოქტომბერს ალმა-ატაში გაიმართა ვიზიტი- პრაქტიკული მეცადინეობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე - ცენტრალური აზიის გავლით ნარკოტიკების კონტრაბანდის თანამედროვე ტენდენციები და სხვა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 2-მა თანამშრომელმა. ვიზიტის მიზანი იყო განეხილათ ავღანეთიდან სამხრეთის მიმართულებით ოპიატების უკანონო გადაზიდვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

გამტარი პუნქტების შესაძლებლობების გაძლიერების და მესაზღვრეთა თანამშრომლობის ქსელის შექმნის მეშვეობით;

- "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" 2017 წლის 2-6 ოქტომბერს ბათუმის გეზში გაიმართა სწავლება სტრატეგიული ტვირთებისა და ექსპორტის კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 4 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 8 თანამშრომელმა;
- "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" კონტეინერების კონტროლის პროგრამა 5-10 ოქტომბერი ქ. თბილისში ცოდნის გაღრმავების მიზნით ჩატარდა სწავლება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 3-მა თანამშრომელმა;
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 5-11 ნოემბერს ქ. ვარნაში (ბულგარეთი) გაიმართა სასწავლო ვიზიტი გამოცდილების გაზიარებისა და კონტაქტების გაღრმავების მიზნით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 2 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 5-მა თანამშრომელმა;
- "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" 2018 წლის 15-19 იანვარს კიევი გაიმართა სწავლება სტრატეგიული ტვირთების კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა;
- "მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში" 2018 წლის 5-9 თებერვალს ოდესაში (უკრაინა) გაიმართა სწავლება "სტრატეგიული ტვირთების კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 5-მა თანამშრომელმა;
- საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის 26-27 მარტს უკრაინაში, კიევი გაიმართა რეგიონული შეხვედრა სტრატეგიული ტვირთებით ვაჭრობის კონტროლთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლების საკითხებზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, მოლდოვას და

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციის შესაბამისმა წარმომადგენლებმა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 4-მა თანამშრომელმა. ქართულმა მხარემ წარადგინა ინფორმაციას სტრატეგიული ტვირთებით ვაჭრობის კონტროლთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. შეხვედრაზე შეჯამდა საქართველოში მოქმედი კონტეინერების კონტროლის დანაყოფებისათვის ზემოხსენებულ საკითხებზე ჩატარებული 3 კვირიან სწავლება.

- გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი UNODC და WCO კონტეინერის კონტროლის პროგრამის (CCP) სტრატეგიული ვაჭრობისა და ექსპორტის კონტროლის რეგიონული ინფორმირებულობის საკითხებთან დაკავშირებით 26-27 მარტს უკრაინაში კიევი გაიმართა შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას საპორტო კონტროლის დანაყოფის წევრთა შორის საერთო გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სხვადასხვა უკანონო საქონლის (როგორიცაა ნარკოტიკები, პრეკურსორები, ქიმიკალები (ნარკოტიკებისა და იარაღისთვის), ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მასალების, ცეცხლსასროლი იარაღი და ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა ფორმების ჩასადენად განკუთვნილი იარაღი) გადასატანად გამოყენებული კონტეინერების შესაძლო გამოყენების რისკის მინიმუმამდე დაყვანა. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მონაწილეობა მიიღო 1 თანამშრომელმა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან 4-მა თანამშრომელმა .

აქტივობა: 2.2.3.2. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა

პოლიტიკის შედეგი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.2. შეძენილი აღჭურვილობა, დანერგილი ტექნოლოგიები

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო; ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 5000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წლის 1 ივლისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაეცა გაზური-ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრით, რომელიც გამოიყენება ნარკოტიკების, მათ შორის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების, ასაფეთქებელი და სხვა უცნობი ნივთიერებებისა იდენტიფიკაციისათვის. ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებებს აღარ უწევთ ნივთმტკიცებების სხვა რეგიონებში ტრანსპორტირება, დაიზოგა ადამიანური რესურსები, დამატებითი ხარჯები და ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დრო.

აგვისტო 2017 - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის მიერ, აჭარის ა/რ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაეცა თანამედროვე გაზური-ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრი. რეგიონის სატრანზიტო (სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტი, საზღვაო პორტი, აეროპორტი) და ტურისტული დატვირთვის პირობებში, რეგიონის სამართალდამცავი უწყებების მომართვიანობის დროულად დასაკმაყოფილებლად, ბათუმის ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია აღიჭურვა თანამედროვე სისტემებით, ხოლო ლაბორატორიის შენობა და სამუშაო პროცესი დაიგეგმა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

აქტივობა: 2.2.3.3. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 12 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წლის განმავლობაში გაიმართა 4 შეხვედრა ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის, სადაც განხილული იყო ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული საფრთხეები და ახალი გამოწვევები, ასევე დაიგეგმა ღონისძიებები უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და ინფორმაციის ეფექტური მიმოცვლის მექანიზმის შემუშავების მიზნით.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი მუდმივად მართავს შეხვედრებს ორგანიზაციებთან, რომლებიც ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო პარტნიორები არიან (მაგ აშშ დეა, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი და ა.შ.). საანგარიშო პერიოდში ასეთი სახის 76 შეხვედრა გაიმართა.

აქტივობა: 2.2.3.4. ერთობლივი სამუშაო/საგამომიებო ჯგუფის შექმნა საერთაშორისო ოპერატიულ დონეზე

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.4. სამუშაო/საგამომიებო ჯგუფების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: -

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორული დაფინანსება

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა/არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

სისტემატურად მიმდინარეობს აქტივობები საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში (UN, EU, GUAM, BSEC, WCO, IOM) ერთობლივი მუშა ჯგუფების ეფექტურად გამოყენება ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების და შესაბამისი სამოქმედო გეგმების მოთხოვნათა განხორციელების მიზნით.

აქტივობა: 2.2.3.5. ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.5. გაერთიანებული მონაცემთა ბაზა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: -

განხორციელების ვადა: 2018 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 7000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: **შესრულებული არ არის**

შესრულების ანგარიში:

აქტივობები არ განხორციელებულა, ვინაიდან, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურული ქვედანაყოფის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განსაზღვრული, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ნარკოტრანზიტის გამოვლენის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან ერთიანი საინფორმაციო ბაზა და არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება ინტეგრირდება შს სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბაზაში, რისთვისაც მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტივობებისთვის განსაზღვრული თანხა არ ათვისებულა.

აქტივობა: 2.2.3.6 არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.6. განთავსებული ინფორმაციის რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: -

განხორციელების ვადა: 2018 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 15 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: **შესრულებული არ არის**

შესრულების ანგარიში:

აქტივობები არ განხორციელებულა, ვინაიდან, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურული ქვედანაყოფის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით განსაზღვრული, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ნარკოტრანზიტის გამოვლენის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებთან ერთიანი საინფორმაციო ბაზა და არსებული და მოპოვებული ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ პროგრამაში განთავსება ინტეგრირდება შს სამინისტროს

ერთიან საინფორმაციო ბაზაში, რისთვისაც მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტივობებისთვის განსაზღვრული თანხა არ ათვისებულა.

აქტივობა: 2.2.3.7. ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების საინფორმაციო ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა

პოლიტიკის შედეგი: ეფექტიანი კოორდინაცია

შესრულების ინდიკატორი: 2.2.3.7. ეფექტიანი წვდომა საინფორმაციო ბაზაზე

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 12 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საინფორმაციო ბაზებზე ეფექტიანი წვდომის დაშვება პარტნიორი უწყებებისთვის.

მიზანი 3. კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 3.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

აქტივობა: 3.2.1.1. საზოგადოების ინფორმირება კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ, საინფორმაციო კამპანიების წარმოება სოციალურ ქსელებსა და შესაბამისი უწყებების ვებ-გვერდებზე, სატელევიზიო რგოლების დამზადება

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული საზოგადოება

შესრულების ინდიკატორი: 3.2.1.1. წარმოებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მონაცემთა გაცვლის სააგენტო); საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (II)

ბიუჯეტი: 80 000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

კიბერუსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაული პრევენციის მიზნით შს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ზოგადი ინფორმაცია - რა არის კიბერდანაშაული და მოქალაქემ მისგან თავი როგორ უნდა დაიცვას. ასევე, ამოქმედდა ცხელი ხაზის ნომერი კიბერდანაშაულის მსხვერპლთათვის.

კიბერუსაფრთხოების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით მედიაპოლდინგ „კვირა“-მ შექმნა ვებგვერდი cyber.kvira.ge (<http://cyber.kvira.ge/1991-2/>) ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია, როგორც საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის, ასევე ქვეყნის წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი გამოწვევების შესახებ. პროექტის აქტიური მხარდამჭერია შს სამინისტრო, ვებგვერდზე კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების ინტერვიუები ინტენსიურად იდება.

აქტივობა: 3.2.1.2. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მიერ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ

პოლიტიკის შედეგი: ინფორმირებული საზოგადოება

შესრულების ინდიკატორი: 3.2.1.2. გამართული შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მონაცემთა გაცვლის სააგენტო); საქართველოს მთავარი პროკურატურა;

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 24 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულების პროცესშია

შესრულების ანგარიში: 2017 წელს, საქართველოს პროკურატურის ჩართულობით, მოსწავლე ახალგაზრდობასთან განხორციელდა ერთი საინფორმაციო შეხვედრა კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ.

ამოცანა 3.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა: 3.2.2.1. კიბერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა

პოლიტიკის შედეგი: განახლებული საკანონმდებლო ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 3.2.2.1 საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებები

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს იურიდიული დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება

სტატუსი: **შესრულების პროცესშია**

შესრულების ანგარიში:

კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიზნით, საქართველოს პარლამენტში შექმნილია ჯგუფი, რომლის სამუშაო პროცესშიც მონაწილეობას იღებს შსს იურიდიული დეპარტამენტი.

ამოცანა 3.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების ინსტიტუციური გაძლიერება

აქტივობა: 3.2.3.1. კიბერდანაშაული წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლების პროფესიული და საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარება, ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 3.2.3.1. ჩატარებული ტრენინგებისა და დატრენინგებულ თანამშრომელთა რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი, სსიპ შსს აკადემია

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მონაცემთა გაცვლის სააგენტო); საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (I) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

09-13 იანვარი 2017 - ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი - აშშ სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიაში (ILEA) გაიმართა სწავლება თემაზე „ბავშვთა პორნოგრაფიის გამოძიება“. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა;

23-26 იანვარი 2017 - ქ. თბილისი, შსს აკადემია - საფრანგეთი საელჩოს ორგანიზებით საფრანგეთის პოლიციის მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარდა სწავლება „კიბერდანაშაულის გამოძიების ზოგადი საკითხები“. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა;

27-31 მარტი 2017 - ქ. თბილისი, შსს აკადემია - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარდა სწავლება „ღია წყაროების გამოყენება კიბერდანაშაულის გამოძიების საკითხებში“. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა;

05-09 ივნისი 2017 - ქ. თბილისი, შსს აკადემია - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარდა სწავლება „პროგრამული უზრუნველყოფა „პითონის“ გამოყენება კიბერგამოძიებაში“. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა;

18-22 სექტემბერი 2017 - ლიტვა, ვილნიუსი - ლიტვის პოლიციის საექსპერტო სერვისების ცენტრის ორგანიზებით გამართულ ჰაბიტოსკოპიური და ფოტო/ვიდეო/ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო სემინარში მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა;

18-22 სექტემბერი 2017 - თბილისი, საქართველო - აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებით ჩატარდა კიბერ დანაშაულის გამოძიების სასწავლო კურსი თემებზე: ქსელის საფუძვლები, ღია წყაროების ინსტრუმენტების გამოყენება, საბაზისო საექსპერტო ანალიზი, საერთაშორისო თანამშრომლობა, ფინანსური კიბერ დანაშაული და სხვა. მონაწილეობა მიიღო საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა.

26-28 მარტი 2018 - ქ. ვარშავა, პოლონეთი - ევროკავშირის ორგანიზებით ჩატარდა სასწავლო ვიზიტი თემაზე: “კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“. „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ პროგრამის ფარგლებში. მონაწილეობა მიიღო 2 (ორმა) თანამშრომელმა.

23-25 მაისი 2018 - ქ. თბილისი (საქართველოს მთავარი პროკურატურა) - აშშ იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი კიბერდანაშაულის საკითხებზე. მონაწილეობა მიიღო 1 (ერთმა) თანამშრომელმა.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები რეგულარულად გადიან ტრენინგებს და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონფერენციებსა და სასწავლო ვიზიტებში, 2017 წლის I და II კვარტალში ჩატარდა 5 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამმართველოს თერთმეტმა თანამშრომელმა:

თარიღი: 23–27 იანვარი, 2017

დასახელება: სასწავლო ვიზიტი „კომპიუტერებსა და ქსელში შეღწევა“ (CNIC)

ორგანიზატორი: INL/ ILEA

განხილული საკითხები: ელექტრონული გზით ჩადენილი დანაშაულის, მსხვერპლისა და დამნაშავის კომპიუტერის შემოწმება. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კომპიუტერისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებით ჩადენილი თაღლითობის შემთხვევებს და თანამედროვე სქემებს.

ჩატარების ადგილი: ბუდაპეშტი, უნგრეთი

მონაწილეები (საერთო რაოდენობა): 6 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

სქესი: მამრობითი 6

თარიღი: 27–31 მარტი, 2017

დასახელება: სასწავლო კურსის ჩატარება კიბერ უსაფრთხოების თემაზე

ორგანიზატორი: ეუთო–ს (OSCE) ტრანსნაციონალური დანაშაულის დეპარტამენტი

განხილული საკითხები: კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიება და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების მოძიება

ჩატარების ადგილი: შსს აკადემია, ქ. თბილისი

სამუშაო ენა: რუსული/ინგლისური

მონაწილეები 10 (6 შსს, 4 სუსი): ცკპდ 3, შსს აკადემია 1, საექსპერტო- კრიმინალისტიკური 2
სქესი: 9 მამრობითი, 1 მდედრობითი

თარიღი: 20-22 მარტი, 2017

დასახელება: სამუშაო შეხვედრა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე
ორგანიზატორი: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ აღმოსავლეთ
პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“

განხილული საკითხები: ლიტვის რესპუბლიკის პრაქტიკა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ
ბრძოლის საკითხებზე; სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება ინტერნეტში: მეთოდოლოგია,
თანამედროვე ტექნიკის და პროგრამების გაცნობა; ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის
წინააღმდეგ ბრძოლა; ლიტვის რესპუბლიკის პრაქტიკა ინტერნეტში კიბერ უსაფრთხოებისა
და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდის შესახებ და სხვა.

ჩატარების ენა: ქართული

ჩატარების ადგილი: თბილისი

მონაწილეები : 7 (1 შსს აკადემია) (3 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი)
(3 სუს)

სქესი: 6 მამრობითი; 1 მდედრობითი;

თარიღი: 8-9 მაისი, 2017

დასახელება: სასწავლო ვიზიტი თემაზე „კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“

ორგანიზატორი: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში
თანამშრომლობა

განხილული საკითხები: „კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“

ჩატარების ენა: ინგლისური

ჩატარების ადგილი: გერმანია, ქ. ბერლინი

მონაწილეები : 2 ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

სქესი: 2 მამრობითი

თარიღი: 28 თებერვალი, 2 მარტი, 2017

დასახელება: „ელექტრონული მმართველობა და ეროვნული კიბერ უსაფრთხოება“.

ორგანიზატორი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური აკადემია

განხილული საკითხები: ევროკავშირის კიბერ დიპლომატია, ეროვნული კიბერ
უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები, კიბერ საფრთხეები; საერთაშორისო გამოწვევები,
ინტერესები და სხვა.

ჩატარების ენა: ინგლისური

ჩატარების ადგილი: თბილისი

მონაწილეები : 3; (2 შინაგან საქმეთა სამინისტრო) (1 კვლევები)

სქესი: 2 მდედრობითი; 1 მამრობითი

2017 წელს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე საქართველოს პროკურატურის ჩართულობით განხორციელდა 5 სასწავლო აქტივობა და პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონული კონფერენცია - დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისა და კიბერდანაშაულის თემაზე, რომლის ფარგლებში მომზადება/გადამზადება სისტემის 51 წარმომადგენელმა გაიარა. აღნიშნულ აქტივობებში პროკურატურის სისტემის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვა საგამოძიებო და მიზნობრივი უწყებების წარმომადგენლები. ასევე, კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, 2 თვიანი მოსამზადებელი კურსის ფარგლებში, სწავლება გაიარა 62-მა სტაჟიორმა (ორი ჯგუფი).

2018 წელს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე საქართველოს პროკურატურის ჩართულობით განხორციელდა 7 სასწავლო აქტივობა, მათ შორის 3 სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც მომზადება/გადამზადება გაიარა სისტემის 35 წარმომადგენელმა. აღნიშნულ აქტივობებში, პროკურატურის სისტემის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობდნენ სხვა საგამოძიებო და მიზნობრივი უწყებების წარმომადგენლები.

2017 წლის სექტემბერში სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში შემუშავდა კიბერდანაშაულის გამოძიების, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსი. აღნიშნული კურსის ფარგლებში პირველ ეტაპზე გადამზადება გაიარა 12 თანამშრომელმა. კურსის მიზანი იყო მონაწილეების ცოდნის ამაღლება და გამტკიცება, რაც საჭიროა შესაბამისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად, კიბერდანაშაულის შემთხვევების კვალიფიკაციისა და გამოძიებისთვის, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების ზომების მისაღებად.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის თანამშრომლობის ფარგლებში, ეუთოს-ს დაფინანსებით, მავნე კოდის ანალიზისა და გამოძიების შესახებ ხუთდღიანი რეგიონული ტრენინგი ჩატარდა. კურსის მიზანი იყო კომპლექსური კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიება და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების დადგენა. სწავლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე, აზერბაიჯანის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მ/წ მე-2 კვარტალში განხორციელდა რეგიონული ტრენინგის - „პითონზე დაპროგრამება გამოძიებლებისათვის“ შემდგომი ეტაპი, რომლის მიზანი იყო კომპლექსური კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიება და ციფრული ექსპერტიზის მტკიცებულებების დადგენა. ტრენინგს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, ცენტრალური

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე,

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკა ისწავლება შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული კურსი 2018 წლის 1 იანვრიდან დეკემბრამდე გაიარა 36 მსმენელმა, 2017 წელს კი გაიარა - 105 მსმენელმა;
2. დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღნიშნული კურსი 2017 წელს გაიარა 78 მსმენელმა.

შსს აკადემიაში დაარსდა კიბერდანაშაულის შემთხვევის ადგილის იმიტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც მსმენელებს საშუალება ექნებათ იმიტირებული შემთხვევის ადგილზე შეძლონ, ჩაატარონ საგამომძიებო მოქმედებები ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. განხორციელდა თითოეული ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების ვიდეო გადაღება და მისი სალექციო რეჟიმში განხილვა. აღნიშნული კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე.

2017 წელს გადამუშავდა და ცვლილებები განხორციელდა კიბერდანაშაულის სწავლების კუთხით უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, კერძოდ აღნიშნულ პროგრამაში, გაიზარდა სალექციო საათების რაოდენობა.

2018 წლის ნოემბრის თვეში შემუშავდა „დანაშაულის გამოძიების კვალიფიკაციის ამაღლების კურსი“, სადაც ისწავლება საგანი: ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საგამომძიებო მოქმედებები“, ამჟამად გადამზადებას გადის 1 ჯგუფი, 20 თანამშრომელი.

აქტივობა: 3.2.3.2. კიბერდანაშაული წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

პოლიტიკის შედეგი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 3.2.3.2. დანერგილი სიახლეები პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით, შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 10 000 ლარი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი/ასიგნებების შემცირება/შეზღუდვა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წელს შსს აკადემიაში დაარსდა კიბერდანაშაულის შემთხვევის ადგილის იმიტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც მსმენელებს საშუალება ექნებათ იმიტირებული შემთხვევის ადგილზე შეძლონ ჩაატარონ საგამომიებო მოქმედებები ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია თითოეული ჩატარებული საგამომიებო მოქმედების ვიდეო გადაღება და შემდგომში მისი სალექციო რეჟიმში განხილვა. აღნიშნული კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე.

2018 წლის ბოლომდე იგეგმება კომპიუტერული ტექნიკისა და სხვადასხვა კიბერდანაშაულის ჩასაღწეად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა. გამოცხადებულია ტენდერი და მიმდინარეობს ზემოხსენებული ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესი. 2019 წლის იანვრის შუა რიცხვებისთვის აღნიშნული აქტივობა იქნება შესრულებული.

მაისი 2018 - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა შესყიდვის პროცედურები საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისთვის სისტემა UFED Cellebrite შესაძენად, რომელიც გამოიყენება მობილური ტელეფონებიდან, პლანშეტური კომპიუტერებიდან, ნავიგატორებიდან და სხვა ციფრული ინფორმაციის მატარებელი გაჯეტებიდან ინფორმაციის ამოღების, გაშიფვრის, აღდგენის და ანალიზისათვის.

ოქტომბერი 2018 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისათვის შეიძინა ინტერნეტ არტეფაქტების ამოღების, ანალიზისა და დახარისხების პროგრამული უზრუნველყოფის Magnet Forensics-ის ლიცენზიის და პროგრამის განახლებული ვერსია.

აქტივობა: 3.2.3.3. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 3.2.3.3. გამართული შეხვედრების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: 24 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ჩართულობით 2017 წლის I და II კვარტალში გაიმართა 8 შეხვედრა, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო პერმანენტულად მართავს შეხვედრებს პარტნიორ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, CERT.GOV.GE და ა.შ.), საანგარიშო პერიოდში (2017 III – 2018 II კვ.) 15-მდე შეხვედრა გაიმართა.

აქტივობა: 3.2.3.4. კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა
შესრულების ინდიკატორი: 3.2.3.4. ეფექტიანი კოორდინაცია, გამართული შეხვედრების რაოდენობა და შეხვედრებზე განსახილველი საკითხების იდენტიფიცირება
შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი
პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:
განხორციელების ვადა: 2017 (III) - 2018 (IV)
ბიუჯეტი: 25 000 ლარი, ადმინისტრაციული რესურსი
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: კოორდინაციის ნაკლებობა
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

საანგარიშო პერიოდში გაიმართა 3 შეხვედრა თავდაცვის სამინისტროს კიბერ უსაფრთხოების ბიუროსთან. თემა შეეხებოდა კიბერდანაშაულთან ბრძოლის და კიბერ უსაფრთხოების გლობალურ ტენდეციებს, აღნიშნული შეხვედრები ტარდებოდა თავდაცვის სამინისტროს შენობაში. შესაბამისად აღნიშნული აქტივობისთვის განსაზღვრული თანხა არ ათვისებულა.

მიზანი 4. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებით

ამოცანა 4.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (აღსს)

ქვე-ამოცანა: 4.1.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

აქტივობა: 4.1.2.1.1. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ეტაპობრივი დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.1.2.1.1. ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა, სადაც განხორციელდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (III) - 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: სიძნელები იმპლემენტაციის დროს

სტატუსი: შესრულების პროცესშია

შესრულების ანგარიში:

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისათვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შს მინისტრის 31/07/2017 წლის №407 ბრძანების შესაბამისად, შსს-ში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის საპილოტე პროგრამა 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამა მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოში, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

აქტივობა: 4.1.2.1.2. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაცია

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.1.2.1.2. პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც განხორციელდა საპილოტე პროგრამა (მინიმუმ 5 პოლიციის სამმართველო)

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2017 (II)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: სიძნელები იმპლემენტაციის დროს

სტატუსი: **ნაწილობრივ შესრულდა**

შესრულების ანგარიში:

2017 წლის იანვარში შეირჩნენ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებაში ჩართული ახალი პირები (ანალიტიკოსები), რომლებიც დაინიშნენ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოში.

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისათვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შს მინისტრის 31/07/2017 წლის №407 ბრძანების შესაბამისად, შსს-ში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის საპილოტე პროგრამა 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

შესაბამისად, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოსა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოში დაინერგა.

აქტივობა: 4.1.2.1.3. სასწავლო პროგრამების/სახელმძღვანელოების შემუშავება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.1.2.1.3. სასწავლო პროგრამების/სახელმძღვანელოების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2017 (II)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები

შესაძლო რისკები: სიძნელები იმპლემენტაციის დროს

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში 2017 წლის იანვრიდან გადაიხედა და გადამუშავდა ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, რომელიც დეტალურად მოიცავს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას. აღნიშნული კურსის ფარგლებში 2017 წელს გადამზადდა: 26 თანამშრომელი.

აქტივობა: 4.1.2.1.4. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული პირების შესაძლებლობების განვითარება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.1.2.1.4. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (II) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სააგენტო

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2017 წლის იანვარში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში, ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შესრულების მიზნით, შეირჩა და გადამზადდა, დამატებით, 8 პირი (შსს აკადემიის მაგისტრები).

2017 წლის 15–19 მაისს გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სააგენტოს (NCA) ინიციატივით, სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ჩატარდა სასწავლო კურსი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, ოპერატიული ანალიზის წარმოების ტექნიკების განვითარებასთან დაკავშირებით. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 23–მა მონაწილემ.

2017 წლის 11–13 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაზე

სახელწოდებით „Intelligence-led policing: a path to a smarter policing“. ევროპოლის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, გერმანიისა და შვედეთის წარმომადგენლებმა სამინისტროს თანამშრომლებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და ამ მიმართულებით საკუთარ ქვეყნებში არსებული გამოწვევები.

2017 წლის 14-16 ნოემბერს, შსს აკადემიაში გამართულ ტრენინგს „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ინფორმაციული მართვის საკითხები“, 14 თანამშრომელი/ანალიტიკოსი დაესწრო;

2018 წლის თებერვალსა და მარტში, შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ერთთვიანი სტაჟირება საპილოტე დანაყოფების 7 (შვიდმა) ანალიტიკოსმა გაიარა;

2018 წლის 17-19 აპრილს, ქ. ვარშავაში (პოლონეთი), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობის" პროექტის ფარგლებში, „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის" შესახებ სასწავლო კურსს, 4 თანამშრომელი/ანალიტიკოსი დაესწრო;

2018 წლის 25-28 ივნისს, ათენში (საბერძნეთი), სამართალდამცავთა ტრენინგის ევროპული სააგენტოს CEPOL ორგანიზებით, სტრატეგიული ანალიზის კურსი ჩატარდა, რომელსაც 1 თანამშრომელი/ანალიტიკოსი დაესწრო;

2018 წლის 10 ივლისიდან 13 ოქტომბრამდე შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში ერთთვიანი სტაჟირება გაიარა საპილოტე დანაყოფის 4 თანამშრომელმა/ანალიტიკოსმა.

სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი გადაიხედა და გადამუშავდა 2017 წლის იანვარში, რომელიც დეტალურად მოიცავს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას. აღნიშნული კურსის ფარგლებში გადამზადდა: 26 თანამშრომელი.

ქვე-ამოცანა: 4.1.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა: 4.1.2.2.1. შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა და/ან არსებული საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა

პოლიტიკის შედეგი: განახლებული საკანონმდებლო ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 4.1.2.2.1. განხორციელებული ცვლილებები

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (III) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: კანონმდებლობასთან შეუთავსებლობა
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისთვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ შს მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს №458 ბრძანება გამოიცა, რომელშიც ცვლილებები, შს მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №735 და 2017 წლის 31 ივლისის №407 ბრძანებების საფუძველზე შევიდა.

ამოცანა 4.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

ქვე-ამოცანა 4.2.2.1. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

აქტივობა: 4.2.2.1.1. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფციის დამტკიცება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები
შესრულების ინდიკატორი: 4.2.2.1.1. დამტკიცებული კონცეფცია
შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:
განხორციელების ვადა: 2017 (III) – 2017 (IV)
ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი
შესაძლო რისკები: სიძნელები კონცეფციის დამტკიცების დროს
სტატუსი: შესრულებულია
შესრულების ანგარიში:

2017 წლის 25 მაისს, შს მინისტრის N275 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია.

აქტივობა: 4.2.2.1.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში ჩართულ პირთა პროფესიული და საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების განვითარება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.2.2.1.2. ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (II) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- 2017 წლის 23-27 იანვარს ორგანიზაცია “PH International Georgia”-ს მხარდაჭერით ამერიკელმა ექსპერტმა ჩაატარა ტრენინგი სახელწოდებით „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია პრაქტიკაში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეხუთე განყოფილების 12-მა თანამშრომელმა;
- 2017 წლის 28 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულმა ექსპერტებმა ჩაატარეს სემინარი საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობაზე. სემინარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებმა და შსს აკადემიაში პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებმა. სემინარში მონაწილეობა მიიღო 19-მა მონაწილემ;
- 2017 წლის 15–22 ივლისს სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ქალაქ სავანას პოლიციის დეპარტამენტში (ჯორჯიის შტატი, აშშ) იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხუთი წარმომადგენელი სხვადასხვა დეპარტამენტიდან: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ამერიკული მოდელის გაცნობა პრაქტიკული კუთხით;
- 2018 წლის 7-11 მაისს, აშშ-ს ჯორჯიის შტატის ლაგრანჟის პოლიციის დეპარტამენტში შსს დელეგაციის ვიზიტი გაიმართა;

- 2018 წლის 25-28 ივნისს, სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის (SCOPE) ფარგლებში, ტრენინგი „საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიცია. პრაქტიკული ასპექტები“ ჩატარდა, რომელსაც 30 მართლწესრიგის ოფიცერი დაესწრო (ორგანიზატორები - PH International);
- 2018 წლის 30 ივლისიდან 3 აგვისტომდე, ევროკავშირის დაფინანსებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, ჰოლანდიელი ექსპერტის მონაწილეობით, საზოგადოებრივ პოლიციაზე (სწავლების მეთოდები და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება) სამუშაო შეხვედრა გაიმართა;
- 2018 წლის 20-24 აგვისტოს, ოცმა თანამშრომელმა, INL-ის ორგანიზებით, მართლწესრიგის ოფიცერების სასწავლო კურსი გაიარა;
- 2018 წლის 13-14 სექტემბერს, შსს აკადემიაში, ევროპის პოლიციის კოლეჯთან ასოციაციის ეგიდით დაგეგმილ საერთაშორისო სემინარს, თემაზე "რადიკალიზაციის პრევენცია", ექვსი მართლწესრიგის ოფიცერი დაესწრო;
- 2018 წლის 24 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, ჰოლანდიაში, მარნევაარდის სასწავლო ცენტრში (Marnewaard Training Centre) გამართულ ტრენინგი/პრაქტიკული სავარჯიშოში (live exercise), რომელიც ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში განხორციელდა, ათმა მართლწესრიგის ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა;
- 2018 წლის 6-9 ოქტომბერს, აშშ-ს ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში გამართულ ყოველწლიურ მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციას სამართალდაცვით სფეროში სამინისტროს სამი თანამშრომელი დაესწრო;
- 2018 წლის 8-12 ოქტომბერს, პოლონეთში, ქ. სლუპსკში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამართალდამცავების ტრენინგი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით (LET4CAP)“ ფარგლებში გამართულ ტრენინგში „მონიტორინგი, მენტორობა და კონსულტირება (MMA)“ ორმა მართლწესრიგის ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა.

აქტივობა: 4.2.2.1.3. სასწავლო მოდულების განვითარება/შემუშავება

პოლიტიკის შედეგი: გაუმჯობესებული პროფესიული შესაძლებლობები

შესრულების ინდიკატორი: 4.2.2.1.3. შემუშავებული/განვითარებული სასწავლო მოდულები

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (III) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: სიძნელები მოდულის შემუშავებისას

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში საგანი „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია“ ისწავლება შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2017 წელი

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 70 მსმენელი;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 105 მსმენელი;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 28 მსმენელი;

2018 წელი

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 62 მსმენელი;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 36 მსმენელი;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 75 მსმენელი;
- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 66 მსმენელი.

სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საგნისთვის „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია“ დათმობილი საათების მოცულობა გაიზარდა და შეადგენს 6 აკადემიურ საათს.

გარდა ამისა, შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 4 მაისის №1049594 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი, ხოლო შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის №2845287 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ასევე, მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიისთვის შერჩეული 60 ახალი თანამშრომელი გადის მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ქვე-ამოცანა 4.2.2.2. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა: 4.2.2.2.1. არსებულ საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების შეტანა და/ან შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა

პოლიტიკის შედეგი: განახლებული საკანონმდებლო ბაზა

შესრულების ინდიკატორი: 4.2.2.2.1. განხორციელებული ცვლილებები

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების არდამტკიცება

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- გამოიცა შს მინისტრის 2017 წლის 25 მაისის №275 ბრძანება „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“;
- შს მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №42 ბრძანების საფუძველზე შევიდა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანებაში. დებულებას დაემატა მე-15 მუხლი, სადაც განისაზღვრა მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქციები და კომპეტენცია.
- შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 4 მაისის №1049594 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი;
- შსს აკადემიის რექტორის 2018 წლის 22 ნოემბრის №2845287 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მიზანი 5. საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

ამოცანა 5.2.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა: 5.2.1.1 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.1 გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: პარტნიორი ქვეყნების პასიურობა

სტატუსი: **შესრულებულია**

შესრულების ანგარიში:

2017 წლის განმავლობაში ხელმოწერილი/ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები ან/და თანამშრომლობის მემორანდუმები:

- ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახვებების თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 30 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 7 თებერვალს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბერლინში 2014 წლის 9 ივლისს, ძალაშია 2017 წლის 20 მარტიდან;*

- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის პოლიტიკის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 4 აპრილს, ძალაშია 2017 წლის 31 ივლისიდან;*
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 21 აპრილს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 19 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 30 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 31 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 22 ივნისს, არ არის ძალაში;*
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 27 ივნისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ტალინში 2017 წლის 7 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. პეკინში 2017 წლის 25 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

2018 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები ან/და თანამშრომლობის მემორანდუმები:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. ჰააგაში 2018 წლის 9 მარტს, ძალაშია 2018 წლის 20 ივნისიდან;*
- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ჰააგაში 2018 წლის 9 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დანართი 1-ში ცვლილებები შეტანის თაობაზე“ საქართველოსა და ევროპოლს შორის ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება – *უკანასკნელი წერილი გაიგზავნა 2018 წლის 16 მარტს, ძალაშია 2018 წლის 21 მარტიდან;*
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. სტოკჰოლმში 2018 წლის 13 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ტექნიკური შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სპეციალისტების ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. პარიზში 2018 წლის 4 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 16 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 24 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

საქართველოს სამართალდაცვით სფეროსა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ 31 ქვეყანასთან (მათ შორის 17 არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა): ავსტრია, აზერბაიჯანი, აშშ (მემორანდუმი), ბელარუსი, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო (მემორანდუმი), გერმანია, ეგვიპტე, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, იტალია, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფიჯი (მემორანდუმი), ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვედეთი და ჩინეთი.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები გერმანიის შემდეგი ფედერალური მიწების შესაბამის სამინისტროებთან: ბადენ-ვიურტემბერგი, რაინლანდ-ჰფალცი, საქსონია და ჰესენი. ანალოგიური მემორანდუმის გაფორმება იგეგმება ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიასთან, ზავარიასთან და მეკლენბურგ-წინა პომერანიასთან.

ევროპული ინტეგრაციის/ევროპული მისწრაფებების სფეროში ერთობლივი განცხადებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფორმებული აქვს შემდეგი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, რუმინეთი და უნგრეთი. იგეგმება ანალოგიური ერთობლივი განცხადების გაფორმება უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც.

სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სამუშაო ჯგუფების შექმნის მიზნით შვედეთის, საფრანგეთისა და იტალიის შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურებთან გაფორმებულ იქნა თანამშრომლობის მემორანდუმები.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების პროექტები მომზადებულია ხელმოსაწერად ან მოლაპარაკებების სხვადასხვა სტადიაზეა შემდეგ ქვეყნებთან: ჩეხეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ბელგია (საერთაშორისო ხელშეკრულება), ისლანდია (საერთაშორისო ხელშეკრულება), ლუქსემბურგი (საერთაშორისო ხელშეკრულება), სერბეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ალბანეთი (საერთაშორისო ხელშეკრულება), ესპანეთი (მემორანდუმები სამოქალაქო გვარდიასთან და ესპანეთის ეროვნულ პოლიციასთან), არაბთა გაერთიანებული საემიროები (საერთაშორისო ხელშეკრულება), კატარი (მემორანდუმი) და ინდონეზია (მემორანდუმი).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამომავლოდაც გააგრძელებს თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების/ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებას.

აქტივობა: 5.2.1.2 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და მინისტრის პირველი მოადგილისა მოადგილეების ხელმძღვანელობით მაღალი დონის ორმხრივი საერთაშორისო შეხვედრებისა და ვიზიტების ორგანიზებით, რომელთა ფარგლებშიც ხდება თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებებისა და თანამშრომლობის სამომავლო გეგმების განსაზღვრა

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.2 შეხვედრებისა და ვიზიტების რაოდენობა, ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობა (5 შეხვედრა)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: პარტნიორი ქვეყნების პასიურობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- 2017 წლის 29-31 იანვარი: ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის დელეგაცია, კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნი ივან ნოსკევიჩის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ-ნ გიორგი მღებრიშვილთან, რომლის ფარგლებშიც ხელი მოეწერა თანამშრომლობის ოქმს. გაიმართა ასევე შეხვედრები საქართველოს მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელობასთან. დელეგაციის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო სამინისტროში გატარებული რეფორმებისა და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და სისხლის სამართლის საქმეების მართვის ელექტრონული სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება. სტუმრები ეწვივნენ შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს, „112“-ს და შსს აკადემიას;
- 2017 წლის 7 თებერვალი: შვედეთის სამეფოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ-ნი ანდერს იგემანის ხელმძღვანელობით და შვედეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეროვნული პოლიციის კომისრის მოადგილის, ბ-ნი მატს ლოფვინგის ხელმძღვანელობით ეწვია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. შეხვედრის ფარგლებში მინისტრებმა ხელი მოაწერეს „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. ვიზიტის ფარგლებში შვედეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამართა ასევე შეხვედრა საქართველოს იუსტიციის მინისტრთან.

შვედეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია „112“-ს და დაათვალიერა ამანათების მიმღები საბაჟო პუნქტი;

- 2017 წლის 20-26 მარტი: შედგა შს მინისტრის ვიზიტი ბელგიის სამეფოში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტემიულერთან, ევროკომისართან მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში - დიმიტრის ავრამოპულოსთან, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწვევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისართან - იოჰანეს ჰანთან;
- 2017 წლის 28 მარტი: შინაგან საქმეთა სამინისტროს ლატვიის შს მინისტრი, რიჰარდს კოზლოვსკისი ეწვია. ლატვიელ კოლეგას საქართველოს შს მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი შეხვდა. გიორგი მღებრიშვილმა ლატვიის შს მინისტრს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა საქართველოსა და ლატვიას შორის არსებულ მჭიდრო, პარტნიორულ ურთიერთობებზეც ისაუბრეს. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2009 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმს. შეხვედრაზე საქართველოს შს მინისტრმა ლატვიელ კოლეგას უწყებაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო, მათ შორის, მაღალტექნოლოგიური და მულტიფუნქციური ერთობლივი ოპერაციების ცენტრი, ასევე, კრიმინალური პოლიციის რეფორმირების, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციისა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროექტები;
- 2017 წლის 4 აპრილი: საქართველოს შს სამინისტროს ევროპოლის დირექტორი, ბ-ნი რობ უეინრაითი ეწვია. გიორგი მღებრიშვილმა და რობ უეინრაითმა სამომავლო თანამშრომლობის დეტალები განიხილეს და ახალ გეგმებზე იმსჯელეს. მხარეებმა ევროკავშირთან თავისუფალი სავიზო რეჟიმის ამოქმედების მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უდიდესი წვლილი შეიტანა, მათ შორის, განხორციელებული რეფორმებისა და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2017 წლის 6 აპრილი: შს მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი საქართველოში ვიზიტით მყოფ იორდანის კაშიმიტური სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმერიის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს, გენერალ მაიორ ჰუსეინ ალ ჰავათმეს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეები საქართველოს შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იორდანიის შსს-ს ჟანდარმერიის დეპარტამენტს, ასევე, FIEP-ს (ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ჟანდარმერიებისა და გასამხედროებული პოლიციის სტატუსის მქონე ძალების გაერთიანება) შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ;

- 2017 წლის 21 აპრილი: საქართველოს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი, ვიქტორ ორბანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, კაროლი კონტრატი და სხვა ოფიციალური პირები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კაროლი კონტრატმა ხელი მოაწერეს „ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას. აღნიშნული დეკლარაციის თანახმად, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროები, ევროკავშირის პოლიტიკის შესაბამისად, საპოლიციო რეფორმების განხორციელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ერთმანეთს გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკას გაუზიარებენ. დოკუმენტი მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, ექსპერტებს შორის შეხვედრებს, კონფერენციებისა და სემინარების მოწყობას;
- 2017 წლის 19 მაისი: პროგრამის - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“ - ფარგლებში განხორციელდა ლიტვის ეროვნული პოლიციის უფროსის, ბ-ნი ლინას პერნავასის და მისი დელეგაციის ვიზიტი საქართველოს შს სამინისტროში. გაიმართა შეხვედრა შს მინისტრის პირველ მოადგილესთან. მხარეებმა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს შორის“ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ურთიერთგაგების მემორანდუმში ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას დანაშაულის პრევენციის, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის და საპოლიციო განათლების მიმართულებით. ამ მიზნით, ჩატარდება ერთობლივი სემინარები და განხორციელდება სასწავლო ვიზიტები;
- 2017 წლის 30 მაისი: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, რიჰარდს კოზლოვსკის შეხვდა. რიჰარდს კოზლოვსკი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოში სპეციალურად პოლიციის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა. გიორგი მღებრიშვილმა და რიჰარდს კოზლოვსკიმ ხელი მოაწერეს „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას. დოკუმენტი მიზნად ისახავს, ხაზი გაუსვას მხარეთა სურვილს, განავითარონ და გააღრმავონ ორმხრივი ურთიერთობები შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, მათ შორის, ევროპული მისწრაფებების კონტექსტში. ერთობლივი განცხადების თანახმად,

ქართველი და ლატვიელი სამართალდამცველები, რეფორმების განხორციელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ერთმანეთს გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას გაუზიარებენ. გიორგი მღებრიშვილმა ლატვიის მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესში მტკიცე მხარდაჭერის გამოხატვისა და ამ კუთხით შეტანილი წვლილისთვის;

- 2017 წლის 31 მაისი: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, ეიმუტის მისიუნასს შეხვდა. ეიმუტის მისიუნასი, დელეგაციასთან ერთად, საქართველოში სპეციალურად პოლიციის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდა. გიორგი მღებრიშვილმა და ეიმუტის მისიუნასმა ხელი მოაწერეს „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას. დოკუმენტი მიზნად ისახავს, ხაზი გაუსვას მხარეთა სურვილს, განავითარონ და გააღრმავონ ორმხრივი ურთიერთობები შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, მათ შორის, ევროპული მისწრაფებების კონტექსტში. ერთობლივი განცხადების თანახმად, ქართველი და ლიტველი სამართალდამცველები, რეფორმების განხორციელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ერთმანეთს გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას გაუზიარებენ. გიორგი მღებრიშვილმა ლიტვის შს მინისტრს საქართველოს ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს შს მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთ პარტნიორობის საპოლიციო თანამშრომლობის პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, პოლიციის საკითხებში სტანდარტიზაციასა და ჰარმონიზაციას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ლიტვის რესპუბლიკა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი პარტნიორია;
- 2017 წლის 22 ივნისი: შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამუშაო ვიზიტით, საბერძნეთის რესპუბლიკის შს მინისტრი ნიკოლას ტოსკასი დელეგაციასთან ერთად ეწვია. ბერძენ კოლეგას საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი შეხვდა. გიორგი მღებრიშვილმა და ნიკოლას ტოსკასმა ხელი მოაწერეს „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. მხარეებმა ხაზი გაუსვეს პოლიციის ატაშეებისა და ერთობლივი სამუშაო ჯგუფების მნიშვნელობას, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და სამომავლო გეგმები დასახეს. საქართველოს შს მინისტრმა ბერძენ კოლეგას ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში საბერძნეთის რესპუბლიკის მიერ გამოხატული მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა

გადაუხადა. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი დაათვალიერეს;

- 2017 წლის 27 ივნისი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იტალიის რესპუბლიკის კარაბინიერთა კორპუსის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ტულიო დელ სეტე დელეგაციასთან ერთად ეწვია. კარაბინიერთა კორპუსის მეთაურს შს მინისტრი, გიორგი მდებრიშვილი შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იტალიის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. შს მინისტრმა იტალიის კარაბინიერთა კორპუსის მეთაურს უწყებაში, კერძოდ, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები გააცნო. შს მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა იტალიაში საქართველოს პოლიციის ატაშეს მუშაობის მნიშვნელობაზე, რომელიც იტალიის სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. შეხვედრის დასრულების შემდეგ ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იტალიის რესპუბლიკის კარაბინიერთა კორპუსს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს“.
- 2017 წლის 5 ივლისი: შედგა შს მინისტრის შეხვედრა გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პოლიციის უფროსთან, ბ-ნ დიტერ შიურმანთან;
- 2017 წლის 6–7 ივლისი: განხორციელდა შს მინისტრის ვიზიტი ქ. ტალინში გასამართ ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაში (JHA) მონაწილეობის მისაღებად. მინისტრიალის ფარგლებში ორგანიზება გაუკეთდა შს მინისტრის ორმხრივ შეხვედრებს ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ფინეთის, მალტისა და ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრებთან. ესტონეთის შს მინისტრთან შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას;
- 2017 წლის 26-29 სექტემბერი: შედგა შსს დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვიზიტს ფარგლებში შს მინისტრმა ხელი მოაწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2017 წლის 8 ნოემბერი: შედგა შს მინისტრის შეხვედრა შვედეთის სამეფოს პარლამენტის თავმჯდომარის მეორე მოადგილესთან, ბ-ნ ბიორნ სოდერთან.

2018 წელი გამოირჩევა მნიშვნელოვანი ვიზიტებითა და საერთაშორისო შეხვედრებით, რომლებიც განხორციელდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების/ევროპოლის ან/და პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებთან ან სახელმწიფო თანამდებობის სხვა პირებთან. აღნიშნული ვიზიტები/საერთაშორისო შეხვედრები აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა, ხსენებული ვიზიტების/საერთაშორისო შეხვედრების დროს ქართულმა მხარემ ევროპელ პარტნიორებს წარუდგინა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, მათ შორის საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია.

მნიშვნელოვანი ვიზიტები/საერთაშორისო შეხვედრები:

- 2018 წლის 1–3 თებერვალი: განხორციელდა ინდონეზიის ეროვნული პოლიციის უფროსის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა შს მინისტრის მოადგილესთან;
- 2018 წლის 11–13 თებერვალი: განხორციელდა თურქეთის ეროვნული პოლიციის უფროსის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრები საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან, მინისტრის პირველ მოადგილესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან;
- 2018 წლის 19–22 თებერვალი: განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ქ–ნი ნინო ჯავახაძის ვიზიტი გერმანიაში (ქ. დიუსელდორფში) და ავსტრიაში (ქ. ვენაში). გაიმართა შეხვედრები ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბავშვთა, ოჯახის, ლტოლვილთა და ინტეგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და კრიმინალური პოლიციის სამსახურის უფროსთან, ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს გენერალურ მდივანთან და კრიმინალური პოლიციის ფედერალური სამსახურის დირექტორთან;
- 2018 წლის 24 თებერვალი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარია ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში. გაიმართა შეხვედრები სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან და პოლიციის უფროსთან;
- 2018 წლის 9 მარტი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარია ვიზიტი ქ. ჰააგაში (ნიდერლანდები) ევროპოლის შტაბ–ბინაში. გაიმართა შეხვედრები ევროპოლის აღმასრულებელ დირექტორთან, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან და ევროპოლის სხვა თანამდებობის პირებთან. ხელი მოეწერა შესაბამის მნიშვნელოვან დოკუმენტებს;

- 2018 წლის 12–14 მარტი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარიას ვიზიტი შვედეთის სამეფოში. გაიმართა შეხვედრები შვედეთის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან, შვედეთის პოლიციის ეროვნულ კომისართან, შვედეთის პარლამენტის მეორე ვიცე-სპიკერთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ საკითხებში გენერალურ დირექტორთან. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრის დროს ხელი მოეწერა ერთობლივ განცხადებას;
- 2018 წლის 16 მარტი: განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრები საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან, მინისტრის პირველ მოადგილესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან. ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- 2018 წლის 16–20 აპრილი: განხორციელდა ესპანეთის სამეფოს შსს ეროვნული პოლიციის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის გენერალური კომისრის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან;
- 2018 წლის 23–24 აპრილი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარიას ვიზიტი ლიეტუვას რესპუბლიკაში. გაიმართა შეხვედრები ლიეტუვას შინაგან საქმეთა მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ეროვნული პოლიციის გენერალურ კომისართან;
- 2018 წლის 28–29 მაისი: განხორციელდა რაინლანდ-ჰვალცის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან;
- 2018 წლის 30 მაისი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარიას ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. გაიმართა შეხვედრა გერმანიის შინაგან საქმეთა, მშენებლობისა და სამშობლოს საკითხთა ფედერალურ მინისტრთან;
- 2018 წლის 22 ივნისი: განხორციელდა ბრაზილიის იუსტიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან;
- 2018 წლის 4 ივლისი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარიას ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში. გაიმართა შეხვედრა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან. ხელი მოეწერა ტექნიკურ შეთანხმებას;

- 2018 წლის 16 ივლისი: იტალიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის, რა დროსაც ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- 2018 წლის 21–26 ივლისი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარია ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაიმართა შეხვედრები აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელმძღვანელთან, აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელთან, აშშ–ს ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელმძღვანელთან;
- 2018 წლის 30 აგვისტო: აზერბაიჯანში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოსა და აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრების ორმხრივი შეხვედრა გაიმართა. მინისტრებმა ნარკოტრაფიკის კონტროლის მიზნით ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებაზე იმსჯელეს;
- 2018 წლის 11 სექტემბერი: განხორციელდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ბ–ნი გიორგი გახარია ვიზიტი უკრაინაში და გაიმართა შეხვედრა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრთან. მხარეებმა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფოთშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე იმსჯელეს;
- 2018 წლის 24 სექტემბერი: განხორციელდა ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და უსაფრთხოების მინისტრის ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან. ხელი მოეწერა საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- 2018 წლის 16 ოქტომბერი: განხორციელდა რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის (მინისტრის პირველი მოადგილე) ვიზიტი საქართველოში და გაიმართა შეხვედრა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბ–ნი გიორგი გახარიასთან და შს მინისტრის მოადგილესთან, ქ–ნ ნინო ჯავახიშვილს. ხელი მოეწერა ევროკავშირთან გაფორმებული რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმს.

აქტივობა: 5.2.1.3 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შექმნითა და მათ ფარგლებში შეხვედრების გამართვით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.3 ორმხრივი სამუშაო ჯგუფებისა და გამართული შეხვედრების რაოდენობა (5 შეხვედრა)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: პარტნიორი ქვეყნების პასიურობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- 2017 წლის 7 თებერვალი: შვედეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრის დელეგაციასთან ერთად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვია შვედეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეროვნული პოლიციის კომისრის მოადგილის, ბ-ნი მატს ლოფვინგის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, შსს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს, შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან და თანამშრომლებთან.
- 2017 წლის 3-7 ივლისი: ორგანიზება გაუკეთდა გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის პოლიციის დელეგაციის ვიზიტს საქართველოში. სტუმრებმა, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით, შეხვედრები გამართეს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. მხარეებმა განიხილეს ორგანიზებული დანაშაულის კუთხით არსებული მდგომარეობა, ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.
- 2017 წლის 6-7 სექტემბერი: ქ. ჰააგაში გამართული ევროპის პოლიციის უფროსთა კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი სამუშაო შეხვედრა საბერძნეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიისა და კოლუმბიის პოლიციის ხელმძღვანელ პირებთან და წარმომადგენლებთან.

- 2018 წლის იანვარი: თურქეთში გაიმართა ერთობლივი კომისიის რიგით მე-7 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და თურქეთის ეროვნული პოლიციის წარმომადგენლებმა. მხარეებმა ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან, ნარკოტრანზიტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.
- 2018 წლის 26-27 სექტემბერი: ქ. ჰააგაში გამართული ევროპის პოლიციის უფროსთა კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი სამუშაო შეხვედრები შვედეთის, ესპანეთის, პოლონეთისა და ესტონეთის სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობას. ამ მიზნით საფრანგეთისა და იტალიის მხარეებთან 2018 წელს გაფორმებულ იქნა კონკრეტული დოკუმენტები, ხოლო 2018 წლის სექტემბერში უკრაინაში საქართველოს შს მინისტრის ვიზიტის დროს მხარეებმა იმსჯელეს ხსენებული ფორმატის სამუშაო ჯგუფის შექმნაზე.

აქტივობა: 5.2.1.4 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება პოლიციის ატაშეების ფარგლებში ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.4 პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების რაოდენობა შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: პოლიციის ატაშეების ქსელის შემდგომი გაფართოების მიზანშეუწონლობა

სტატუსი: **შესრულებულია**

შესრულების ანგარიში:

- 2017 წლის 24-25 იანვარი: ორგანიზება გაუკეთდა დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს მეკავშირე ოფიცრის ვიზიტს საქართველოში. დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, ინტერპოლის, სასაზღვრო პოლიციის და

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან. ვიზიტის ფარგლებში მოხდა ახალი ატაშეს, ბ-ნი ენდრიუ სტივენსონის წარდგენა ხსენებული სამსახურებისთვის და თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ვიზიტის შედეგად, პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც დარჩა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერება, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ხელშეწყობა დნმ ლაბორატორიის შექმნის და ბალისტიკური ლაბორატორიის განახლების და შესაბამისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით;

- 2017 წლის 20-23 მარტი: ორგანიზება გაუკეთდა კანადის სასაზღვრო სამსახურის (Canadian Border Services Agency - CBSA) მეკავშირე ოფიცრის (რეზიდენციით ქ. სტამბოლი), ბატონი ქრეიგ ბელის (Craig Bell) ვიზიტს შინაგან საქმეთა სამინისტროში. განხორციელდა შეხვედრები საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საბაჟო დეპარტამენტის და კონტეინერების კონტროლის დანაყოფის წარმომადგენლებთან. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მიგრაციის, დეპორტაციების, დოკუმენტების კონტროლთან დაკავშირებული ტრენინგების კუთხით სამომავლო გეგმების და კანადიდან ირანის მოქალაქეების დეპორტირებისთვის თბილისის აეროპორტის, როგორც ტრანზიტული კვანძის გამოყენების შესაძლებლობის განსახილველად;
- 2017 წლის 28 თებერვალი, 27 მარტი, 3 მაისი: ორგანიზება გაუკეთდა ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონ კარლჰაინც გორტანოს, ვიზიტებს შს სამინისტროში. შეხვედრები განხორციელდა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. მხარეებმა მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსა და სასწავლო ვიზიტების განხორციელების თაობაზე ისაუბრეს;
- 2017 წლის 12-16 მარტი: ორგანიზება გაუკეთდა (იანვარში განხორციელებული ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად) დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს (NCA) დელეგაციის ვიზიტს საქართველოში. ვიზიტის მიზანი იყო ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება ფარულ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების და ფარულ წყაროებთან მუშაობის კუთხით. შეხვედრებში მონაწილეობდა NCA-ს ექსპერტი ფარულ წყაროებთან მუშაობის კუთხით. დაიგეგმა შესაბამისი კადრების მომზადება. ბრიტანულ მხარესთან აღნიშნული პროექტის განხორციელება დამოკიდებულია სამინისტროს მიერ კანონმდებლობაში ინიცირებულ ცვლილებებზე;
- 2017 წლის 28-31 მარტი: ნიდერლანდების სამეფოს პოლიციის ატაშესთან აქტიური თანამშრომლობით, მასობრივი ხასიათის ზოგიერთი ღონისძიების საკანონმდებლო წესით

დარეგულირების საკითხებზე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში. ვიზიტი მიზნად ისახავდა ქართული მხარის მიერ (განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი) მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალის “Mysteryland” მიმდინარეობისას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას;

- 2017 წლის 26 აპრილი: ორგანიზება გაუკეთდა თურქეთის პოლიციის ატაშეს, ბატონ შაბან დოდანის, შს სამინისტროში ვიზიტს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორსა და წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მხარეებმა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დეტალებზე ისაუბრეს;
- 2017 წლის 19 მაისი: ორგანიზება გაუკეთდა ესპანეთის სამეფოს პოლიციის ატაშეს, ბატონ ხოსე ანტონიო კუბელ ლოპესის, შს სამინისტროში ვიზიტს. შეხვედრები გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობების, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე მხარეებმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის კუთხით არსებულ ვითარებასა და ტერორიზმის საკითხებზე ისაუბრეს;
- 2017 წლის 22-24 მაისი: ავსტრიის რესპუბლიკის პოლიციის ატაშესთან აქტიური თანამშრომლობით, ორგანიზება გაუკეთდა ავსტრიაში შსს-ს დელეგაციის ვიზიტს მინისტრის მოადგილის, ბ-ნ მერაბ მაღანის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში, ქართული მხარის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს მუსიკალური ფესტივალის „Donauinselfest“-ის ჩატარებასთან დაკავშირებით და გაეცნენ რიგი პრაქტიკული საკითხების ორგანიზებას;
- 2017 წლის 1 ივნისი: ორგანიზება გაუკეთდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ევროპის სამმართველოს უფროსის მოადგილის, საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს ევროკავშირის ქვეყნების ოფისის ხელმძღვანელის, ვიცე-პოლკოვნიკის ლე გუადერისა და საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების ატაშეს, ბატონ ბრუნო ბალდუკის შს სამინისტროში ვიზიტს. შეხვედრა გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის დირექტორთან. შეხვედრაზე მხარეებმა პოლიციის ატაშეების ფუნქცია-მოვალეობების, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და ჟანდარმერიას შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ ისაუბრეს. ასევე, ინიცირება გაკეთდა საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე სასწავლო ვიზიტთან დაკავშირებით;
- 2017 წლის 15 ივნისი: ორგანიზება გაუკეთდა ნიდერლანდების სამეფოს ეროვნული პოლიციის ატაშეს, ბ-ნი რობერტ ჰანეფელდის შეხვედრას შს სამინისტროში. შეხვედრა

გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. მხარეებმა განიხილეს მიმდინარე ერთობლივი პროექტები, მათ შორის საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის სფეროში ნიდერლანდების ეროვნულ პოლიციასთან თანამშრომლობის შესაძლებლობები/სასწავლო ვიზიტი;

- 2017 წლის 16 ივნისი: ორგანიზება გაუკეთდა დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს მეკავშირე ოფიცრის, ბატონ ენდრიუ სტივენსონის, შს სამინისტროში ვიზიტს. შეხვედრა გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობების, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და იურიდიული დეპარტამენტების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მხარეებმა შს სამინისტროს თანამშრომელთათვის ფარული საგამომიებო მოქმედებების თემატიკაზე ჩასატარებელი სწავლების შესახებ ისაუბრეს.
- 2017 წლის 4-6 სექტემბერი: დიდი ბრიტანეთის დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სააგენტოს (NCA) მეკავშირე ოფიცრის ორგანიზებით, განხორციელდა შსს დელეგაციის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა შს მინისტრის მოადგილე, ბ-ნი შალვა ხუციშვილი, რომელმაც შეხვედრა გამართა NCA-გენერალური დირექტორის მოადგილესთან, ბატონ მეთიუ ჰორნთან. ვიზიტის მიზანი იყო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სააგენტოს საიდუმლო წყაროებთან მუშაობის დანაყოფის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფარული გამომძიებლების (undercover), საიდუმლო წყაროებთან მუშაობის წესებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება.
- 2018 წლის 19-20 მარტი: ორგანიზება გაუკეთდა კანადის მეკავშირე ოფიცრის (დევიდ ქეპესი) საქართველოში ვიზიტს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გაიმართა შსს საერთაშორისო ურთიერთობებისა და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 16-20 ივლისი: ორგანიზება გაუკეთდა დიდი ბრიტანეთის პოლიციის ახალი მეკავშირე ოფიცრის, ქ-ნ ამანდა ჰიკმანის ვიზიტს შს სამინისტროში. გაცნობითი ხასიათის შეხვედრები განხორციელდა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და შსს სსდ-საქ.სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 30 აგვისტო: ორგანიზება გაუკეთდა ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონ კარლჰაინც გორტანოს, ვიზიტს შს სამინისტროში. შეხვედრა განხორციელდა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 4 სექტემბერი: ორგანიზება გაუკეთდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების ოფიცრისა (ნიკოლას ქიფი) და მისი თანაშემწის (გიორგი უსანეთაშვილი) ვიზიტს შს სამინისტროში. შეხვედრა

განხორციელდა შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის და შსს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

- 2018 წლის 11 ოქტომბერი: ორგანიზება გაუკეთდა თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ატაშეების, ბ-ნ ულურ ქოსესა და ბ-ნ ჟეზმი აიალინქილიჩს (Mr. Uğur Köse - პოლიციის მიმართულებით და Col. Cezmi Yalinkiliç - ჟანდარმერიის მიმართულებით) ვიზიტს შს სამინისტროში. შედეგად, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა შს საერთაშორისო ურთიერთობების წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 16 ოქტომბერი: ორგანიზება გაუკეთდა თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ატაშეების, ბ-ნ ულურ ქოსესა და ბ-ნ ჟეზმი აიალინქილიჩს (Mr. Uğur Köse - პოლიციის მიმართულებით და Col. Cezmi Yalinkiliç - ჟანდარმერიის მიმართულებით) ვიზიტს შს სამინისტროში. შედეგად, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა შს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 24 ოქტომბერი: ორგანიზება გაუკეთდა თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ატაშეების, ბ-ნ ულურ ქოსესა და ბ-ნ ჟეზმი აიალინქილიჩს (Mr. Uğur Köse - პოლიციის მიმართულებით და Col. Cezmi Yalinkiliç - ჟანდარმერიის მიმართულებით) ვიზიტს შს სამინისტროში. შედეგად, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დირექტორთან და სხვა წარმომადგენლებთან.
- 2018 წლის 21 ნოემბერი: ორგანიზება გაუკეთდა ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონ კარლჰაინც გორტანოს, ვიზიტს შს სამინისტროში. შეხვედრა განხორციელდა შსს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა მიმდინარე რეფორმების შესახებ ისაუბრეს.
- 2018 წლის 10 დეკემბერი: ორგანიზება გაუკეთდა თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ატაშეების, ბ-ნ ულურ ქოსესა და ბ-ნ ჟეზმი აიალინქილიჩს (Mr. Uğur Köse - პოლიციის მიმართულებით და Col. Cezmi Yalinkiliç - ჟანდარმერიის მიმართულებით) ვიზიტს შს სამინისტროში. შედეგად, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა სსიპ- "112"-ის დირექტორთან და წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეების მიერ, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარებულ იქნა 9 ერთობლივი ღონისძიება.

2018 წლის მდგომარეობით შსს-ს ატაშეები წარგზავნილი ჰყავს 16 ქვეყანაში, ასევე, მეკავშირე ოფიცერი გაიგზავნა ევროპოლში. პოლონეთში წარგზავნილი პოლიციის ატაშე აკრედიტებულია ასევე ესტონეთში და შვედეთში წარგზავნილი პოლიციის ატაშე აკრედიტებულია დანიაში. იგეგმება არსებული ატაშეების აკრედიტაცია მესამე ქვეყნებში,

კერძოდ პოლონეთში განთავსებული პოლიციის ატაშეს აკრედიტება ლატვიასა და ლიეტუვაში, ხოლო შვედეთში განთავსებული პოლიციის ატაშეს აკრედიტება ფინეთსა და ნორვეგიაში. ამ მიმართულებით დაწყებულია შესაბამისი პროცედურები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარგზავნილი ჰყავს პოლიციის ატაშეები შემდეგ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის წევრ 10 ქვეყანაში): ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი (ამჟამად ვაკანტურია), ბელგია (ამჟამად ვაკანტურია), ნიდერლანდები, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი (ამჟამად ვაკანტურია), იტალია (ამჟამად ვაკანტურია), პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი, უკრაინა, შვედეთი და ჩეხეთი (ამჟამად ვაკანტურია).

2018 წლის 1 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარგზავნა მეკავშირე ოფიცერი ქ. ჰააგაში განთავსებულ ევროპოლის შტაბ-ბინაში, რომელიც ამასთანავე იქნება აკრედიტებული საქართველოს პოლიციის ატაშედ ნიდერლანდების სამეფოში. ნიდერლანდებში აკრედიტაციის პროცესი უკვე დაწყებულია.

პოლიციის ატაშეები/მეკავშირე ოფიცრები საქართველოში განთავსებულნი არიან შემდეგი ქვეყნებიდან: ავსტრია, აზერბაიჯანი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, თურქეთი, აშშ (FBI, DEA). შემდეგი ქვეყნების პოლიციის ატაშეები/მეკავშირე ოფიცრები ფარავენ საქართველოს მესამე ქვეყნებიდან: ბელგია, ისრაელი, იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ავსტრალია და ა.შ.

აქტივობა: 5.2.1.5 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება პროექტების, ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების ან/და პროგრამების შედგენით და მათი განხორციელებით, სასწავლო ვიზიტებისა და სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზებით და მათში მონაწილეობით, რომელთა ფარგლებშიც ხდება გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.5 გამართული სასწავლო ვიზიტებისა და სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი დაფინანსება

შესაძლო რისკები: არასაკმარისი მატერიალური რესურსი

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- საპროექტო წინადადების მომზადება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

ევროკავშირის დახმარებით იგეგმება ახალი ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. შესაბამისად, მოხდა სამინისტროს საჭიროებების იდენტიფიცირება და concept note-ის შემუშავება. განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა;
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების მუშაობა;
- შსს აკადემიის სასწავლო პროგრამების გაძლიერება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სხვა.

- პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა“

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა

პროექტის ხანგრძლივობა: 2014 – 2017

ბიუჯეტი: 5 მილიონი ევრო

განმახორციელებელი პარტნიორები: ევროკავშირის წევრი ქვეყნები (პოლონეთი, ფინეთი, ავსტრია, ლიტვა, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი)

ბენეფიციარი ქვეყნები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია)

პროექტის ზოგადი მიზანი: საპოლიციო თანამშრომლობის გაზრდა ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რაც ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობის დაცვას ამ ქვეყნებში

პროექტის კონკრეტული მიზნები:

- პრაქტიკული საპოლიციო თანამშრომლობის გაზრდა პარტნიორ ქვეყნებს შორის
- ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლის და ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიური ნიშნების შესახებ
- ცნობიერების ამაღლება და ევროკავშირის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სამართალდამცავი ორგანოების მართვის შესახებ

პროექტის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა წევრ ქვეყანას ჰყავს თავისი პარტნიორი ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ლიტვა არის საქართველოს ძირითადი პარტნიორი, ხოლო შვედეთი დამატებითი პარტნიორი.

- **პროექტი: „ევროკავშირის მხარდაჭერა ნარკოტიკებისა და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“**

პროექტის ხანგრძლივობა: 2017-2020;

ბიუჯეტი: 12 მილიონი ევრო

განმახორციელებელი პარტნიორები: საერთაშორისო და იბერო-ამერიკული ფონდი ადმინისტრაციის და საჯარო პოლიტიკის სფეროში; საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთის ეროვნული დანაშაულის სააგენტო; იტალიის კარაბინიერთა კორპუსი.

პროექტის მიზანი: ნარკოტიკებთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება, ჩართული რეგიონალური ქვეყნების შესაძლებლობების და კოორდინაციის გაძლიერება, ე.წ. "ჰეროინი-მარშრუტის" პროექტის მიგნებების საფუძველზე.

- **პროექტი:** ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

პროექტის ხანგრძლივობა: 2018-2021;

ბიუჯეტი: 2,5 მილიონი ევრო

განმახორციელებელი პარტნიორები: Hulla & Co Human Dynamics KG

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს შსს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავებას, ევროპოლთან თანამშრომლობის გაძლიერებას სამართალდაცვით სფეროში.

კონკრეტული მიზანი: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისო საბჭოს გაძლიერება; ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის გაძლიერება;

ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება; საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერება; დანაშაულის პრევენციის გაძლიერება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვის გზით; შსს აკადემიის შესაძლებლობების გაძლიერება; ცნობიერების ამაღლება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

- **პროექტი:** საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა

პროექტის ხანგრძლივობა: 2017–2020 წლები

ბიუჯეტი: 4 მილიონი ევრო

განმახორციელებელი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

პროექტის მიზანი: საზღვრის ინტეგრირებული მართვისა და მიგრაციის მართვის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ჩარჩო და სამთავრობო სამოქმედო გეგმების შესაბამისად საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას

სხვა საკითხებთან ერთად პროექტი ითვალისწინებს შსს შესაძლებლობების გაძლიერებას კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში (აღჭურვილობის).

2017 წელს განხორციელდა, მათ შორის, შემდეგი აქტივობები:

- 30 იანვარი - 3 თებერვალი - სასწავლო ვიზიტი საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, ვილნიუსი;
- 11-12 აპრილი - კონფერენცია ეკონომიკური დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, ქ. პარიზი;
- 23-29 აპრილი - სასწავლო ვიზიტი მოწმეთა დაცვის საკითხებზე, ვილნიუსი;
- 25-26 აპრილი - სასწავლო ვიზიტი თემაზე „სერიოზული ტრანსნაციონალური/ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული ასპექტები“ პოლონეთი, ვარშავა;
- 11-12 მაისი - სასწავლო ვიზიტი საპოლიციო დანაყოფების მართვის სტანდარტების შესახებ, გერმანია, ბერლინი;
- 16-19 მაისი - ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება, თბილისი;
- 29 მაისი - 2 ივნისი - სემინარი დნმ ანალიზი და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, თბილისი;
- 27-28 ივნისი - სემინარი სამეწარმეო დანაშაულზე, ვილნიუსი.

„საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე

შემუშავებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2017 წლის 23-26 იანვარი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა სწავლება კიბერდანაშაულის თემაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:
 - პლატფორმა PHAROS-ის (შეტყობინებების ჰარმონიზაციის, ანალიზის, შედარებისა და მიმართულებების პლატფორმა) პრეზენტაცია;
 - მისი ტექნიკური მხარე;
 - შეტყობინებებზე მომუშავე ჯგუფების ორგანიზება;
 - ინტერნეტ საიტების ადმინისტრაციული ბლოკირება და სახელის შეცვლა;
 - სოციალური ინჟინერია, ინფორმაციული უსაფრთხოება;
 - უკანონო დაზვერვა;
 - საგამოძიებო ნაწილი, გამოძიების პროცედურები;
 - ვირუსული კოდების ანალიზი, ქსელში განხორციელებული კიბერ შეტევის ანალიზი (ზოგადი მიმოხილვა);
- 2017 წლის 6-10 მარტი: საფრანგეთში (ქ. ლონი) ჩატარდა სწავლება თემაზე „არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა“. აღნიშნული ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:
 - ბრძოლა საფრანგეთში არალეგალური მიგრაციის ქსელების წინააღმდეგ;
 - კოორდინაცია ეროვნულ დონეზე;
 - საერთაშორისო თანამშრომლობა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში;
 - მიგრაციული ნაკადების სტრატეგიული ანალიზი;
 - ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (ვიდეო, გეო-ლოკალიზაცია);
 - გამოძიება ყველა სახის არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის);
- 2017 წლის 12-23 ივნისი: საფრანგეთის პოლიციის ეროვნულ სკოლაში (ქ. სენ მალო) საქართველოსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი სწრაფი რეაგირების თემატიკაზე. ტრენინგი ჩაატარეს საფრანგეთის ეროვნული პოლიციის სწრაფი რეაგირების ჯგუფი „RAID“-ის თანამშრომლებმა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 1 თანამშრომელმა;
- 2017 წლის 26 ივნისი - 7 ივლისი: საფრანგეთის ეროვნული პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის სამსახურის (CRS) სასწავლო ცენტრში, საქართველოსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი - „მანიფესტაციების დროს მასების დემოკრატიული მართვა“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 1 თანამშრომელმა.
- 2017 წლის 5-8 აპრილი: ორგანიზება გაუკეთდა ლიტვის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ვიზიტს. შეხვედრები გაიმართა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის

დეპარტამენტთან. ვიზიტი მიზნად ისახავდა ორი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარებას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ასევე, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობების განხილვას;

- 2017 წლის 10–12 მაისი: განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ქ. კობლენცში, გერმანიის რაინლანდ-პფალცის ფედერალური მიწაზე. მასობრივი ხასიათის ზოგიერთი ღონისძიების საკანონმდებლო წესით დარეგულირების საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა გერმანიის მხარეს თხოვნით მიმართა სასწავლო ვიზიტის განხორციელების თაობაზე. ვიზიტის მიზანი იყო ქართული მხარისათვის მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალებისას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება. აღნიშნული საკითხები მოიცავს: საკანონმდებლო ჩარჩოს, უსაფრთხოების კონცეფციების მომზადებას, უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას, ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული ღონისძიებების მიღებას, პოლიციისა და ორგანიზატორის პასუხისმგებლობას. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია გაეცნო შემდეგ საკითხებს:
 - ზოგადი ინფორმაცია მსხვილმასშტაბიანი ღონისძიების უსაფრთხოების შესახებ;
 - „Nature One“ მუსიკალური ფესტივალის მომზადებასა და საპოლიციო ოპერაციების გამოცდილება გერმანიის რაინლანდ პფალცის ფედერალური მიწის მაგალითზე, თანამშრომლობა სხვა საჯარო უწყებებთან და კერძო დაცვის კომპანიებთან;
 - მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალების მიმდინარეობისას პოლიციის როლის განხილვა და დისკუსია, საჯარო ურთიერთობები და ა.შ.
- 2017 წლის 24–26 მაისი: ქ. ვილნიუსში ლიტვის რესპუბლიკის პოლიციის მასპინძლობითა და ევროპოლის ორგანიზებით გაიმართა ევროპოლის ქსელის მე–18 კონფერენცია მოწმეთა დაცვის საკითხებზე. საქართველოს დელეგაციამ ასეთ ფორუმში პირველად მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე საქართველოს წარმოადგენდნენ: შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე და შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი. ქართული მხარე გაეცნო ლიტვის, აშშ–ს, ისრაელის, გაერთიანებული სამეფოს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ევროპის საბჭოსა და სხვა მონაწილეთა გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას მოწმეთა დაცვის საკითხებში;
- 2017 წლის 31 მაისი - 1 ივნისი: ქ. პარიზში გაიმართა სტაჟირება მობილური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ოფისის - „OCLDI“ და ევროპოლის მხარდაჭერით პროგრამა EMPACT-ის ფარგლებში (Organized Property Crime Priority-OPC). აღნიშნული სტაჟირების პერიოდში შეიკრიბა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დისტანციური მეთვალყურეობის საშუალებების (GPS) გამოყენების შესახებ

დეტალური ინფორმაცია მიიღო. გარდა ამისა, მონაწილეებმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული ოპერატიული საქმიანობის შესახებაც მიიღეს ინფორმაცია. აღნიშნულ სტაჟირებაში მონაწილეობა მიიღეს შსს ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტის და შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-1 თანამშრომელმა.

საანგარიშო პერიოდში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის თანამშრომელთა მიერ მონაწილეობა მიღებულ იქნა ჯამში 36 ღონისძიებაში (სასწავლო ვიზიტები, კურსები, ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები).

აქტივობა: 5.2.1.6 ორმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის ექსპორტით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული ორმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა
შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.6 ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, განხორციელებული კვლევების რაოდენობა (5 შეხვედრა)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შესაბამისი ვიზიტების სიმცირე

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- 2017 წლის 23-25 თებერვალი: დაიგეგმა და ორგანიზება გაუკეთდა მოლდოვის რესპუბლიკის შსს დელეგაციის ვიზიტს და შეხვედრებს შინაგან საქმეთა სამინისტროში. შსს სამინისტრომ მოლდოვურ მხარეს გააცნო მიმდინარე და განხორციელებული პროექტები. უცხოელი სტუმრები ეწვივნენ 112-ს, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის განყოფილებას, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.
- 7 ივლისი 2017: ესტონეთის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, ტალინში გაიმართა ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების (JHA) არაფორმალური შეხვედრა. ღონისძიების ფარგლებში

შს მინისტრმა ორმხრივი შეხვედრები გამართა ესტონეთის, ესპანეთის, მალტის, ფინეთის, ავსტრიისა და ბულგარეთის შს მინისტრებთან.

- 10 ივლისი 2017: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მერაბ მალანიაშვილმა და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, დავით ნატრიაშვილმა, თბილისში, საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩოს შიდა უსაფრთხოების ატაშეს ორგანიზებით ჩატარებულ სემინარში - „ორმხრივი თანამშრომლობა ევრაზიული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით“ მონაწილეობა მიიღეს.

აღნიშნულ სემინარზე დასასწრებად საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ: საფრანგეთის კრიმინალური პოლიციის, ეროვნული ჟანდარმერიის საფრანგეთის კრიმინალური პოლიციის პარიზის პროკურატურის ქ. ნენსის პროკურატურის, საფრანგეთის შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორატის წარმომადგენლები და საფრანგეთის რესპუბლიკის შიდა უსაფრთხოების ატაშეები რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, თურქეთის რესპუბლიკაში საბერძნეთის რესპუბლიკაში და საფრანგეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების მნიშვნელობა, ტერორიზმისა და კიბერუსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები განიხილეს და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მეთოდებზე იმსჯელეს.

- 5-8 სექტემბერი 2017: ორგანიზება გაუკეთდა ბელარუსის რესპუბლიკის შსს-ს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასწავლო ვიზიტს საქართველოში.
- 6-7 სექტემბერი 2017: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციამ ნიდერლანდებში, ქალაქ ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში ევროპის პოლიციის უფროსების ყოველწლიურ შეხვედრაში (EPCC) მიიღო მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი დავით ნატრიაშვილი, დელეგაციის წევრებთან ერთად, საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიის, საბერძნეთისა და კოლუმბიის პოლიციის წარმომადგენლებს შეხვდა.
- 2017 წლის 25-28 სექტემბერი: ორგანიზება გაუკეთდა ბელარუსის რესპუბლიკის შსს-ს დელეგაციის სასწავლო ვიზიტს საქართველოში. სტუმრები ეწვივნენ 112-სა და ერთობლივი ოპერაციების ცენტრს. გაეცნენ მუშაობის სპეციფიკასა და ძირითად მიმართულებებს. ვიზიტის თემას წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სხვა შემთხვევების შესახებ

შეტყობინებებზე რეაგირების სისტემის დახვეწისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, გამოცდილების გაზიარება.

აქტივობა: 5.2.1.7 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობით, რომელიც დაეფუძნება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.7 EUROPOL-თან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, შეთანხმების იმპლემენტაცია

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საქართველოს მთავარი პროკურატურა

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შესაბამისი ვიზიტების სიმცირე

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

საქართველომ ევროპოლთან ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა 2017 წლის 4 აპრილს და 2017 წლის 31 ივლისს მისი ძალაში შესვლის დღიდან საქართველო არის ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა. 2018 წლის 9 მარტს ევროპოლთან ხელი მოეწერა უსაფრთხო კომუნიკაციის არხის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს და სამეკავშირეო შეთანხმებას.

უსაფრთხო კომუნიკაციის არხის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტმა და იგი ძალაში შევიდა 2018 წლის 20 ივნისს. საქართველოში განხორციელდება ევროპოლის ჯგუფის ვიზიტი, რომელიც დააყენებს უსაფრთხო კომუნიკაციის არხს და მას შემდეგ რაც იგი ამოქმედდება (2019 წლის იანვრის ბოლოს), საქართველო აქტიურად გამოიყენებს ევროპოლის უსაფრთხო არხებს (SIENA) ინფორმაციის კომუნიკაციისთვის.

სამეკავშირეო შეთანხმება ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან და მის საფუძველზე საქართველოს მეკავშირე ოფიცერი ევროპოლის შტაბ-ბინაში წარიგზავნა 2018 წლის 1 სექტემბერს.

ევროპოლთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შესაძლებელია ევროპოლის სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით/ევროპოლის სხვადასხვა ანალიზის ჯგუფებში ექსპერტების ასოცირებით და ევროპოლის მიერ დაგეგმილ/ინიცირებულ ოპერაციებში, მათ შორის ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში, მონაწილეობით.

2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ევროპოლის ეგიდით ქ. ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში გამართულ ევროპის პოლიციის უფროსთა ყოველწლიურ კონფერენციებში (EPCC). 2018 წლის 26-27 სექტემბერს ასეთი კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ევროპოლისა და შვედეთის, ესპანეთის, პოლონეთისა და ესტონეთის სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

აქტივობა: 5.2.1.8 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია - ინტერპოლის (INTERPOL) ფარგლებში თანამშრომლობით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.8 ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება, ტრენინგი/ვიზიტი)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, ინტერპოლის გენერალური სამდივნო

შესაძლო რისკები: ეფექტიანი თანამშრომლობის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და ინტერპოლის წევრ ქვეყნებთან.

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო მოქმედებს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ შემუშავებული გეგმებისა და პროექტების შესაბამისად და უზრუნველყოფს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დანერგილი ახალი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მიწოდებასა და დანერგვას.

თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების, სპეციალური უნარ-ჩვევების შეძენისა და ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების და საშუალებების გაცნობის მიზნით, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო მუდმივად აწვდის ინფორმაციას და საშუალებას აძლევს საქართველოს შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს მონაწილეობა მიიღონ ინტერპოლის გენერალური სამდივნოსა და ინტერპოლის წევრი ქვეყნების მიერ გასამართ კონფერენციებსა და სწავლებებში.

- საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ხელშეწყობით 2017 წლის 30 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო იტალიაში, ქ. კასერტაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საერთაშორისო ტრენინგის ცენტრში ინტერპოლის მიერ ჩატარებულ ტრენინგში თემაზე „ტერორტიზმი და დივერსია“.
- 2017 წლის 12-13 ივნისს, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო, ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ჰააგაში განთავსებულ ევროპოლის შტაბ-ბინაში გამართულ სტრატეგიულ შეხვედრაში თემაზე - საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაული (OPC).
- 2018 წლის წლის 23-25 იანვარს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ გაიმართა ქალაქ თბილისში რეგიონალური სემინარი, რომლის მიზანი იყო „მსოფლიო მასშტაბით ღონისძიებების გაძლიერება ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ“. მოწვეული იყვნენ საქართველოს, სომხეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინის, რუმინეთის და უნგრეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.
- 2018 წლის 27-28 მარტს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქ ლიონში გაიმართა პროექტ „კალკანის“ სამუშაო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე იქნა მიმოხილული 2017 წელი და დაიგეგმა მომდევო წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 17 ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა. აღნიშნულ შეხვედრაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობას მიიღებო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსმა გიორგი მეზვრიშვილმა
- 2018 წლის მაისში ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ერთად განახორციელა ინტერპოლის მონაცემთა ბაზების ეროვნულ მონაცემთა ბაზებთან ინტეგრაცია. კერძოდ, განხორციელდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ინტეგრირება

ინტერპოლის ნომინალურ მონაცემთა ბაზასთან (ძეზნილ პირთა მონაცემთა ბაზა). აღნიშნულის შედეგად შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე მიენიჭათ პირდაპირი წვდომა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ნომინალურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც საშუალებას იძლევა, რეალურ დროში შემოწმდნენ პიროვნებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას და მესაზღვრეებმა დაუყოვნებლივ იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 2018 წლის 9-11 ივლის ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ ალმა-ატში და 12-22 სექტემბერს რუმინეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუქარესტში ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ გაიმართა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული გლობალურ ოპერაციაზე სამუშაო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ : ალბანეთი, ალჟირი, ბულგარეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, იორდანია, ქუვეითი, ლიბანი, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, მოროკო, პოლანდია, პალესტინა, პორტუგალია, RILO-ECE (რეგიონალური დაზვერვის სამოკავშირეო ოფისი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში)-პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი, თურქეთი და UNODC-(გაეროს ნარკოტიკებთან წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი). აღნიშნულ შეხვედრებზე ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობა მიიღო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ფიზიკურ პირთა ძეზნის და საერთაშორისო კრიმინალთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა გიორგი ენუქიძემ.
- 2018 წლის 18-21 სექტემბერს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ ქალაქ თბილისში გაიმართა პროექტ „კალკანის“ და ოპერაცია „ქორალის“ სამუშაო შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქეთის, უზბეკეთის, სომხეთის, ერაყის, რუსეთის, თურქმენეთის, იაპონიის, ავსტრალიის, ბრუნეის, ინდონეზიის, მალაიზიის, ფილიპინების, ტაილანდის და სინგაპურის სამართალდამცავი ორგანოები. ასევე მოწვეული იყვნენ რეგიონული ორგანიზაციები: OSCE, SCO RATS და ATC CIS.
- 2018 წლის 01-05 ოქტომბერს მონტენეგროს რესპუბლიკის ქალაქ პოდგორიცაში გაიმართა ეუთოს (OSCE) მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელიც ეხებოდა კულტურული ფასეულობებისა და არქეოლოგიური მასალებით უკანონო ვაჭრობას. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობა მიიღო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს სატრანსპორტო საშუალებათა ძეზნის განყოფილების უფროსმა ნათია ფაჩულიამ.
- 2018 წლის 14-19 ოქტომბერს უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ კიევში ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ გაიმართა ტრენინგ-კურსი „რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოება, პრევენცია და რეაგირება“. კურსის მიზანი იყო ქვეყნებისათვის ბირთვული და რადიაციული მასალებიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური და

კოორდინირებული მეთოდების შემუშავება. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები. აღნიშნულ შეხვედრებზე ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობა მიიღო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ფიზიკურ პირთა ძეგნის და საერთაშორისო კრიმინალთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა გიორგი ბოლოთაშვილმა და ფიზიკურ პირთა ძეგნის და საერთაშორისო კრიმინალთან ბრძოლის განყოფილების ინსპექტორმა ნათია იაშვილმა.

- 2018 წლის 17-19 ოქტომბერს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ ჰანოიში, ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ ჩატარდა ხელოვნების ნიმუშების, კულტურული მემკვიდრეობისა და ანტიკვარული ნივთების ქურდობისა და უკანონოდ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მეათე საერთაშორისო სიმპოზიუმი. აღნიშნული სიმპოზიუმის მიზანს წარმოადგენდა ხელოვნების, კულტურული ფასეულობებისა და ანტიკვარული ნივთიერებების ქურდობის და გაყალბების საკითხების განხილვა, აგრეთვე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული მეთოდების და იდეების განხილვა. აღნიშნულ შეხვედრებზე ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობა მიიღო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძეგნის განყოფილების უფროსი ინსპექტორმა ნინო გაბრიჩიძემ.
- 2018 წლის 5-9 ნოემბერს, ვარშავის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ გაიმართა სამუშაო შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ვარშავაში. დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობა მიიღო ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძეგნის განყოფილების უფროსმა ინსპექტორებმა ნანა ქადარიამ და ნინო გაბრიჩიძემ.
- 2018 წლის 13 ნოემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქ ლიონში, ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ, გაიმართება „გეიგერის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის ორგანიზატორია ინტერპოლის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული, ფეთქებადი და დაუცველი ობიექტების/სამიზნეების ქვე-დირექტორატის რადიოლოგიური და ბირთვული ტერორიზმის პრევენციის სამსახური. აღნიშნულ შეხვედრაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობას მიიღებს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს სატრანსპორტო საშუალებათა ძეგნის განყოფილების უფროსი ნათია ფაჩულია.
- 2018 წლის 18-21 ნოემბერს არაბეთის გაერთიანებულ საემიროს ქალაქ დუბაიში გაიმართება ინტერპოლის ინტერპოლის 87 გენერალური ასამბლეა. აღნიშნულ ასამბლეაზე იგეგმება ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს ხელმძღვანელ ვაკანტურ თანამდებობზე მორიგი არჩევნების ჩატარება. აღნიშნულ შეხვედრაში ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის საერთაშორისო პოლიციური თანამშრომლობის ცენტრის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროდან მონაწილეობას მიიღებს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი გიორგი მეზვრიშვილი.

დღეის მდგომარეობით ინტერპოლის გენერალური სამდივნო ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ერთად პროგრამა „WISDM“ მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. აღნიშნული პროექტის მეშვეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაძლებლობა ექნება მოახდინოს დაკარგული/მოპარული დოკუმენტების მომენტალური ასახვა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს მონაცემთა ბაზაში.

აქტივობა: 5.2.1.9 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის სამართალდამცავთა ტრენინგის სააგენტოსთან (CEPOL) თანამშრომლობით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.9. ეფექტიანი თანამშრომლობა შეხვედრების/ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ვიზიტი/ტრენინგი)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (IV) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: საერთო ბიუჯეტი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო Cepol

შესაძლო რისკები: ეფექტიანი თანამშრომლობის ნაკლებობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

2013 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ CEPOL-ის მიერ ორგანიზებულ გაცვლით პროგრამებში, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ორგანიზაციებში, რომელთაგანაც CEPOL-ს აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. პროგრამის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის თანამშრომლობის გაძლიერება და საუკეთესი გამოცდილების გაზიარება. პროგრამა მოიცავს შემდეგ თემატურ მიმართულებებს: ევროკავშირის პოლიტიკის ინსტრუმენტები და პრიორიტეტები (არალეგალური მიგრაცია, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრაფაქციული საქონელი, ნარკოტიკული დანაშაულები, თაღლითობასთან დაკავშირებული დანაშაულები, კიბერდანაშაული, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული); ორგანიზებული საერთაშორისო დანაშაული, მათ შორის, ფინანსური დანაშაული; კონტრტერორიზმი; სპეციალური კანონის აღსრულების (საგამოძიებო) მეთოდები; ევროკავშირის საპოლიციო და სასამართლო თანამშრომლობა და კავშირი; თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართლიანობა; კანონის, წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ლიდერობა, სწავლება, ტრენინგი და ენის განვითარება; კვლევა და მეცნიერება, პრევენცია; ფუნდამენტური უფლებები. შსს აკადემია სამართალდამცავთა ტრენინგის ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL)

საკონტაქტო უწყებაა საქართველოში და უზრუნველყოფს შსს-ს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების მონაწილეობას CEPOL-ის გაცვლით პროგრამასა და რეზიდენტულ კურსებში.

2017 წელს CEPOL-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო შსს-ს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის 25-მა თანამშრომელმა, ხოლო 2018 წელს - 22-მა თანამშრომელმა.

გარდა ამისა, 2018 წელს შსს-ს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ რეზიდენტულ კურსებში:

1. 22-25 მაისი - ბიტკოინები და კრიპტოვალუტა - უკანონო გამოყენების პრევენცია;
2. 4-8 ივნისი - ფულის გათეთრება;
3. 25-28 ივნისი - სტრატეგიული ინფორმაციის ანალიზი;
4. 6-9 ნოემბერი - ფინანსური გამოძიება;
5. 6-9 ნოემბერი - ფარული ოპერაციები - ახალი იდენტობები საერთაშორისო დონეზე.

CEPOL-ის ეროვნული ქსელის მენეჯერის და გაცვლითი პროგრამის კოორდინატორის რანგში შსს აკადემიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ აქტივობებში:

2017 წელი

1. 6-8 ივნისი - უნგრეთი, ბუდაპეშტი - CEPOL-ის ეროვნული ქსელის მენეჯერთა ყოველწლიური შეხვედრა;
2. 5 დეკემბერი - უნგრეთი, ბუდაპეშტი - CEPOL-ის გაცვლითი პროგრამის კოორდინატორთა ყოველწლიური შეხვედრა.

2018 წელი

1. 29-31 მაისი - უნგრეთი, ბუდაპეშტი - CEPOL-ის ეროვნული ქსელის მენეჯერთა ყოველწლიური შეხვედრა;
2. 9-10 ოქტომბერი - უნგრეთი, ბუდაპეშტი - CEPOL-ის ეროვნული მეკავშირე ოფიცრების ყოველწლიური საკოორდინაციო შეხვედრა.

2018 წლის 9 მაისს სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შსს საპატრულო პოლიციის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის XI განყოფილებაში (წითელი ხიდი) ბერძენი სტუმრისა და მისი ორი თანმხლები პირის დახვედრა და მათთვის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, პრეზენტაციის წარდგენა დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობებისა და სახელმწიფო საზღვარზე კანონდარღვევებთან (განსაკუთრებული აქცენტი უკანონო მიგრაციის საკითხებზე) ბრძოლის მეთოდების, არსებული პრევენციული მექანიზმებისა და დანაშაულის გამოძიების თაობაზე.

აქტივობა: 5.2.1.10 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია - ბისეკ-ისა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავი ცენტრი - სელიკი-ის ფარგლებში არსებული თანამშრომლობით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.10 ეფექტიანი თანამშრომლობა, შეხვედრების/ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა, ტრენინგების/ვიზიტების რაოდენობა (5 ერთობლივი ღონისძიება)

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია:

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: ორგანიზაციების წევრი სხვა ქვეყნების პასიურობა

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

საანგარიშო პერიოდში სუამ-ის ფარგლებში ჯამში ჩატარდა ერთობლივი სამუშაო ქვეჯგუფების 10 სხდომა, შემდეგი მიმართულებებით: ნარკომანია, ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაცია, კორუფცია და ფულის გათეთრება, ტერორიზმი, სამართლებრივი სტატისტიკა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში გაიმართა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის 1 სხდომა.

2019 წელს დაიგეგმა, რომ ხელი მოეწეროს „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმდინარე წლის 11–12 ივნისს მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში, ქ. კიევში გამართულ კიბერუსაფრთხოების შესახებ სუამ-ის სამუშაო ჯგუფის რიგით მე-7 სხდომაში. ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში, მიმდინარეობდა კონსულტაციები „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის პროექტის ტექსტის შეჯერების მიზნით. ამჟამად, „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის ხელმოსაწერად მომზადების მიზნით, მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება.

აქტივობა: 5.2.1.11 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება. საჭიროების შემთხვევაში, იმ ახალი შესაბამისი მრავალმხრივი საერთაშორისო მრავალმხრივი დოკუმენტების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებისთვის აუცილებელი პროცედურების გატარებით, რომლებიც დაარეგულირებენ და განავითარებენ ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შემავალ საკითხებს

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.11 მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (I) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შეუთავსებლობა

სტატუსი: შესრულების პროცესშია

შესრულების ანგარიში:

2018 წლის აპრილის თვეში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებული საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის ცენტრი გადაკეთდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრად და შედეგად ოპერატიულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ყველა დანაყოფი ერთ ცენტრში გაერთიანდა. მაგალითად, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო, რომელიც წარმოადგენდა სამინისტროს ცალკე ქვედანაყოფს, გაერთიანდა ცენტრში და ასევე შეიქმნა შემდეგი ახალი დანაყოფები: ევროპოლის განყოფილება და 24/7 განყოფილება, რომელიც ემსახურება ინტერპოლს, ევროპოლსა და სუამ-ს.

2019 წლისთვის დაიგეგმა, რომ ხელი მოეწეროს „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა 2018 წლის 11–12 ივნისს მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში, ქ. კიევში გამართულ კიბერუსაფრთხოების შესახებ სუამ-ის სამუშაო ჯგუფის რიგით მე-7 სხდომაში. ზემოაღნიშნული სხდომის ფარგლებში, მიმდინარეობდა კონსულტაციები „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის პროექტის ტექსტის შეჯერების მიზნით. ამჟამად, „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“

მემორანდუმის ხელმოსაწერად მომზადების მიზნით, მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება.

აქტივობა: 5.2.1.12 მრავალმხრივი ოპერატიული და არაოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს მარეგულირებელი, საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თაობაზე პერიოდული ანგარიშების წარდგენით

პოლიტიკის შედეგი: განვითარებული მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა

შესრულების ინდიკატორი: 5.2.1.12 მომზადებული ანგარიშების რაოდენობა

შემსრულებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

პარტნიორი უწყება / ორგანიზაცია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2017 (III) – 2018 (IV)

ბიუჯეტი: ადმინისტრაციული რესურსი

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

შესაძლო რისკები: შეუსრულებელი ვალდებულება

სტატუსი: შესრულებულია

შესრულების ანგარიში:

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს შემდგომი ინფორმირების მიზნით მომზადდა და 2017 წლის 13 იანვარს შსს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს მიეწოდა 2016 წლის განმავლობაში შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე ანგარიში;
- 2017 წლის მარტის თვეში მომზადდა ინფორმაცია კონტროლირებადი მიწოდების თაობაზე ევროპის საბჭოს პომპიდუს ჯგუფის მიერ შემუშავებული კითხვარისთვის;
- შსს-ს კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა განახლებული ინფორმაცია ეუთო-ს კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრისათვის განკუთვნილ უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებული ქცევის კოდექსის კითხვარისთვის. განახლებული ინფორმაცია შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის 2017 წლის 21 მარტის წერილით მიეწოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს;
- 2017 წლის მაისის თვეში მომზადდა განახლებული ინფორმაცია გაეროს ნარკოტიკების კომისიის 2016 წლის კითხვარისთვის საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 2017 წლის მაისის თვეში მომზადდა განახლებული ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების (JFS) კომიტეტის

ფარგლებში საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე;

- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოსათვის გამოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მომზადდა დამატებითი ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული აქტივობების შესახებ და 2017 წლის 19 ივნისს მიეწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემდგომი ინფორმირებისათვის;
- 2017 წლის 27 ივნისს ეფექტურ უწყებათაშორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული OECD-ის კითხარისთვის მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია და იგი მიეწოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;
- საქართველოში მოქმედ მოწმეთა დაცვის პროგრამასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს კრიმინალურ პრობლემებზე მომუშავე ევროპული კომიტეტის (CDPC) მიერ შემუშავებულ კითხვარზე მომზადდა შესაბამისი ინფორმაცია და 2017 წლის 28 ივნისს მიეწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას.
- შევსებულ იქნა აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციის „Freedom House“-ის მიერ გამოგზავნილი კითხვარი, რომელიც ასახავდა შსს-ს მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ რეფორმებს;
- განახლებულ იქნა UPR-ის ფარგლებში გაეროს 2015 წლის რეკომენდაციების შესრულების სტატუსი;
- შსს-ს კომპეტენციის ფარგლებში შეივსო გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროდან შემოსულ კითხვარი - Annual Report Questionnaire (2016), რელევანტურ საქვეუწყებო დაწესებულებებთან, დეპარტამენტებთან კონსულტაციების საფუძველზე;
- განხორციელდა ნარკოტიკების დაკავებების შესახებ მოხსენების ფორმის (Individual Drug Seizure reporting template) შევსება, რომელიც ასევე გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსთვის წარსადგენად იყო განკუთვნილი;
- მომზადდა/შეივსო UNODC კითხვარი, რომელიც ეხება ნარკოტიკების კონტროლის ეროვნული სააგენტოების უფროსების (HONLEA) შეხვედრის რეკომენდაციების შესრულებას;
- HONELA ფარგლებში გასამართი შეხვედრისთვის მომზადდა სახელმწიფო ანგარიში ნარკოვითარების შესახებ;
- მომზადდა ინფორმაცია ევროკავშირის ერთობლივი მისიისთვის უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებაზე (2018 წლის იანვარი);
- მომზადდა ინფორმაცია პალერმოს კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების იმპლემენტაციაზე (2018 წლის მარტი).